ნიკოლოზ ნიკოლაძე

ტფილისი
სტამბა ექ. ივ. ხელაძისა
1897.

ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე.

იმ საძირკველზედ, რომელზედაც დღეს სდგას ჩვენი გამხნევებული ახალგაზდობის ნაწილი და ელტვის თავის სამშობლო ქვეყნის ტრფიალებას, გმირულს სამსახურს, მაღალ სულოვნებას, გამბედაობას და წინ ვგლას, უნდა ვსთქვათ, რომ იმ მხნე გმირულ საძირკვლის ბურჯათ ჩვენში უნდა ჩაითვალოს ჩვენის ქვეყნის უძლიერეს მწერალ რაინდ მოღვაწე ნიკოლოზ იაკობის მე ნიკოლაძე.

რაც ქართველ ტომის ერი არსებობს, მას შემდეგ საზოგადოთ ქართველობას და კერძოთ ქართველთ გლეხთა წოდებას, ჯერეთ ისეთი მხნე, გამბედაგი და ახოვნებით სავსე მამულის შვილი არ მოვლენია, როგორიც ამ მეცხრამეტე საუკუნემ მოგვივლინა ქართველთ. მე დარწმუნებული გარ, რომ ვინცკი ნიკოლოზ ნიკოლაძის მოღგაწეობის ისტორია იცის, ცხადი საქმეა, რომ იმას ჩვენგან ამის მტკიცება არ დასჭირდება, იმას ნათლათ ექმნება წარმოდგენილი ნიკოლოზ ნიკოლაძის ღვაწლის და მწერლობის ისტორია და ვინც არ იცის, იმას კიდევ როგორც ერჩიოს ისე იწამოს ჩვენი აღწერა და შეხედულება ამ ძლიერს და უძლეველს მამულის შვილის შესახებ, რომელიც თავის მაღალს ევროპიელის განვითარებით და შემცნებულის მოღვაწეობით განმარტოებული სდგას და დიდის გამბედავობით და მხნეობით ახალისებს ქართველთ ახალ მოზარდ თავობასა.

იგი არის ქართველების უდიდესი მწერალ მოღვაწე, უდიდესი მებრძოლი, უანგარო ძე თავის ქვეყნისა.

მის გონებას ჰფლობს ევროპის ვრცელი განვითარება, მისი გონება არის მაღალის ნიჭით და განგითარებით სავსე,

არ მოიძებნება არც ერთი კითხვა მეცნიერების, ფილოსოფიისა

საზოგადო ცხოვრების კითხვების და სხვანი, რომ ყველა იგინი ნიკოლოზ ნიკოლაძემ კარგათ არ იცოდეს.

ნიკოლოზ ნიკოლაძე არის ჩვენი პრუდონი, ლუი ბლანი, ბლანკი, გამბეტა, მიხაილოვსკი და სხვები.

გამბედავ მოღვაწეობას გარდა იგი არის ისეთი მწერალ მოღვაწე თავის ქვეყნის, რომლის გონებაც თან წარმოადგენს ყველა მეცნიერების, ფილოსოფიურის და საზოგადო კითხვების ცოდნას. მოკლეთ რომ ვსთქვათ იგი არის სრული ენციკლოპედისტი. ამის მხრით ქართველებში მას ცალი არ ჰყავს, არიან ჩვენში ისეთი მოღვაწეებიც, რომელთა გონებასაც ცხადათ და დიდათ ჰფლობს ევროპის მაღალკილოიანი სწავლა განათლება, მაგრამ იმავ დროს, იგინი არიან თითო რამ კითხვაში უფრო დახელოვნებულნი, მათ ყველაზე უფრო უკეთესათ თითო რამ საგანი აქვსთ ამორჩეულ-შესწაკლილი, დანარჩენი საგნების და კითხვების ცოდნა კი ისე არა, როგორც ნიკოლოზ ნიკოლაძეს.

ნიკოლოზ ნიკოლაძის მაღალი შუბლი და გვამი სალაროა, სადაც მოკრებილია ყველა მეცნიერებათა და კითხვების ცნობები, რომელ შუბლსაც ყოველთვის და ყოველგან შეუძლიან თავისუფლათ განაგოს, მართოს და კითხვები აძლიოს. ნიკოლოზ ნიკოლაძე რომ ინგლისში და საფრანგეთში დაბადებულიყო, დღეს იგი იქნებოდა მეტათ უმაღლეს გონების, სახელის და საქმის პატრონი და საქართველოში კი ეს ძლიერი გვამი, ეს არწივი თავის ქვეყნის ეს გამღვიძებელი აფთარი დაძინებულის ეროვნებისა არის მხოლო მწერალ მოღვაწე და მასთანავე სახელოვანიო პირი. ასეთ პირებისთვის ეს არ კმარა.

ქართველთა ცხოვრებას დღეს არ უნდა მოვლენოდა ეს მოღვაე მწერალი. დღვანდელი ჩვენი გაუნათლებელი გონებითი ძალა ასეთ პირების მიღებას და ქონვას ღირსი არ არის.

აქ იქნება მკითხველმა სთქვას, რომ რატომაო? თუ საზოგადოება დაცემულია, დამდაბლებულია ცოდნით და აქ ჯერ არაფერი გაბრწყინვებულა, მაშინ მით უფრო უკეთესი, რომ ასეთი მცოდნე მოღვაწე პირი მოვლენიათო თუ არაო და როცა ერი განათლდება, მაშინ ასეთ პირებს რაღათ უნდა ჰქონდესთ ისეთი მნიშვნელობა, როგორიც დღეს უნდა ჰქონდეს მასაო.

ჩვენ სრული თანახმანი ვართ ამის, მაგრამ საქმე და უბედურება იმაშია, რომ ასეთ მხარეს და ერში, ასე უდროვოთ დაბადებულს პირს რა მოელის, ის რომ მთელი თავის მაღალი ნიჭი, ევროპიული განვითარება და შემძლებლობა მხოლოდ იმას უნდა მოანდომოს რომ ორჯერ ორი ოთხის და ანუ კიდევ ამტკიცოს და განაგრცოს ისეთი კითხვები, რომელსაც ნ. ნიკოლაძესთანა შემძლებელი კალამიკი არა, არამედ უბრალოთ მომზადებულ გემნაზიის და სემენარიის კედლებიდამ გამოსულს მოწაფესაც შეეძლება.

ნიკოლოზ ნიკოლაძე, საქართველოში, კერძოთ და მთელს კავკასიაშიაც ითვლება ერთ უშესანიშნავეს მოღვაწეთ, მას არამც

თუ მარტოთ ქართველებში, არამედ ხშირათ სხვა ერშიაც, არა-
ვინა ჰყავს ტოლი. კავკასიას გარდა რუსეთშიაც ასეგე იქმნა
იგი მიღებული და აღიარებული, რომ ნ. ნიკოლაძის ცალი
რუსეთშიაც იშვიათად მოიპოვებიანო. რუსეთის გარეშე ეს
პირი, როგორც ვსთქვით ზემოთ, ეგროპაშიაც დიდს ადგილს
დაიკავებსო. ასევე აღიარა ერთმა ქართველმა ნ. ნიკრლაძის
შესახებ. ეს ქართგელი 30 წელიწადი ევროპაში სცხოვრებს,
იგი არის დიდათ განვითარებული პირი, ცნობილ მრავალ სა-
ხელმწიფოებში და როგორც მოღვაწე და ახალ ჰაზროვნების
თანხმა მებრძოლი მეტათ გამოჩენილი გგამია, კრაპოტკინის
მახლობელი პირია, მწერალი ინგლიზურის გაზეთებისა, ფრან-
გულის და სხვების. მე ამ პირთან ნ. ნიკოლაძის შესახებ სა-
უბარი მქონდა და მან აღტაცებით აღიარა ნ. ნიკოლაძის ღირ-

სება, შრომა და დიდება. მე განვცვიფრდი! მაგრამ აქ განსაცვი-
ფრებელი არაფერი უნდა ყოფილიყოს. გავკვირდი მასზე, რომ
ასეთი უკიდურესი მიმართულების კაცმაცკი, როგორიც იყო
ხსენებული პირი და რომელსაც ნ. ნიკოლაძეზე მცირეთ ბუნ-
დოვანი შეხედულება ჰქონდა, მანაცკი აღიარა ნ. ნიკოლაძის
არა ჩვეულებრივი მოვლენა ქართველებში და დიდი მემძლებ-
ლობა.

მოკლეთ რომ ვსთქვათ: ნიკოლოზ ნიკოლაძე სახელია
ქართველებისა, იგი დიდება არის იმ ერისა და წოდებისა სადაც
იგი დაიბადა და საიდამაც გამოვიდა სამშობლო ქგეყნის მო-
ღვაწეობის ასპერეზე. სწავლა მიიღო და დაამთავრა ქუთა-
ისის გემნაზიაში, გემნაზიაში სწავლის დროს ნ. ნიკოლაძე
ირიცხებოდა ერთს უშესანიშნავეს მოწაფეთ და მასთანვე ისეთ
ქართველ ყმაწვილ კაცათ, რომელსაც გულში მოზღვავებული
ჰქონდა საქართველოს ერის სიყვარული, ქართული წიგნების,
ქართული ენის და მწიგნობრობის. მის დროს იშვიათად, რომ
მოწაფეებში ისეთი მხნე ქართველ მოწაფეთაგანი აღმოჩენილი-
ყო ვინმე, როგორიც ნ. ნიკოლაძე იყო, მოწაფეების რიცხვი
მაშინ დიდი იყო და უმეტეს ნაწილიც ქართველები იყვნენ,
მაგრამ უბედურება იმაში გახლდათ, რო ყველა მათ ნ. ნიკო-
ლაძესთანა მამულის სიყვარული და გრძნობები სულ არ ჰქო-
ნდათ. ნ. ნიკოლაძე თავის კურთხეუელის მშობლებისაგან და-
ბადებული იყო ქართველ ხალხის სამსახურათ, ქართველების
სადიდებლათ და სხვებსკი სხვა დანიშნულება და მიზანი ჰქო-
ნდათ თვის ცხოვრებაში ამორჩეულ-შეთვისებული.

ნ. ნიკოლაძე, როგორც ნიჭიერი ყმაწვილი და თავის
სამშობლო ქვეყნის მეტრფიალე, ადრიდგანვე მიეცა განვითა-
რების ტრფიალებას და წიგნების კითხვას. მის დროს, ქუ-
თაისში არ მოიძებნებოდა თურმე სახლი, რომ იქ რამე წი-
გნები ყოფილიყოს და ამ წიგნებისათვის სიცოცხლით და ნი-

ჭით სავსე ნ. ნიკოლაძეს არ მიეგნო და არ წაეკითხა. ეს ძვირ-
ფასი ძე თავის სამშობლო ქვეყნისა დღე და ღამე მხოლოდ
წიგნების კითხვას ანდომებდა, იმ დროის ჟურნალ გაზეთები
იმას გადუკითხავი არ რჩებოდა, როგორც რუსულს სამეცნიერო
და სიტყვა კაზმულს წერილებს კითხულობდა, აგრეთვე იგი
დიდს ყურადღებას აქცევდა თავის სამშობლო მწერლობასაც.
იმ დროს „ცისკარი“ გამოდიოდა. ნ. ნიკოლაძე დაახლოვებით
ადევნებდა თვალ-ყურს, კითხულობდა ყველაფერს და ღრმათ
აკვირდებოდა ქართველთ ცხოვრების ვითარებას და მოქმედებას.

ახალგა ზდა, ნორჩმა და გულ ნაღვლით სავსე ნ. ნიკო-
ლაძემ თავის სამშობლო ქვეყანა, ერი, ისტორია და მწერ-
ლობა ადრიდგანგე გაიცნა და შეისწავლა მოწაფობის დროსვე.
იგი ამის შესწავლით მიეცა დიდს ნაღველს და მწუხარებას.
ამ თანასწორობის აზროვნების მღაღადებელს გული ნაღვლით
აღევსო, სული მოეჭმუნვა თავის სამშობლო ერის შავის ბე-
დისაგან, მათის ბნელის ეტლისაგან, რომელნიც საუკუნოების
განმავლობაში ლაგამ პირში ამოდებულნი დამდაბლებულნი იყ-
ვნენ საბრალოთ და მათ განკაცების მნატვრელ მფარველ მო-
მხრეთ არსაიდამ ვინ ჩნდებოდნენ. ახალგაზდა მამულის შვილმა
რა უნდა ქმნას იმ დროს, როდესაც მას გული და სული თა-
ვის მამულის სიყვარულით აქვს გამსჭვალული, მას გული ერჩის,
როგორც საყვარელს შვილს თავის ქვეყნისას, როგორც გმირს
ენატრება თავისუფლება, თანასწორობა, რადგანაც თანასწო-
რობა, ბადავს თავისუფლებას და თავისუფლება კიდევ მეცნი-
ერებას, რომელ მეცნიერების საშუალებით კაცობრიობაც წინ
მიდის თავის ცხოვრებითაო, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ
ჩვენი მამულის შვილიკი ყველა ჩვენ წინ წამყვანს ძალას და-
მდაბლებულს ხედავს, ერში დიდს უთანასწორობას, დიდს
მტერობას. ამისთვის საჭიროა მაგარი მამულის შვილის
გული და სული, აღმატებული მხნეობა და გაბედული ენერგია,

რომ გარემოების ყოველივე სისაძაგლე დასძლიოს და მის
დასაძლევი ფარი და ხმალიც გულში ჩაინერგოს და ხელში
დაიჭიროს. აი ჩვენ სწორეთ ასეთ პირათ ვხედავთ ნ. ნიკო-
ლაძეს.

ნ. ნიკოლაძემ, როგორც უდიდესმა მოქალაქემ თავის სა-
მშობლო ქვეყნისა და დიდათ განვითარებულმა პირმა, ქარ-
თველთა ცხოვრების მომავლის იარაღათ მხოლოდ სწავლა მე-
ცნიერება დაინახა საჭიროთ, ევროპიული განვითარების აღორ-
ძინება, ყმაწვილ კაცების განვითარება, ამათგან ევროპიულის
მწერლობის, და მეცნიერების გაცნობა, მით ქართველ თავობის
ისე მომზადებ და გამოწურთვნა, როგორც დღეს ევროპის
განათლებულ სახელმწიფოებში იზდებიან ახალგაზდა ყმაწვილ
კაცობა, ნ. ნიკოლაძემ ადრევე გამოიხატა ეს თავში, ამან გა-
რდაწყვეტით დაინერგა გვამში ის ჰაზრი, რომ დღეის შემდეგ
ჩვენი გონებითი ჰაზროვნება თუ გვიშველის რამესო, მეცნიე-
რებით აღჭურვა, კალმით ბრძოლა, თორემ სხვა ფრივ ჩვენ

არაფერი შეგვიძლიან, ვერავისთან რას გავაწყობთო და ამიტომ ქართველთა შვილებთა ვისცკი გვიყვარს ჩვენი სამშობლო ქვეყანა, მწერლობა და ენა, უნდა ვეცადნეთ, რომ ევროპიულის სწავლა მეცნიერებით აღვიჭურვოთ, დავემზადნეთ და მხოლოდ ამის მეოხებით გაუძღვეთ ჩვენს სამშობლოს წინ სამსახურათაო.

ასე ბოქსაბლა ეს პირი და ამიტომაც ირიცხებოდა იგი ერთს უშესანიშნავეს მოწაფეთ. მან დიდის სახელით გაათავა ქუთაისის გემნაზიაში სწავლა და გაკამათებული გამოვიდა და დაადგა ცხორების და უმაღლეს სწავლა-განათლების საქმეს. არავინ იფიქროს, რომ ეს პირი თავის წიგნების კითხვე-ბის დროს გემნაზიის სასწავლო საგნების გაკვეთილებში ვისმეს ჩამორჩენოდა, არა, ეს თავის ბევრს მეცადინეობას-თან და უცხო წიგნების კითხვის დროსვე ჩინებულათ ამ-ზადებდა გაკვეთილებს. ამის მხრითაც იგი პირველი იყო,

ამაშიაც მას ცალი არავინ ჰყვანდა, რაც აკვირვებდა იმ დროის მის მასწავლებლებს, ეს პირი ამდენ წიგნებს კითხულოს და გაკვეთილებს იმათზე ბევრათ უკეთესად ამზადებს, ვინც სხვა საკითხავ წიგნებს არ კითხულობენ და ერთავათ გაკვეთილების გაზეპირებას ანდომებდნენ თავიანთ დროსაო.

ნ. ნიკოლაძე გიმნაზიის სკამზე იჯდა ჯერეთ ისევ, რომ მან ჩინებულათ გაიცნა რუსული მწერლები, რუსეთის ისტორია, სიტყვა-კაზმული მწერლობა, ძველი და ახალი ისტორია, სი-ტყვიერების ისტორია, მათი პოეტები, როგორც ძველნი, ისევე ახალნი, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და ნამეტურ ყველა ის მწერლები, რომლებიც 1840 წ. შემდეგ გამოვიდნენ, რომელ-ნიც მოჰყვნენ „გოგოლის ხანას“ და ანუ იმ პირებს, რო-მელნიც 1860 წლებში რუსეთში გამოსულნი იყვნენ და ეს პირები ბრწყინვალეთ მოღვაწეობდნენ „სოვრემენიკსა“ და „რუსკი სლოვოში“. ნ. ნიკოლაძე ნამეტურ ამ უკანასკნელს ორის ჟურნალის ნომრებს კითხულობდა, საიდამაც იძენდა ბევრს რამე ცნობებს, მოქალაქურს განვითარებას, მეცნიერებას, მიმართ-ულებას და ვინ იცის რამდენს სხვა კეთილს რამეებს, რომ-ლებიც მაშინ ამ ჟურნალების საშუალებით მთელს რუსეთის ერში დიდის დიდებით იფინებოდა. ნიკოლაძის მაღალი გონებითი მოძრაობის სურვილი და წყურვილი უფრო მაშინ შეივსო და წავიდა წინ, როცა ნ. ნიკოლაძე რუსეთში გადა-ვიდა და იქ მას თვალთ წინ დახვდა უსამზღვრო ძალა გონე-ბითის მოძრაობისა, რასაც იგი სიამოვნებით დაეწაფა, რამაც შემოსა მისი მაღალი გონება დიდის თანასწორულის მეცნიე-რებით და ლტოლვილებით.

აი მხოლოდ რუსეთში მისვლის შემდეგ გაიშალა ნ. ნიკო-ლაძის მაღალი ნიჭი, აქ მოიპოვა მისმა ლტოლვილებამ მფარველობა, აქ ნახა თავის ლტოლვილების წყურვილის მოსასპობელი მასალა, აქ დარწმუნდა ნ. ნიკოლაძე, რომ დღეს

კი მე აღარა მიშავს რაო, მე მიველ ჩემს სანატრელ გზამდის, მე ვსძებნე ჩემი მხვედრი, ვეძიე და მინამდის არ ვპოვე, არ მოვისვენეო. ეხლა მე ვიცი და ჩემა მამულის შვილობამაო და აგერ ჯერეთ ისეგ ნორჩი მამულის შვილი შედის უნივერსიტეტში სწავლის მისაღებათ.

ესეც კიდეგ პირველი მაგალითია, ესეც კიდევ პირველი ნაბიჯი იმ წოდებისა, რომელსაც ეს მამულის შვილი ეკუთვნის. ჯერ არ ყოფილიყო მაგალითი, რომ ქართველთა გლეხთა წოდების შვილს უნივერსიტეტის კარამდის მიეღწია. უნივერსიტეტი კი არა და ჩვენდ საუბედუროთ ჩვენი ბძანებელნი და მფლობელნი ჩვენ უბრალო სკოლის კარამდისაც არ გვიშვებდნენ. დიდი ცოდვები აწევს მათს წოდებასა კისერზე, მათ ბევრის კაცის შვილის განათლების საქმე შეაფერხეს და შეაჩერეს, ბევრი მოაცილეს სწავლა განათლებას და არ მისცეს წინ წასვლის ნება მხოლოდ მიტომ, რომ შენ ჩემი მონის შვილი ხარ და უჩემოთ უფლება ვინ მოგცა წინ წასვლისო! მაგრამ რას ვიქმთ დღეს, ამას ვსწუხვართ ჩვენ და ამასვე სწუხან ყველა ის კეთილ თავად აზნაურნიც, რომელთაც გული ქართველურის სიყვარულით აქვსთ აღფრთოვნებული. ნ. ნიკოლაძეს ბიჯმა ჩვენს ცხოვრებაში მოახდინა ძირითადი ცვლილება. ამ პირის მომავალმა ცხოვრებამ ხომ სულ გადახადა ის სიბნელის ფარდა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იყო ჩამოკიდულ გაბმული და რომელიც ყოველი კაცის გონებას სიბნელით მოსავდა შესახებ გლეხთა შვილების განათლების და წარმატების!

ინგლისელის მოკოლეის თქმისა არ იყოს, ჩვენში ასე ფიქრობდნენ: რომ ვიდრე გლეხი ჭკუას არ ისწავლის, მინამ მას განათლების მისაღები თავისუფლება არ მივსცეთო, თორემ საქმე ცუდათ იქმნებაო, ისკი ავიწყდებოდათ ამ ბრძანებელ გმირ პირებს, რომ ეს დამონებული პირები საიდამ როდის რას შეისწავლიდნენ, როცა იგინი ამათ არაფრის ნებას არ აძ-

ლევდნენ, ეს იმას ჰგავს, რომ ბატონებმა თავიანთ მონებს ნება არ მისცენ წყალზე სიარულის იმ დრომდის, ვიდრე ესენი ბანაობას არ ისწავლიანო, ამბობს მეისტორიე. ასევე იყო ჩვენში საუკუნოების განმავლობაში, მაგრამ ჩვენის ძრიელის მამულის შვილის მეოხებით ეს არა შესაფერი უთანასწორობაც დავარდა, ამის დამფვარველი ოცნებები ჩვენში ქარცეცხლით განადგურდა. აქაც და ამითიც პატივი და დიდება ნორჩს ახალგაზდა მამულის შვილს ნიკოლოზ ნიკოლაძეს, რომლის ხსენებითაც მედიდურებს მთელი ქართველობა, მთელი წოდება. ამ ძვირფას მამულის შვილის ქება დიდებას ჩვენი ქვეყნის ქვა და ლოდებიცკი მოუთხრობენ და განმარტვენ, ხენი, და ბორცვნიც, მთანი და კლდენიც, რადგანაც მათ იხილეს ისეთი სახილველი არსება, რომელიც ჯერეთ ჩვენ სამშობლო ქგეყანას გლეხთაგან არა უნახავსრა.

უნივერსიტეტში მისული ნ. ნიკოლაძე რომ პროფესო-

რებმა დაინახეს, იგინი განკვირდნენ მასზე, რომ ასე ახალ-
გაზდა პატარა როგორ წამოგიდა რუსეთში სასწავლებლათაო.
ამან დაიწყო სწავლება, ამის სწავლა არის შესანიშნავი, იგი
თავის დროის ამხანაგებში ითვლებოდა ერთს ჩინებულს და მა-
ხვილ გონიერ მოწაფეთ, ამის მხრივ მას არამცთუ მის დროის
ქართველს სტუდენტებში, არამედ რუსებშიაც არავინ ჰყოლია
ცალი და ტოლი. ნ. ნიკოლაძემ ცხადათ დაარწმუნა ყველანი
და ნამეტურ პროფესორებიც, რომ იგი არის მეტათ ჭკვიანი
და მასთან დიდი ლტოლვილების მექონი, რომელსაც მომავა-
ლი ბრწყინვალე შედეგს უქადდა. ნ. ნიკოლაძემ ყველა მოწა-
ფის წინაშე თითით საჩვენებელი გახდა თითქმის და მას იგი
უფრო ამაღლებდა და ასახელოვნებდა, რომ ყოველს საგანს
უნივერსიტეტის სწავლისას, ჩინებულათ და მარტივათ ხსნიდა.
ყველა პროფესორებს ნ. ნიკოლაძე სანაქებოთ მიაჩნდათ და
თან გაკვირვებით დასძენდნენ: რომ აი ქართველები, რა

ჭკვიანები არიანო, ნახეთ რა დიდი ნიჭის პატრონია სტუდენ-
ტი ნ. ნიკოლაძეო. ამას ადრიდგანვე ეტყობოდა ახოვნება, გა-
მბედავი საუბარი, უსამართლო საქმეების წინაშე წინაღდმდეგო-
ბის განცხადება, კეთილ მხარეებას პატივის ცემა და მომხრე-
ობა. მისი მხნე, გამბედავი კაჟი თვისება და გული და სული
ვერც ერთ მხრის წინაშე მოითმენდა და ვერც მეორესი, ყო-
ველს მხარეს, ყოველს საგნის წინაშე იგი სდგას დიდის სი-
მართლის მოყვარე მამულის შვილი, ყოველს მოვლენას და
მხარეს მისი ჭეშმარიტებით სავსე დარიგება და საუბარი წა-
მალვგით ევლება, გარს დიდის სიტკბოებით ესალბუნებოდა,
ყველანი ჰკვირდებოდნენ და ცხადლივ ამბობდნენ, რომ ნ. ნი-
კოლაძე მეტათ ჭკვიანი შვილია თავის სამშობლო ქვეყნისაო.
იგი ღირსი იქმნება მამულისშვილათ ხმობისაო. მას ამის
ღირსება ეხლავე ეტყობაო.

ნ. ნიკოლაძის უნივერსიტეტში სწავლის შესახებ ჩვენ
აქ დაწვრილებით ვერ ვილაპარაკებთ, რადგანაც ყველასთვის
ცხადი უნდა იყოს, რომ ნ. ნიკოლაძეს ბრწეინვალეთ უნდა
ეტარებინა თავისი დრო და მოვალეობა სწავლის დროს. ჩვენ
აქ უნდა ვსთქვათ შედეგი, რომელიც ნ. ნიკოლაძის მაღალ ნ-
ჭიერს განვითარებას და განსპეტაკებას უფრო დაეხმარა.

ამ საუკუნის ნახევარს წლებში, რუსეთში ბელინსკის კა-
ლამმა უკვე ძალა მომკრიბა, მისი ნათელი შეხედულებანი მრა-
ვალთათვის გახდა სანატრი, რუსის ყმაწვილკაცობამ ბელინ-
სკის ღაღადება დაუწყეს. აქ მალე გოგოლის ნაწერებმაც გაი-
მაგრა ფეხი. ამათ სხვებიც დაემატნენ, ამათის მეოხებით შე-
იქმნა დიდი ძალა რუსი განვითარების მეძიებელთ ყმაწვილები-
სა, დაარსდა, სტანკევიჩის წრე. გერცენი და ბაკუნინი სამზღვარ
გარეთ გავიდნენ, გრანოვსკიმ ბრწყინვალეთ იწყო ლექციების
კითხვა. აქ მალე ნ. ჩერნიშევსკიც გაჩნდა. ამას მოჰყვა დობროლუ-
ბოვი, პისარევი, ტკაჩოვი, საკალოვი, მიხაილოვი, ზაიცევი, შელ-

გუნოვი და სხვები, რომლებმაც შექმნეს და აღადგინეს რუსის თაობის სრულიად ახალი თაობა. ამათ განაშვენეს „სოვრემენიკი“ და „რუსკი სლოვო“. ამ ჟურნალების მეოხებით აღანთეს განათლების ბრწყინვალე ლამპარი. იგინი გაუძღვნენ მთელს რუსის ყმაწვილკაცობას წინა და მათ დევიზათ დაუდეს შემდეგი:

ძმანო, ფარხმალნი მივაყრდნოთ კედელს,
ახლა დაგვიდგა ჩვენ სულ სხვა ჟამი,
სამშობლო მხარეს, გზასა გაუკვლევს,
ცხოველი ჰაზრი მწერლის კალამი.

მაწვილ კაცობამ დიდი მხნეობა გამოიჩინა, დიდი ლტოლვა ევროპის მეცნიერეულს და ფილოსოფიურს მწერლობაში. მაშინ გადმოითარგმნენ რუსულს ენაზე ყველა ევროპის მსწავლულთა ნაწერები, არ დარჩა რამე წიგნი, რომ მაშინ არ ეთარგმნათ რუსულს ენაზე, ამ წიგნებით და ზემო ხსენებულ მწერლების გავლენის ქვეშ ვითარდებოდნენ ყმაწვილ კაცები. აქ მალე შემოვიდა „ზაპადნიკობაც“ და ახალ მოძრაობის მექონ ძალამაც ფრთები გაშალა „სლავიანო ფილობამაც“ გადღესასწაულება დაიწყო. დიდი მოძრაობის ხანა დაიბადა იმ დროის რუსეთის ერში და სწორეთ ამ ბრწყინვალე ხანას შეესწრა ნ. ნიკოლაძე, რიგიანი შვილი თავის სამშობლო ქვეყნისა ცხადი საქმეა, რომ ამ გარემოებით ისარგებლებდა და წინ წავიდოდა, ეს ისეც მოხდა, ნ. ნიკოლაძემ ისარგებლა მით, იგი გაკამათებული დაადგა განვითარების მოპოვების საქმეს, იგი გახდა თვალხილულ მეძიებლათ.

ამ ბრწყინვალე შვილის გონებასა და გვამზე დიდი ზე გავლენა მოახდინეს ბელინსკიმ, ჩერნიშევსკიმ, დობროლუბოვმა, პისარევმა და მათ ორმა საუკეთესო ჟურნალის თანამშრომლებმა. ესენი დაეპატრონენ ნ. ნიკოლაძის მაღალ ნიჭიერს შუბლს, მათ მოიპოვეს ამ პირის გვამში უდიდესი ადგილი. მათ ჩა-

ნერგეს ძის გვამში კაცთ-მოყვარეობის მაღალი ზომა, მეცნიერების და ფილოსოფიის მიმდევრობა, პოლიტიკურის და ევროპიული მხარეების შესწავლა და მასთან კარგათ და რიგიანათ გააცნობა მთელის დასავლეთ ევროპის განათლებულთ ერთა სიტყვა კაზმულის მწერლობისა, ცხოვრების ცნობების, სტატისტიკის და სხვა მოძრაობის. ამას ცხადათ ამტკიცებენ მისი ნაწერებიც. ნ. ნიკოლაძე რესეთის ბრწყინვალე მწერლების მეოხებით ისეთ გულისა და გრძნობის შვილათ აღმოსჩნდა, მის გვამში ისეთმა ლტოლვილების და ჰაზრების გრძნობებმა გაშალეს ფრთები, რასაც სხვა ახალგაზდების გვამში ადვილათ ვერ ვპოვებდით.

ამას ჩვენ უტყუვრათ ვამბობთ, აი რათა, იმ დროის რუსეთის უნივერსიტეტში ქართველთ თავად აზნაურთა შვილების

რიცხვი ერთობ დიდი იყოს, მაგრამ საუბედუროთ იგინი ევროპიულს განგითარებასკი არა და დღიურ მოვლენათა შეგნებასაც არა ადევნებდნენ თვალთ ყურს, მათ ამისთვის თვალები დახუჭულები ჰქონდათ. იგინი მხოლოდ კურსიდამ კურსზე გადადიოდნენ და მის გარეშე განვითარების სამაგიეროდ მისდევდნენ ქეიფებს, თამაშს, ლოთობას და ლაზღანდარობას, რომლებზედაც მრავალნიც ვერა ვითარ გავლერე ახერხებდნენ, მაშინდელ ასეთ შვილებთაგან სავსეა დღეს ჩვენი ქვეყანა და ყველა იგინი რას წარმოადგენდნენ? არაფერს, არაფერნი იყვნენ და არც არიან რამე, იორამ, იოთამების, ნაყოფმა ვერაფერი სამსახური გასწია. დღეს იგინი სულ მოხელეები არიან და მერე როგორნი, იგეთნიკი არა, როგორიც ჩვენს სულსა, გულსა და მდგომარეობას ესაჭიროება, არამედ ისეთნი, რომელნიც არსად და არას დროს არავისთვის არაიან საჭირონი. ეს გმირები ბრძანდებიან ის შვილები, რომლებიც პლეშევის ლექსის კვალათ დილიდამ საღამომდის სასიამოვნო სჯაში ატარებენ დროს და საღამოდამ გათენებამდის ქეიფში და ქაღალდის თა-

მაშობაში. ამათვის ქართველობა და ქართული მწერლობა არცკი არსებობს. ამათ ქართული ლაპარაკიც ეზარებათ, ქართველ კაცს ქართულათ ხმას არ გასცემენ, რამდენნი არიან ამ კეთილ შობილთაგანნი დღეს ჩვენში ამას რიცხვი არა აქვს, ისიც უნდა ითქვას, რომ კეთილშობილთ წოდებიდამ თითო ოროლა მეცნიერნიც გამოვიდნენ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ვერც ეს მეცნიერი შვილები მოიქცნენ რიგიანათ, ამათ საზოგადო მე–ცნიერების მეოხებით დაივიწყეს გვარტომობა, ქართულა ენა, მწერლბოა და დაიწყეს სამსახური იქ, სადაც იმათანები ხშირათ თუ არა იშვიათადაც მოიძებნებოდნენ ხოლმე. სწორეთ ასეთს სურათს მოგვაგონებს პროფესორის თარხნიშვილის საქმე, რომელზედაც არ შეიძლება რომ საყვედურები არ ვსთქვა.

ჩვენ გგწამს, რომ მეცნიერება საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს, ჩვენ გვწამს, რომ ვინც რა ენაზედ უნდა იშრთომოს, იმან ოღონდ საზოგადო მეცნიერებისთვისკი იმუშავოს და სხვაფრივ ჩვენთვის სულ ერთია, იგი რომელს ენაზედაც უნდა იქმნეს ნამუშავარ აღორძინებული. მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ „შინ რომ ყმაწევილი ტიროდეს გარეთ ტაბლას რა უნდაო“ ამას ჩვენ იგი უფრო გვათქმევინებს, რადგანაც ჩვენ ქართველები დღეს ისეთ მდგომარეობაში ვართ მოთავსებული, რომ ჩვენი გარემოება ვერ იტანს მას, ჩვენ ამის წინაღმდეგ უნდა წავიდეთ, რადგანაც ჩვენ გვწამს, რომ ჩვენ შვილნი ვართ იმ სამშობლო ქვეყნისა და ერისა, რომელსაც ათასნაირი წვალება და ტანჯვა გაუვლია და ამ ტანჯვა წვალებით უტარებია თავისი ისტორიული დრო და მით შეუნახავს ქართული ენა, გვარტომობა და ქვეყანა.

ჩვენ მის შვილებს არ შეგვეფერება, რომ ჩვენს დედაენას გულგრილათ მოვექცეთ. ამას ჩვენი ზნეობითი მოვალეობა აუცილებლათ თხოულობს. განა ქართველობას მიტომ

ეღირსა ევროპასთან დაახლოვება, განა მიტომ ითქვა შემდეგი სიტყვა:

> სადაც აქამდის ხლმით და ძალით მფლობდა ქართველი,
> მუნ სამშვიდობოს მოქალაქის მართავს აწ ხელი.

ანუ კიდევ შემდეგი

> გაეხსნათ გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება,
> რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

ჩვენმა ძველმა მამებმა უბრალოთ არ წარმოსთქვეს თავიანთი ყვედრება, რომ შვილების იმედი გვქონდაო. და ამათკი სულ ჩაგვამწარესო! ამ გულ მოსულ მამებს თავიანთი გულის წყრომა იმ პირებზე კი არ უნდა წარმოეთქვათ, ვიზედაცმათ წარმოსთქვეს, არამედ ისეთ პირებზე, რომლებიც ქართველები არიან და ქართველობასკი არაფრით ეკუთვნიან. ეს ამათზეა გამოჭრილი და მოხდენილი. ვიტყვით, რომ ჩვენ ხუთი ქართველი მეცნიერი რომ გვყვანდეს და ეს მეცნიერები ქართულს ენაზე შრომობდნენ, მასთანვე იგინი ისეთის განვითარებით იყვნენ აღჭურვილნი, რაის მეოხებით მათ ევროპის ერნიცკი ყურადღებას მიაქცევდნენ. მაშინ ამათის სამეცნიერო თხუზულებათა მეოხებით მრავალნი ევროპის შვილნი ქართულს ენასაც კი შეისწავლიან, რომ ამ ენაზე წაიკითხონ ხოლმე თხზულება და გაიცნან, მაშინ შესაძლებელი იქნება, რომ ზოგი ერთი შესანიშნავი თხზულებები ევროპიულს ენებზედაც გადასთარგმნონ და მით ქართველ ერს და ქართულს ენასაც მიანიჭონ მაღალი ღირსება, მისცენ მსოფლიო მნიშვნელობა, იგი აღიარონ ევროპის მეცნიერებისთვის სარგებლობის მომტანათ, მისთვის ევროპის უმაღლესს სასწავლებლებში ქართული ენის კათედრებიც დაარსონ. ქართული ენის დროშა გაიშალოს, მო-

მავლის განსაცდელი მას ასცდეს. მრავალთაგან გმობილი ძძლავრისაგან სუსტის ჩაყლაპვამ უკან დაიწიოს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ეს დღეს ისე არ არის, ქართველთა გული გარდაცვლილი აქვსთ, ქართველს აღარ ერჩის სულის აღტყელვა და სამშობლო ქვეყნის და ერის განმაცხოველთ ლამპარი, აქამდის მისი გვამის მისწრაფებანი და მიდრეკილებანი დაბნელებულნი იყვნენ და გადასხვაფერებული. ეს არის ნაყოფი და ხანა იმ შავის და ბნელის დღეებისა, როცა ნ. ნიკოლაძემ ჩვენი ცხორების ასპარეზე ფეხი გამოდგა და მოქმედება დაიწყო.

მაშინ ქართული ენა და მწერლობა ტეტიების ენათ იყო მიღებული, მაშინ ამ ენას ჩვენი კეთილშობილნი „გლეხების ენას“ უხმობდნენ, ასეთი შეხედულება ჰქონდათ მათ. ვერ ნახავ-

დით სადმე კეთილშობილს ქართველს, რომ იმას სადმე ქართულს ენაზე საუბარი დაეწყო. ეს ჭეშმარიტება არის, თორემ სად არიან იმ დროის გმირი ქვეყნის შვილები? არსად, სად უნდა იყვნენ, სადაც იყვნენ იქაც არ იყვნენ მაშინ და დღეს რა იქმნებიან. მთელს მაშინდელს მათს რიცხვს მოჰყვა მხოლოდ აკაკი, ილ. ჭავჭავაძე, ანტ. ფურცელაძე, გ. წერეთელი, ს. მესსი, დავ. ყიფიანი და რამდენიმეც სხვა პირები, რომელთა გვერდითაც სდგას ნ. ნიკოლაძე და ყველა ამათ დიდის პატივისცემის მხარეებით ამაღლებს, ამაღლებს მით უფრო, რადგანაც ამ მხნე გამბედავ მამულის შვილს ჩვენში ცალი არავინა ჰყავს. მე არ გიტყვი იმას, რომ ვითომც ქართული ენის მცოდნე გვამთა რიცხვი მარტოთ იმ პირების რიცხვით თავდებოდეს, რაცკი ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ. არა, ამათ გარეშე მრავალნი სხვებიც იყვნენ, მაგრამ აქ ჩვენ ესენი მიტომ მოვიხსენეთ, როგორც უფრო ცნობილნი გვამნი ერთ დროის ჩვენს მწერლობას და საზოგადოებაში.

აი ასეთს წრეში, ასეთს ქართველობაში და დაბნელებულს საზოგადოებაში დაიბადა ნ. ნიკოლაძე. ასეთის წრიდამ გამო-

ვიდა იგი, ასეთის ამხანაგებიდამ იხსნა მან თაივ. დიდება და პატივი ამის მხნეობას, მამულის შვილობას და გრძნობებს, რომ იგი ჩვენთა მრავალთა უსულო და უხორც მამულის შვილებივით ქართულს ენას, მწერლობას და ხალხს შორისკი არ გაექცა, არამედ ახლოს დაუახლოვდა, მის ძარღვის ცემას თვალ ყურის დევნა დაუწყო და ბოლოს სამშობლო ქვეყნის.სამსახურის უღელშიაც შეება, რომელსაც ეს ძვირფასი მწერალი დღევანდლამდის ეწევა. განა ნ. ნიკოლაძეს კი არ შეეძლო, რომ სხვა ჩვენის შვილებივით თავის სამშობლო ქვეყნის საქმეებს განშორებოდა და დაეწყო იქ მოქმედება და შრომა, სადაც იგი უფრო შეიძენდა სახელს, ღირსებას და ფულს, განა ამისთვის მას ძალა არ შესწევდა, ეგროპიული განვითარება და შემძლებლობა, მაგრამ არა, ნ. ნიკოლაძე იყო ძე თავის სამშობლო ქვეყნისა, ერის, მწერლობის, იმას ამისთვის შესტკივდა გული, იგი ამისთვის სცოცხლობდა და მღელვარებდა და ამიტომაც შინ ჭირი ირჩია, გარე ლხინს, შინ უბრალო სახელის მოხვეჭა მოინდომა, გარე ამაღლებუს ხმის ქონვას.

ეს არის მხვედრი კეფილ მოღვაწე მამულის შვილებისა, ეს არის ნიშანი მათის მედიდურებისა, ეს არის იმედი და სასოება მათი, ამით სცოცხლობენ ასეთი სპეტაკი პირები, ამით მედიდურებენ, ამას ალევენ თავიანთს საუკეთესო ძალღონეს, ნიჭს, შემძლებლობას, ლტოლვილებას, გარემოებას, ქონებას, ძალას და მიდრეკილებას, რაც მათს სულსა და გულს აღფრთოვანებს, მათს ზნეობას უმაღლესად ამაღლებს და აყვავილებს. ამ ჰაზრების იყო. ნ. ნიკოლაძე, ამ ჰაზრებმა გაშალეს მის გვამში ყვავილები, ეს ყვავილები აკოკორდნენ მის გულსა და სულში და მათვე დასტოვეს ღირსეული შვილი თავის სამშობლო ქვეყნის ღირსეულ შვილათ.

ამის სწავლის დრო და ხანა როგორც უნივერსიტეტში ყოფნის დროს არის ბრწყინვალე, ისევე გემნაზიაში. ორივ

დრონი ამ პურისა არის საყურადღებო და შესანიშნავი. ქართულს მწერლობას ამან გემნაზიაშ. ყოფნის დროსვე მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და ჯერეთ ისევ სწავლის სკამზე იჯდა, რომ მან რუსულიდამ სთარგმნა წერილი „გემზედ შიმშილი“ და 1864 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა. სხვა აქ ამის არაფერი დაბეჭდილა. უნივერსიტეტის სწავლის დამთავრების შემდეგ ეს გაემგზავრა სამზღვარ გარეთ და მალე შევიდა პარიჟის უნივერსიტეტში, იურიუდიულ ფაკულტეტზე. როგორც რუსეთში იქაც ბრწეინვალეთ წაუვიდა ამ პირს სწავლის საქმე. პირველი მაგალითი იყო, რომ ევროპის უმაღლეს სასწავლებელში ვინმე ქართველი შესულიყო სასწავლებლათ და ისე მიეღოთ როგორც იგი. იმ დროს იყვნენ სხვა ქართველნიც, მაგრამ იგინი ევრთპაში უსაქმოთ დაიარებოდნენ, რამდენიმე წელიწადს ენების შესწავლას ანდომებდნენ და ბოლოს რომელიმე სასწავლებელში თავისუფალ მსმენელათ შედიოდნენ. ასეთის პირების რიცხვი დღესაც დიდია ჩვენშია. ნ. ნიკოლაძეკი ფრანგულს ენაში აქვე ემზადებოდა. უნივერსიტეტიდამ გამოსვლის შემდეგ ამან ისე ლამაზათ იცოდა ფრანგული ენა, რომ ენის ცოდნის საქმე აღარ შეაბრკოლებდა, ეს ასეც მოხდა, ნ. ნიკოლაძე მალე შევიდა პარიჟის უნივერსიტეტში და დაიწყო სწავლა. სწავლის საქმე იქაც ბრწყინვალეთ წაუვიდა, იქაც ჩინებულ მოწფეთ ირიცხებოდა, თავის დროსვე დაამთავრა სწავლა და სწავლის დასამთავრებლათ მან დასწერა დისერტაცია შესახებ ევროპის სახელმწიფოთა შორის სამხედრო შეიარაღების მდგომარეობის შესახებ, რომელ დისურტაციამაც პროფესორებთაგან დიდი ყურადღება მოიპყრო თვისკენ. ეს ჭკვიანი წერილი შემდეგ ცალკე წიგნათაც დაიბეჭდა ჟენევაში, ფრანგულს ენაზე.

მე მგონია, რომ ნ. ნიკოლაძის წერილს „ომის გავლენა ევროპაზე” ზემო ხსენებულს დისერტაციასთან რამე კავშირი

უნდა ჰქონდას. ამ წერილიდამ სჩანს, რომ ნ. ნიკოლაძე 1866 წ. ჟენევაში ყოფილა. აქ მცირეთ უნდა გადავაგლოთ თვალი იმ ხანას, როცა ბ. ნ. ნიკოლაძე ევროპაში სცხოვრებდა, ამის გაცნობა ჩვენთვის დიდს საჭიროებას შეადგენს, რომ ნათლათ და კარგათ აღინიშნოს და გაირკვეს მაღალის ნიჭის მექონის შვილის მოქმედების პროგრამა და ლტოლვილება, აიხსნას და გამოქვეყნდეს, რომ მას არსად და არას დროს მუქთად და ცუდათ არ უვლია და თავისი ბრწყინვალე წუთები ევროპის კაფეინიებში არ უტარებია. ევროპაში ქართველთა მოწაფეებმა პირველათ 1860 წლებში ამოჰყვეს თავი და 1865 წლებში იქ უკვე რამდენიმე ქართველი ყოფილა. იმ დროს როცა ნ. ნი-

კოლაძე ჟენევაში იმყოფებოდა, მაშინ იქ უკვე იყო მთელი გუნ-
დი კავკასიელების და კერძოთ ქართველებთაგანაც რამდენიმე
პირი, რომელთაგანაც შესდგებოდა პატარა გვარიანი მეცადინე
წრე.

რომ ნ. ნიკოლაძე თავის ნიჭით და ბუნებით მოხერხე-
ბული და მეტათ მახვილ გონიერი იყო და რომ ეს ყველგან
თავის საქმეს კარგათ წაიყვანდა და გამბედაობით, ეს მას შე-
ემჩნია იმავ დროს, როცა ამ სიცოცხლით სავსე ქართველმა
რუსულს ენაზე ერთი წერილი დასწერა და რომელ წერილიც
იმ დროს „სოვრემენიკში“ დაიბეჭდა. წერილში აწერილია
ერთი შეძლებული მემამულე, რომელსაც ძალიან ბევრი მონა
გლეხკაცები ჭყავს, ამ გლეხების გაუნათლებლობით სარგებლობს,
მათ სჩაგრავს, ყოველ ნაირათ ტყავს აძრობს, შრომაში
საკუთრებას უნახევრებს, ამისთვის ხმარობს ყოველნაირს ბო-
როტებას და მანქანებას, რაის მეოხებითაც გლეხკაცობა უწყა-
ლოთ ეცემა ძირს, და წყალდება სამუდამოთ.

უნდა ვაღვიაროთ და ეს სხვა დროსაც გვითქვამს, რომ
იმ დროებში, ქართველთ გლეხკაცობა დიდს,ტანჯვაში იყო
მოთავსებული, მათს მდგომარეობას შესაბრალის თვალით არა-

ვინ უმზერდა, ყველა თავადსა და მემამულე ბატონს ის მი-
აჩნდა სანაქებოდ, სადაც ეს თავის მონა გლეხებს დაეცემოდა,
აიკლებდა, რაც შეიძლებოდა მეტს წაართმევდა, მერე ამ მეტის
წართმევით თავის მეგობრების წინაშე ქება დიდებითაც დაიწყე-
ბდა საუბარს, რომ მე ასე ვქენი, ამდენი წავართვი ჩემს გლეხ-
კაცებსაო. საუბრის დროს სიცილ ხარხარსაც მოჰყვებოდნენ.
მაშინ ვინ რა შავქვათ აქნევდა გლეხკაცობას. მაშინკი არა და
ჯერეთ დღესაც არავის ეპიტნავება ეს და თვით მწერლობაშიაც
კი ბალახის მსგავს არსებათ ხატვენ გლეხებს. ასე მოიხსენა
ამ სამი წლის წინეთ ბ. ხომლელმა და აღიარა შემდეგი: ერთ
დროს ე. ი. 1880 წლებში, საქართველოში, გაჩნდნენ ტე-
ტიათა მოტრფიალენიო, რომელთაც იწყეს გლეხკაცების მო-
მხრეობა და მათ სურდათ, რომ ამ ღორის ტილებისთვის და-
ხმარება მიეცათ, თვალი აეხილებინათ და მერე ესენი თავად
აზნაურებისთვის მიესიათ, იგინი დაეხოცვინებინათ და მათი
საკუთრებაც დაეჩემნათო. მაგრამ ის კი არ იცოდნენ ამ სა-
ცოდავ გლეხაბმაო, რომ ჩვენც მაგრა დაუხვდებოდითო. „ტე-
ტიათა მოტრფიალეთ“ მზე დაუბნელდათო“. ასე გახლავთ
მრავალთაგან ჩვენი წოდების პირად უფლებათა მხარეების მო-
პოვების კითხვები. ჩვენ რომ დღევანდელის თავადურის მი-
მართულების მექონთ ხომლელების ტვინის ზომვა რომ არ-
შინით შეგვეძლოს, მაშინ ჩვენ ადვილათ მივხვდებით თუ მა-
შინ რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ გლეხები, რა მდგომარე-
ობა უნდა ყოფილიყო მათი მდგომარეობა? იგი – იყო ისეთი
მდგომარეობა, რაც ყოველ შეგნებულს მამულის შვილს გულს
მოუკლავდა და მწარე ნაღველს დააქცევინებდა, და აგერა ახლ-
გაზდა მამულისშვილმა ნ. ნიკოლაძემაც დაწერა წერილი რუ-

სულს ენაზე და გამისთქვა თავის გულის მწუხარება შესახებ ისეთის წოდების, რომელსაც იმავ სოფლის დაარსებიდამ ჩვენს დრომდის ერთხელაც არ გაუხარნია. მე ასეთის წერი-

ლისათვის ვაქებ ჩვენს მამულისშვილს და ისტორიულათ მის წერილს ვაძლევ დიდს მნიშვნელობას.

ჩვენი მამულის შვილი ყველგან იყო და არის ახალ რეფორმატორთა, ესევე იქმნა ჟენევაში. ამან იქ დაარსა ქართველთა მოსწავლეთა წრე, რომელ წრესაც სახელათ „უღელი“ უწოდა. ეს ძლიერი გუნდი, ეს ძლიერი ძალა განგითარებით აღჭურვილ შვილებისა ცნობილ იქმნა ყველგან და თვით რუსის მთავრობისგანაცა, რუსის მრავრობამ წრეს საიდუმლო მნიშვნელობა მისცა. ეგონათ, რომ იგი წრე შვეიცარიის რუსთა დასების კვალათ რუსის მთავრობის წინაღმდეგ წავიდოდნენ, მაგრამ ეს ისე არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ჩვენ იმ დროს რუსების საწინაღმდეგოთ რა უნდა გვქონოდა, პირში სული არ გვედგა და კანს დაუწყებდით პატრონობას და ტრფიალებას, ბატონყმობა არ იყო მოსპობილი, აქ კაცი კაცათ არ იყო აღიარებული და ამ დროს ჩვენ რა საქმე და დავა უნდა გვქონოდა მთავრობასთან. ნ. ნიკოლაძე მარტო იმით არ შეჩერდა, რომ, ჟენევაში „უღელი“ დაარსა, ამან განიძრახა რუსულს ენაზე დრო გამოშვებითი გამოცემა ეს მალეც მოხერხდა და დაიწყო ჟურნალის გამოცემა „სოვრემენოსტი“-ს ეს გამოცემა ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა. აქ ახალგაზდა მამულისშვილმა ბევრი რამ ბეჭდა. მაგრამ გამოცემის საქმემ დიდხანს არ გასტანა სხვა და სხვა მიზეზების გამო. ნ. ნიკოლაძე სამშობლოში დაბრუნდა. მალე გაბრუნდა ისევ უკან. ჟენევაში ყოფნის დროს ნ. ნიკოლაძე დაუახლოვდა მაშინდელს ინტერნაციონალურს წრეს, გაიცნა ყველა იმ დროის მოწინავე მოღვაწე პირები, დაახლოვებით გაიცნა მარკსი, ბაკუნინი, გერცენი და ამათ გარდა სხვაც ბევრი უდიდესი მსოფლიო მოღვაწეები. გერცენს ეს წინეთაც იცნობდა, რადგანაც ერთ დროს „კოლოკოლში“ ამის წერილიც დაიბეჭდა შესახებ საქართველოს რამაც საკმარისი გავლენა იქონია. ეს წერილი იყო ახალგა-

ზდა ქართველ მამულის შვილის ნაღველი, წმინდას გულიდამ აღმონაქშენი, წმინდის გულიდამ სიწმინდით აღმოსული. მე არა მგონია, რომ კაცმა გამოიჩინოს ისეთი გამბედაობა და მხნეთობა, როგორიც ნ. ნიკოლაძემ გამოიჩინა იმ დროს. ასეთის პირის წინაშე ჩვენ დღეს გარინდულნი უნდა ვიყვნეთ, მაგრამ ეს ასე არ არის და ხშირათ პატივის მიპერობის მაგიერ მას ღალატსაც სამებენ სახალხო საქმეებში! – და მერე ვინ? ვინც თვითონ ბრძანდებიან ისეთ წოდების წევრნი, რომელთა არსებობაც პირდაპირ სახალხო საქმეების ღალატს შეადგენს.

ახალგაზდა ნ. ნიკოლაძემ დიდი სახელი მოიხვეჭა ევ-

როპის ემიგრანტებში და ნამეტურ შვეიცარიაში. ამის ყოველს სიტყვას იქ ჯეროვან პატიგს სცემდნენ, იგი სახელოვან პუ-ბლიცისტათ იცნეს, მის წერილებს ყოველთვის თვალს ყურს ადევნებდნენ და ადევნებდნენ მკაცრათაც. ნ. ნიკოლაძე ემიგრან-ტებში ერთს უშესანიშნავეს პირათ ირიცხებოდა, ერთ მცოდნე გოლიათ გმირათ. ამას არც ერთი სიტყვა არ ურჩებოდა შე-უნიშნავათ. ეს გახდა მის უმთაგრეს მიზეზათ, რომ ერთს ემიგრანტს ახალგაზდა ნ. ნიკოლაძის ნაწერში იქამდის სა-გულისხმიეროთ გაუხდა, რომ მან ნ. ნიკოლაძის ზოგი ერთი წერილები გაარჩია, გარჩევა პატარა წიგნით ცალკე დაბე-ჭდა და სახელათ „ნიკოლოზ პუბლიცისტი“ უწოდა. იქ გა-ხდა მცირე რამ უთანხმოება, ზოგიერთ მეამბოხეთა მეოხებით დაიბადა შური და განხეთქილება, ამ შურსა და მტრობას ნ. ნიკოლაძე გამოსცილდა, მაგრამ გაჩნდნენ ისეთი ავყია პირები, რომელთაც ნ. ნიკოლაძეს ემიტრანტების წინაშე ღალატი და-სწამეს იმის მხრივ, რომ ვითომც ნ. ნიკოლაძემ ემიგრანტების გასა გაქურდა. ამის შესახებ ცნობა პირველად „მოსკოვის უწყებაში“ მორთეს და მერე იქიდამ ქართულს მწერლობაშიაც გადმოიტანეს.

ვიტყვით სისწორით, პირნათლათ და თამამათ, რომ ნ. ნი-

კოლაძეს არც ერთი და არც მეორე ამას არ მოუქმედია. ამისი მაღალი მამულის შვილური გრძნობები იგრე არ იყო გახსნი-ლი და განვითარებული, რომ მას იგეთი საქმეები ჩაედინა, რასაც ზოგი ერთები სწამებდნენ. ამის შესახებ საუბარი ჩვენ მეტათ მიგვაჩნია, ეს პატიოსანი გზის მეძიებელ მიმდევარი ამაებს არ საჭიროებს, ჩვენი მიმხრობა მისთვის საჭირო არ არის, სიმართლემ თავისი უნდა გაიტანოს, თუ ეს ასე არ იქ-ნება, მაშინ ჩვენდა სამწუხაროთ უნდა დაშთეს სათქმელათ შე-მდეგი:

თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნათ მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!

რას ვიზამთ, ამ სამგლოვიარო ქვეყნის პირზე ხშირად ასე იგმობიან ხოლმე ისეთი პირები, რომელთაც შემდეგ დანატრიან კიდეც, შური, ბოროტება და სისაძაგლე ჩვენ შორის ისეა გაღვიძებული და გამწვავებული, რომ აქ ხშირათ ჩვენ აღარც ნუჭის პატივის ცემა ვიცით, არც პატიოსანი პირის მოღვა-წეობა და სიმართლე, ერთი უბრალო საქმის გამო, პატარა რა-მე შურის მეოხებით ვკარგავთ ყოველ ნაირს მეხსიერებას და ვირაზმებიდ ისეთ პირის წინაღმდეგ, რომელიც ჩვენზე იქ-მნება ოცჯერ და ორმოცჯერაც მაღლა სდგას და ჩვენც გვფა–რავს თავის განვითარების დროშით. ეს არის ნიშანი ჩვენის უკან ყოფნის და თუნდ მის, რომ ჯერეთაც ჩვენ შორის არ განხორციელებულა და არ წასულა წინ მაცხოვრის სიტყვები, რომ „გიყვარდეთ ერთმანერთი და პატივს სცემდეთ ერთმანე-

რთსაო, ეს სიტყვები მინამ არ გაიხსნება ჩვენს რბილსა და ძვალში, მინამდის კაცობრიობა წინ ვერ წავაო.“ ბრძანა რენანმა მანამდის კი უამისოთ ბევრი პატიოსანი პირნი იქმნებიან ხოლმე აქა იქ უკანონოთ გმობილნი. ნ. ნიკოლაძე სახელია ჩვენი და სამთელი იმ ძალოვნების, რომელიც ევროპაში 1848 წლებში აენ-

თო და უფრო უკეთესათ რომ ვსთქვათ კიდევ და კიდევ ლუი ბლა-ნი და პრუდონია. მე ამისგან შევისწავლე მხნეობა, მხნეობის მხრით ნ. ნიკოლაძეს ჩემს მოძღვრათ ვაღიარებ. მან ჩამინე-რგა გვამში მხნეობის ლტოლვილება, მის გამბედავმა და თან გა-უტეხავმა გვამა მორთეს ჩემი გული და სული გაუტეხაობის სხივოსნობით და ძალით. დღესაც თვალთ წინ მიდგა ნ. ნი-კოლაძის გაუტეხავი აჩრდილი, დღესაც იმავე თვალით უმზერთ, როგორც ამ 20 წლის წინეთ, დღესაც თითქმის მისის მი-ბაძვით ვსულდგმულებთ, თუმცა თან ცარიელი ჯანის, ძვლების და ვალების მეტი არა გამაჩნიარა, მაგრამ ეს იცის ისეთი პი-რების მოქმედების მიბაძვამა, როგორიც ჩვენი მამულის შვილია, ასეთი მოღვაწე პირების მოძღვრებით საზოგადო მოღვაწეს უნდა დაავიწყდეს თავის თავი, იგი უნდა „მოეგლიჯოს ყველაფერს სიამოვნებას, გრძნობას, გულს, სულს, გემოს და პატივის ცემას, მას უნდა ერთათ ერთი მხნეობით სავსე შრომა უდგეს თვალთ წინ და განდეგილური ფანატიზმი მამულისა და ერის სიყვარულში“. ჩემი პირველი ნაბიჯის დევიზიც ეს იყო და ესევე ვალდებულება ნ. ნიკოლაძის მიბაძვამ უფრო გააკაჟა. მე დღსაც ვსდგევარ მის მიბაძვის გზასა და კვალზე და ვებრძვი ათასნაირს გარემოებას და ბრძოლას. ეს ჩამინერგა მისმა ნაწერებმა, ეს მასწავლა მისმა მოქმედებამ და კალამა.

მაშ დავიწუოთ ისევ და ისევ ჩვენის მამულის შვილის ში-ნაურის მოქმედების აღწერით. 1870 წლებში ნ. ნიკოლაძეს ჩვენ უკვე საქართველოში გხედავთ. ქართულს მწერლობა-ში მოღვაწეობა დაიწყო 1868 წ. და 1869 წ. დაიბეჭდა „დრო-ებაში“ მის ფელეტონები „ქვეითად და რკინის გზით“ რო-მელ წერილებმაც იმ დროს გვარიანი მოქმედება იქონია მკი-თხველ საზოგადოებაზე და სხავთა შორის „დრო-ბაში“ ქების შენიშვნაც დაბეჭდეს. ამ წერილების ბეჭვდის შემდეგ ნიკოლოზ

ნიკოლაძე გახდა ერთგული და მუდმივი თანამშრომელი „დრო-ბისა. ეს წერილებს ბოლოზე სკანდელს აწერდa. ნ. სკანდელი ქართველებში მალე შეიქმნა ცნობილ მწერლათ. ამისმა წერი-ლებმა ჩვენს იმ დროინდელს საზოგადოებაზე მკაცრათ და-აწყო მოქმედება და გავლენა. ჯერეთ ქართველს მიკთხველს არ ენახა ისეთი მკაცრი და ცხოველ მყოფელი კალმის ნიმუ-ში, როგორიც ნ. ნიკოლაძემ შემოიტანა „დროებაში“ და აჩვე-ებ ქართველ მკითხველებს. ეს პირვალი მაგალითი იყო, ქარ-თველი მალე დარწმუნდა მასზე, რომ ქართულს ენაზედაც შე-

იძლება აღორძინდეს მკაცრი კილოს მექონი პუბლიცისტიკა, დაიბადა მალე ის აზრი, რომ ქართულ ენას გაუჩნდებიან თავის დამამშვენებელნი, აქ თავის დროს დიდეროც გაჩნდება, დალამბერიც, ვოლტერი, რუსო და ლუი ბლანი. ამას ეჭვი და ფქ1-რი აღარ უნდა.

ნ. ნიკოლაძე მალე გახდა საყვარელ მწერლათ ქართველის ერისა, ქართველმა მწერლობამ იშოვნა სულის ჩამდგმელი ძალა. ქართულმა მწერლობამ მოიკრიბა გარს თავისი შემძლებლობა. მალე იწყეს ამის შესახებ საუბარი, მალე მორთეს საქართველოში ნ. ნიკოლაძის შესახებ ჭეშმარიტი ცნობები, ამის მამულისშვილობით და განვითარების ძალით ყველა ქართველმა იწყო სიხარული და სიამოვნება, ყველა ქართველი თამამათ აღიარებდა ნ. ნიკოლაძის ძემძლებლობას, მწერლობის ნიჭს და ვრცელს ევროპიულს რიგიანს განვითარებას.

ამ დროებში დაიწყო საფრანგეთის და გერმანიის ომი. ამ ომმა დააყენა მთელი ეგროპა ფეხზე. ეს ხანა მთელს კაცობრიობისთვის იყო შესანიშნავი, რადგანაც დრომ და გარემოებამ ჩადგა ისეთი ძლიერება და სული, რომ მის მეოხებით ან ერთი საიმპერიო-ძალა უნდა განადგურებულიყო და ან მეორე უნდა. – ე. ი. სახალხო ძალა უნდა აღორძინებელიყო. ამ მჩქეფარე მოძრაობის გაცნობა ქართველებისთვისაც საჭირო

იყო და აგერ ნ. ნიკოლაძემ დაიწყო ომის შესახებ „დრთებაში“ წერა და ბეჭდვა. აქ ბევრი რამ მის ნაწერი ამბები მის სახელის მოუწერლათაც იბეჭდებოდა და წერილებში ისეთ ჰაზრებს მოუთხრობდნენ, რომ კაცი განცვიფრდება თვით დღესაც, რომ ვინმემ ნახოს და წაიკითხოს იმ დროინდელ ომის ანბები. იგი არის ნიშნები მაშინდელის „ოტეჩესტვენი ზაპი - სკების“ პოლიტიკისა, თითქმის იმ ხორცით და სულით გამსჭვალული. ნ. ნიკოლაძე როგორც შვილი ევროპის მაღალის განათლებისა, სულ განაბული უმზერდა საფრანგეთის საქმეს, ელოდა პარიჟის ბედს და მომავალს, თუ ამ ჰაზრთოვნების საბრძოლ ქვეყნის საქმე როგორ გათავდებაო. რასაკვირველია საიმედოს მხარეებით, ყველას ეს ენატრებოდა. მაგრამ საუბედუროთ ეს ასე არ მოხდა, გარემოებამ სხვაფერ დააყენა საქმე, ის მცნება რომელიც 1848 წლებში აღადგინეს აფრანგეთის შესანიშნავმა შვილებმა და რომელ მცნებითაც გამოიზარდა ნ. ნიკოლაძე, რომელ მცნებასაც იგი ქართულის მწერლობითაც მოუთხრობდა მკითხველს, იგი მცნება დაცემულ იქმნა.

კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება, ქვეყნის ხსნად მოვლინებული,
რომლისთვისაც თვითონ ღმერთი იყო ტანჯულ და ჯვარცმული,
კვლავ შეფერხდა ისტორია, განახლების შედგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ გამარჯვებულნი მტარვალნი.

ნ. ნიკოლაძის ნიჭიერმა კალამმა ქართველს საზოგადოებას საკმარისად გააცნო საფრანგეთი, მისი ძველი და ახალი

მსოფლიო მნიშვნელთბა, მისი ძველი და ახალ მოღვაწეთა ცნობები და სხვები. ამ დროს ნ. ნიკოლაძის უახლოეს მეგობარ პირებათ ირიცხებოდნენ გ. წერეთელი, ს. მესხი, გ. ლორთქიფანიძე და ყველა ის ჭკვიანნი და მხნე მამულის შვილები, რომლებიც მაშინ მოქმედებდნენ და რომელთა ხსოვნა ჩვენს თავში დღესაც ბრწყინავს. იმ დროის ქართველთ პატა-

რა ძალა მაინც ორ დასათ გაიყოფოდა. ამ პატარა ძალის ორათ გაყოფის მიზეზს ხელი შეუწყო იმ გარემოებამა, რომ 1869 წ. თფილისში გამოიცა ჟურნალ „მნათობი“, ამ დროს თფილისში უკვე ოთხი დრო გამოშვებითი გამოცემა არსებობდა: გაზეთ „დროება“ ჟურნალი „მნათობი“ ჟურნალი ,,ცისკარი“ და „სასოფლო გაზეთი“ მალე მეხუთე გამოცემაც მოემატა ეს იყო „კრებული“ რომელიც ისევ და ისევ მხნე და დაუღალავმა გიორგი წერეთელმა დაიწყო.1871 წლიდამ. „კრებულს“ გამოცემის დრო არ დაუნიშნეს. გამოსვლა იწყო დრო და დრო, ერთ წელიწადს ექვსი წიგნი გამოიცა.

„კრებელის“ თანამშრომელთ რიცხვში ადგილი ეკავათ ყველა გამოჩენილს იმ დროის მწერლებს: ილ. ჭავჭავაძეს, აკაკს, ნ. ნიკოლაძეს და მრავალთაც სხვებს. ხსენებული გამოცემისთვის ამ სამი პირის სახელიც კმაროდა. ნ. ნიკოლაძემ პირველის ნომრიდამვე მიიღო მონაწილეობა, პირველის წიგნითვე დაიწყო ამან ბრწყინვალეთ მოქმედება და მოღვაწეობა ქართულს მწერლობაში. „კრებულში“ მოთავსებულმა წერილებმა მთლათ დაჰფარეს „დრთებაში“ ნაბეჭდი ნ. ნიკოლაძის წერილები. „კრებულში“ მოთავსებულმა წერილებმა ნ. ნიკოლაძე ქართველთა წინაშე დააყენეს და დახატეს როგორც ბრწყინვალე მწერალ მოღვაწე, როგორც დიდი განათლების მექონი პირი. აქ მალე ქართველთა საზოგადო კითხვებმაც გაიღვიძა. ნ. ნიკოლაძე გაჰყვა ამ კითხვების შესახებ მეცადინეობას, წერას და სჯას. მალე ბანკების შესახებ ატყდა სჯა და ბაასი, ბაას წერაც მოჰყვა. წერით წინ წამოდგა ნ. ნიკოლაძე. ბანკების შესახებ აღძრულს მწერლობაში ამან გამოიჩინა დიდი ნიჭი, სიმართლე და განვითარება, მაგრამ ეს ზოგი ერთ პირთთვის არ იყო მოსაწონი, არ უწყით რისთვის, უდროვობა იყო თუ სხვა რამ მიზეზი. ის კი უნდა ვაღვიაროთ, რომ მცირე

სჯას მერე დიდი განხეთქილება მოჰყვა და ამ განხეთქილებამ თავისებური ძალა და გავლენაც იქონია.

ნიკო ნიკოლაძე, ილ. ჭავჭავაძე, აკაკი, გ. წერეთელი, ს. მესხი და პ. უმიკაშვილი ერთს მხარეს დასდგნენ, როგორც ჰაზრით ისევე წერით. აკაკიმ ეს არ ინდომა. ილ. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის გ. წერეთლის და ს. მესხი შეერთებამ და მწერლობაში ერთათ შრომამ „მნათობის“ წინაშე დაბადეს ეჭვი და ეჭვის თვალით მზერა, აქ უკვე ცხადათ დაიბადა ოცნებები

პარტიობისა, პარტიობის ნიადაგის გამოტანა მწერლობაში
და ძველი პოლემიკის განახლება. ამის დაბადება სულ უბრალო
გარემოებამ დაბადა იმ დროის სხალად აღორძინებულს ქარ-
თულს მწერლობაში. აქ მალე პოლემიკამაც წამოყო თავი. საქმე
შეეხებოდა „მნათობს“ და „დროებას“. აქ „კრებულიც“ დაე-
მატა. „მნათობის“ მხრით პოლემიზატორათ ისევ და ისევ
ანტონ ფურცელაძე იქმნა სახელდებულ და გამოსული და მეო-
რე მხრით ანუ „კრებულ-დროებისაგან“ ნ.ნიკოლაძე.

რაც ქართული მწერლობა დაარსებულა, მას შემდეგ კრი-
ტიკა, ბიბლიოგრაფია და პოლემიკა ქართველებს სახსენებლათაც
არ გაეგონათ. დ. პისარევის ბძანების არ იყოს: რუსულ სი-
ტყვა-კაზმულ მწერლობის შესახებ, რომ ეს ისე გავრცელდა,
გამრავლდა, რომ ამას ჩვენმა კრიტიკამ ვერ მოერიაო! იგი
კრიტიკაზე მაღლა დგასო. ესევე ითქმის ქართულს მწერლო-
ბაზე. ქსრთულ მწერლობა ათასნაირს ნაწერებით ისე მაღლა
წავიდა და იმ სიმაღლის ზომამდის მიაღიწია, რომ მას კრიტიკა
ვეღარ აუწვდებოდა, ან ქართველებში სად იყო კრიტიკა, ეს
ვის გაეგონა. 1860 წლებში გაჩნდა ჩვენში მწარეთ რამეების
წერა, მაგრამ იგი არც კრიტიკა იყო და არც პოლემიკა. იგი
იყო მამებისაგან შვილების გაკიცხვა, ანუ როგორც ნ. ნიკო-
ლაძე ბრძანებს „მასხარათ აღება და დაცინვა“.

პირველი მაგალითი და საქმე იყო ქართულს მწერლობა-

ში კრიტიკა, პოლემიკა და ბიბლიოგრაფია. პირველი საქმე
იყო ეს მით უფრო, რადგანაც ნ. ნიკოლაძის ცხოველს კა-
ლამს მკაცრათ ჰფლობდა მოქალაქური სულოვნება, მოქალაქუ-
რი განვითარება და უზომო ტრფიალი ამ ძალოვნების ასა-
ღორძინებლათ ჩვენს მწერლობაში; ყოველი წერილი ერთისა
თუ მეორასა გამსჭვალულია ამითი, ყოველი წერილი ნიშანია
და ღაღადება არის მის, რომ იმ დროის უძლურმა ქართველმა
შეიგნო თავის ნაკლი, თავისი სიბნელე, ქართულმა მწერლო-
ბამაც ჩაიდგას სიცოცხლის მსგავსი ნიშნები. აქ კრიტიკა და
პოლემიკა იმ მიმართულებითკი არ აღორძინდა კგრებულსა“
და „მნათობში“, როგორც ეს ჩვენს ნეტარ ხსენებულს მამებს
ესმოდათ, ცხონებულს მოხუცებულება, რომელთაც თავიანთი
ტვინის ნაყოფის ნიშნების გამოაშკარავება 1860 წლიდამ და-
იწყეს, არამედ ეს აღორძინდა სწორეთ იმ პროგრამით, რო-
გორც 1860 წლებში „სოვრემენიკი“ და „რუსკი სლოვო“
ღაღადებდნენ, ანუ შემდეგ „ოტეჩესტვენი ზაპისკები“.

წვრილმან ნაკლულევანებათა გარდა ამ ჟურნალში თქვენ
ხედავთ ბევრნაირს კითხვებს: აქ თქვენ თვალთ წინ გიდგასთ
ლუი ბლანის და პრუდონის კამათი, მათი გაცხარებული ბაასი
შესახებ პოლიტიკურის და ეკონომიურის კითხვების. აქ თქვენ
წინ მცირეთ მაინც იხატება 1860 წლების რუსის მწერლობი-
საგან აღძრული მუშა ხალხის შესახებ კითხვები, სხვა და სხვა
რეფორმების, ქალების მდგომარეობის და განათლების, სასწავ-
ლებლების, მწერლობაში ახალი მიმართულების შემოტანის,

ყმაწვილ კაცობაში რიგიანი ჰაზრების აღორძინება, რეალური განვითარება. აქ ხედავთ თქვენ ლასალის და პრუდონის მოძღვრებათა შესახებ ბაას და ახსნას. ხედავთ ჯონ სტუარტ მილის წერილებს ქალების შესახებ, სხვათა მრავალთა შორის ნ. ნიკოლაძე თავის პრიალა კალმით სწერს დალაგებით იმ დროის ერთს პოლიტიკურს და ეკონომიურს ასპარეზე მდგარს

და მებრძოლს ლუი ბლანს და ბევრს კიდევ სხვა კითხვებს არჩევს და არკვევს ისე, რომ ისეთი გარკვევა და გარჩევა დღევანდელს ჩვენს მწერლობასაც დაენატრება.

„კრებულში“ გაარჩია ნ. ნიკოლაძემ ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, გრ. ორბელიანის ლექსები, იმ დროის ქართველთ ქალებთაგან გამოცემული „თარგმანი“, ხშირათ არჩევდა „მნათობის“ ნომრებს. ასევე არჩევდნენ ხოლმე „მნათობში" ზოგი ერთს ქართულს წიგნებს და „კრებულ-დრთების“ ნომრებს. იმ დროის სტატიებთა და წიგნებთა გარჩევის ღირსებათა შესახებ ჩვენ აქ ბევრს არას ვიტყვით. ვისაც უნდა რომ გაიცნას ის ხანა, ქართველი მწერლები და მათი მოძრაობა, მაშინ მან იმ დროის გამოცემანი უნდა გაიცნას. გამოჩენილი ტკაჩოვი ბრძანებს: – „თუ გინდათ რომელიმე მწერალი გაიცნათ თქვენა, მაშინ გაიცანით მისი ნაწერები და იმ პირს იქიდამ გაიცნავთო. იგი ნაწერი სარკე იქმნება ხსენებულის მწერლისაო.“ ამასვე ვიტყვით ჩვენა, ვისაც სურს ამ პირის გაცნობა, იმან უეჭველათ მთელი ნ. ნიკოლაძის გამოცემანი უნდა გაიცნას, ნამეტურ „ობზორი“ და იმ დროის ყველა ადგილობრიგ გამოცემანი და აი მხოლოდ მაშინ შეეძლება მას სრული შეხედულების შედგენა ამ უმაღლეს გონების მექონს მამულის შვილზე, რომელმაც მთელი თავისი საუკეთესო ძალა და მხნეობა ქართველებში მოქალაქური განვითარების აღორძინების საქმეს შეალია.

ნ. ნიკოლაძეს და ან. ფურცელაძეს მე ჯეროვან პატივს ვსცემ, მე რომ მკითხოთ იგინი ერთ მიმართულების მწერლებათ მიმაჩნია, ორივ ერთის ლტოლვილების მექონი, მხოლოთ ესენი ისე განირჩევიან ერთმანერთისაგან როგორც პისარევი დობროლიუბოვისაგან. ორივეს ერთნაირათ უტოკავთ გული, ორივეს ერთნაირათ შესტკივათ ჩვენის ქვეყნისა და ერისთვის გული, ორივ ერთს განძრახულებას და მიმართუ-

ლებას ადგანან, ქართველ მწერლობაში მიმართულებით თუ ვინმენი ჰგვანან ერთმანერთს, მაშინ ეს ხსენებული პირნი უნდა იყვნენ მიღებულნი, ამაზე მკითხველი მაშინ დარწმუნდება, როცა ამ მწერლების ნაწერს საკმარისათ გაიცნავს. მხოლოდ ამათი განსხვავება მცირეთ მასში სწარმოებდა, რომ ერთი იყო უფრო ხელოვნურის მწერლობის პატივის მცემელი, ამას ყველა საგანში და ნაწილში თხოულობდა. მეორეკი ამას სხვაფერ უმ-

ზერდა და სხვა წარმოდგენაც ჰქონდა. ასეთმა მცირე გარჩევ-
განსხვავებამ მათმა დაბადა რაღაც არა სწორე შეხედულება
ერთმანეთზე და ამის მეოხებით დაიბადა მათი პოლემიკა. პო-
ლემიკაში სხვათა შორის ნ. ნიკოლაძე ან. ფურცელაძეს სწამებ-
და ძველი ჰაზრების მომხრეობას. ამის საფუძველათ. ნ. ნი-
კოლაძე ასახელებდა ან. ფურცელაძის „ცისკარში“ შრომას
იმ დროს, როცა ილ. ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბის“
გამოცემა დაიწყო. ან. ფურცელაძე რომ ძველი აზრების არ
ყოფილიყო, მაშინ იგი ძველ კაცებს არ მიემხრობოდაო. ან.
ფურცელაძეც თავს მართლულობდა და ძველი აზრების მომხ-
რეობას უფრო ილ. ჭავჭავაძეს, ნ. ნიკოლაძეს და სხვებს სწა-
მებდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ „დროება“ ში სრულიად
უარი ჰყვეს ან. ფურცელაძის მწერლობა: დაიწუნეს. „მაცი ხვი-
ტია“ ხელოვნების მხრით, დაიწუნეს „დიდი მოურავი“ ხე-
ლოვნების და დრამატიული წესის მხრით, დაიწუნეს ყველა
ამის ძველი და ახალი წერილები და ლექსები. საზოგადოების
უმეტესი ნაწილი ამ ჰაზრის გახდა. ნ. ნიკოლაძის სიცოც-
ხლით სავსე კალამმა თავისი გაიტანა, მთელი განათლებული
საზოგადოება ამისმა კალამმა აიყოლია. პოლემიკა სასტიკათ
გამწვავდა. აქ ზოგი რამ შენიშვნა სიმართლეს მოკლებულია
და ამიტომ ამის შესახებ ჩვენ ვსაუბრობთ ანტონ ფურცე-
ლაძის მწერლობის მოქმედების აღწერაში, რომელიც დაწერი-
ლი გვაქვს. ამიტომ აქ ამაზე ჩვენსას არას ვიტყვით.

ან. ფურცელაძე ამხელდა ნ. ნიკოლაძის და მის მომხრე-
ების ბევრს ბოროტებას. სხვათა შორის სწამებდა, რომ თქვენ
„დროება“ ში წერილებს მარტოთ იმათ უბეჭდავთო, ვინც მო-
გწონთო. ვისაც არ მოიწონებთ, იმას გინდ ღირსეული წე-
რილიც რომ ჰქონდეს, თქვენ მაინც არ დაუბეჭდავთო. ეს მან
მაგალითითაც დაამტკიცა. ნ. ნიკოლაძე სასტიკათ აყვედრიდა ან.
ფურცელაძეს მწერლობაში უკანონობის და უწესოების ხმარე-
ბის გამო, მაგალითებრ: ანტ. ფურცელაძემ დ. ბაქრაძე დრე-
პერზე და ბოკლზე მაღლა დააყენაო! ვინ დიმიტი ბაქრაძე
და ვინ ბოკლი და დრეპერიო. დ. ბაქრაძის სახელის და
შრომის ჩვენ დიდი პატივის მცემელნი ვართ და მას ვაფასებთ
როგორც ღირსეულს ისტორიკოს-არქელოგს, როგორც
პატიოსან მშრომელს, მაგრამ რაც შეეხება მის ასეთ ცაში
აყვანას და ქება დიდებას, – ჩვენ ვერ გავბედავთო, ესეთი ქება
დიდება მის წინაშე შეურაცყოფათ უნდა ჩაითვალოსო. ეს
საგანი შემკობილია შემდეგის საოხუნჯოს სტრიქონებით.

„ისტორიკოსნი შემოკრბნენ ამაზედ ჰქონდათ მსჯელობა:
ხუთ ფარათ ბროსე დაფასდა ორ ფარად ბოკლის მწერლობა,
გიზო არაფრათ ჩააგდეს, დრეპერს დაარქვეს ყალბობა!
და ჩემი საქართველოსი იქ აღამაღლეს ხელობა“.

„და ჩემი საქართველოსი“ ნიშნავს დ. ბაქრაძის წიგნს, რო-
მელიც მაშინ ცალკე წიგნათ დაიბეჭდა და რომელმაც ერთობ

დიდი ყურადღება მიიპყრო ჩვენის საზოგადოებისაგან. პოლე-
მიზატორთ შორის საქმე გამწვავდა. აქ ძალე „მნათობს“ ბედ-
მა ღალატიც დაუწყო, დახურვის ნიშნები შეემცნა. ან. ფურ-
ცელაძე დიდათ მაგრობდა, რომ ჟურნალი არ დახურულიყო,
მაგრამ ვერა გააწყო რა. 1872 წლის შემდეგ „მნათობი“ მო-
ისპო და დარჩა „კრებული“. 1873 წლიდამ „კრებულმა“ თვი-
ურათ იწყო გამოსვლა, მრავალნ: ფიქრობდნენ დაიმედებით,

რომ „მნათობი“ მოისპო და „კრებული“ მაინც იდღეგრძე-
ლებსო, ორ ჟურნალს ჩვენ ვერ შევინახამთ და ერთსკიაო. მა-
გრამ არ უნდა დაივიწყოთ ისიც, რომ ამ დროს ჩვენ მესამე
თვიური ჟურნალიც გვქონდა. ეს იყო „ცისკარი“, რომელსაც
რედაქტორის უღონოების მეოხებით სული ამოერთვა. იგი არ-
სებობდა, მაგრამ არსებობდა ისე, რომ მის არსებობა არ არსე-
ბობათ ითვლებოდა. თხელ თხელი ნომრები, უშინაარსო და
ულაზათო, ყოველ ნაირს სიცოცხლეს და სიცხოვლეს მო-
კლებული.

„კრებულის“ საქმეკი, პირველის ნომრიდამვე ბრწყინვა-
ლეთ წავიდა. ნ. ნიკოლაძის კალამა ბრწყინვალებით მორთო
იგი, ქართველობას ამცნია და დაუმტკიცა, რომ ქართულს ენა-
ზედაც შეიძლება ჩინებული წერილების წერა და მუშაობაო. ნ.
„კრებულში“ და „დროება“ შიაც დიდი ხმა და გავლენა ჰქონდა,
თვით რედაქტორებს არ ეკითხებოდათ ამდენი, რამდენიც ამ
მაღალ ნიჭიერ მამულის შვილს. ნ. ნიკოლაძემ, როგორც ჭკვი-
ანმა და შორს მხედველმა პუბლიცისტმა ანტონ ფურცელაძის
შესახებ გამოაცხადა შემდეგი: „მნათობი“ დაიხურა, ამით ჩვენს
მოკამათეებს ღონისძიება მოესპოთ წერის და ბეჭდეის. ამი-
ტომ ჩვენ ვაცხადებთ, რომ ან. ფურცელაძეს ნებას ვაძლევთ,
რომ ჩვენს წინაღმდეგ „კრებულ-დროება“ ში სწეროს“. ამავე
ხანს „დროება“ ში დაიბეჭდა ფელეტონი ნ. ნიკოლაძისა „მნა-
თობის“ დახურვის შესახებ. ფელეტონმა ბევრი ააღელვა, რად-
განაც აქ იკიცხებოდნენ ზოგი ერთი ძველი მწერლები და სხვა-
თა შორის უფროკი ანტონ ფურცელაძე, რომელმაც ბოლო
მოუღო „მნათობსაო“! ფელეტონმა დიდი ამბოხება დაბადა, ამ
ამბოხებას მოჰყვა ის შედეგი, რომ ნ. ნიკოლაძეს და ან. ფურ-
ცელაძეს მელიქიშვილის სტამბაში ჩხუბი მოუვიდათ და ან.
ფურცელაძე ნ. ნიკოლაძეს დაემუქრა, დასწყნარდი, თორემ ცუ-
დათ იქნება საქმეო. მალე ჩხუბი მოუვიდათ, ჩხუბმა უკიდუ-

რეს წერტილამდის მიაღწია, და ესენა მარტოთ რომ ყოფი-
ლიყვნენ, მათი ჩხუბი ცუდს შედეგსაც გამოიწვევდა, მაგრამ
ზოგი ერთ პირების მეოხებით საქმე იმ წუთაშივე დასწყნარდა.
ეს ის დრო იყო, როცა 1872 წლის „,მნათობის“ დაკლე-
ბული სამი წიგნი ერთად იბეჭდებოდა და ამ უკანასკნელის
წიგნით უნდა შევსებულიეო 1872 წლის „მნათობის“ ხელს

მომწერთ ნომრები.

მალე სამი წიგნი ერთათ გამოვიდა. მთელი წიგნი ან. ფურცელაძის კალამს ეკუთგნის თითქმის. აქ არის ერთი მისი ვრცელი წერილი დაბეჭდილი სახელდობრ: „საწყალი კუდაბზიკა“ რომელიც მის მოკამათეებს შეეხება და რომლითაც ან. ფურცელაძე დიდს წინაღმდეგობასაც აცხადებს ზემო ხსენებულ პირების წინაღმდეგ. არღვევს მათს ყველა მოსაზრებაებს და უკანასკნელ ამბობს, რომ ჩვენ „მნათობის“ მომხრეები დავეცით და თქვენ გვარათ ვერ წაგვივიდა საქმეო. ან. ფურცელაძის ასეთი შენიშვნაც გახდა მის საბუთათ, რომ ნ. ნიკოლაძემ ნება მისცა „კრებულში“ წერისა. ან. ფურცელაძემ ნ. ნიკოლაძის წინაღმდეგ დაწერა ერთი წერილი, რომელიც „კრებულის“ მეათე წიგნში დაიბეჭდა. ჩვენდა საუბედუროთ ამ წიგნის გამოსვლით მოისპო უცბათ „კრებულიც“. „კრებულის“ დახურვის საქმე ქართველთათვის მოულოდნელი ამბავი იყო და მასთან მეტათ საგულისხმოც. ამას ვერავინ წარმოიდგენდა, რადგანაც ამ ჟურნალის ნომრები მშვენივრათ გამოდიოდა. ყოველ წიგნს ამშვენებდა ნ. ნიკოლაძის წერილი. არავინ მოიფიქრებდა „კრებულის“ დახურვას! ამის შესახებ სხივიც არავის მოსვლია თავში. როგორ, განა შეიწყნარებდა მას ვინმე, რომ „მნათობი“ დაიხურა. ამის დახურვა ერთის მხრით აინუშიც არ ჩავაგდეთ, რადგანაც „კრებულის“ თანამშრო.ლები გვარწმუნებდნენ, რომ „კრებული“ თავ-თავის დროზე გამო-

ვაო და ახლა „კრებულიც“ დაიხურა და აღარც ერთი გამოცემა გვაქვსო. აქ ამ საქმის ბრალის უმეტესობას ნ. ნიკოლაძეს სდებდნენ, მაგრამ საქმე ასე არ იყო. საჭიროთ ვრაცხთ, რომ ეს გარემოება გაუცნობლათ არ დაშთეს. საქმე აი როგორ იყო:

„კრებულის“ გამოცემა გ. წერეთელმა დაიწეო. 1871 წ. შემდეგ ამ ჟურნალის რედაქტორობა კირილე ლორთქიფანიძეს გადასცა, ოფიცისლურათ ეს იქმნა ცნობილი. 1873 წლიდამ „კრებულმა“ თვიურათ იწყო გამოსვლა. ამ წიგნების გამოსვლაზე ჰკარგაგდა ნ. ნიკოლაძე თავის საუკეთესო დროს, შრომას გარდა ფულითაც ეხმარებოდა. მე თვით ვარ ამის მნახველი, რომ მან 1000 მანათის ოქრო გარდასცა მესტამბეს „კრებულის“ ბეჭდვის ანგარიში. მაშინდელი „კრებულის“ ხელის მომწერთა ფული მარტოთ რედაქტორს და ქაღალდის ფულს არ ჰყოფნიდა. ამას გარდა სხვა ხარჯიც მრავალი ჰქონდა რედაქციას. ამიტომ „კრებული“ სთვის საჭირო იყო კერძო დახმარებაც. კერძო დახმარების მიმცემიკი არავინ იყო, ერთ წელიწადს ნ. ნიკოლაძემ ზემო მოხსენებული ფული გადიხადა და მით გათავდა საქმე, მას მეტის მიცემა ვერ შეეძლო. ნ. ნიკოლაძე ცხადათ დარწმუნდა გონი, რომ საქართველოში რიგიან ჟურნალის არსებობა დიდს დახმარებას და ხარჯს ითხოვდა, რადგანაც გამოცემის ნახევარი ხალხში მუქთათ რიგდებოდა აქეთ იქით, რომ ქართველი შესჩვევიყო ქართულს ენაზე

ჟურნალის კითხვას, მაინც „კრებულის“ დახურვა არ იყო უმნიშ-
ვნელო. ამან დაბადა „დროების“ კვირაში სამჯერ გამოცემა და
ეს 1875 წ. შესრულდა კიდევაც.

„კრებულის“ დახურვის შემდეგ ნ. ნიკოლაძეს მაინც არ
მოუსვენია ქართულს მწერლობაში. ს. მესხი სამზღვარ გარეთ
წავიდა. „დროების“ გამოცემა კირ. ლორთქიფანიძეს გარდას-
ცა და აქაც უმთავრესი ტვირთი „დროებისა“ ნ. ნიკოლაძეს

აკუთვნეს. ორი წლის განმავლობაში, ვიდრე „დროება“ ძველს
რედაქტორს გარდაეცემოდა, მინამ ნ. ნიკოლაძემ აქ დაუცსრო-
მლათ და ბრწყინვალეთ იმუშავა. იმ დროის ნორებს მან ჩა-
უდგა თავისებური ძლიერი სიცოცხლე, თავისებური მიმართუ-
ლება მისცა და „დროება“ დაამგვანა ევროპის რომელიმე რი-
გიანს გამოცემას. მას შემდეგ „დროებას“ თავის დახურვის
დღემდის ისეთი ბედი აღარ გაღიმებია. ეს იცის ისეთი ცხო-
ველ მყოფელ პუბლიცისტის კალამმა, როგორიც ნ. ნიკოლა-
ძეა. უსდა ვსთქვათ, რომ არც „დროების“ შრომა ასცდა ნ.
ნიკოლაძეს უფულოთ, აქაც დასჭირდა მას ნივთიერათ დახმა-
რება და ხარჯვა, მაგრამ რას იზამდა.

იგი არის მამულის შვილი, მებრძოლი შავის ბედისა, გო-
ლიათი ქართულის მწერლობისა, მქადაგებელი ქართველის ტო-
მის წინ წასვლის, აღდგენის, მოქალაქობით განვითარების, მათ-
ში მაღალი სულოვნების განცხოვლების და განსპეტაკების,
და ბევრიც სხვანი, რომლებსაც კაცი აქ ვერ მოსთვლის. რაღა
ფიქრი და ეჭვი უნდა, რომ ესეთ მამულისშვილს თავის შრო-
მას გარეშე სხვა რამ დახმარებაც მოუნდებოდა, თუნდ პირ-
დაპირ ფული ვახსენოთ. ხომ მოგეხსენებათ ასეთი კაცების
გულის ძგერა, სამშობლოს ალი და ტრფიალება. იგი მაშინ
უფრო იტანჯება, როცა მას გული უსამზღვროთ ემღვრევა სა-
მშობლო ერის და ქვეყნის შესახებ.

„ესრედ იდუმალ, მაგრამ ძლიერად დაიტანჯების მარად მიჯნური,
თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა, ტრფიალებისა ცეცხლი ციური“.

იგი შრომას გარდა არც ფულით ხარჯავს ერიდებოდა, არ ერი-
დებოდა, რადგანაც ამას სწამდა თავის ქვეყნის და ერის ჭე-
შმარიტი სიყვარული და მამულის შვილობა. ამას სწამდა მა-
ღალი იმედები, მომავალი, პროგრესი და მიტომაც ეს პირი
ქართველთ სასარგებლოთ არამც თუ მარტოთ „დროება“ ში

სწერდა და ფულებს არ იშურებდა, არამედ ამავე დროს
ბრწყინვალეთ მუშაკობდა იმ დროის რუსულს გაზეთ „თფი-
ლისის მოამბეში“ რომელ გაზეთის რედაქტორათ ნააფიცრა-
ლი კ. ბებუთოვი ითვლებოდა და რომელ პირიც სრულს ნ.
ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოქმედებდა, თორემ რა მისი

საქმე იყო გაზეთის გამოცემა. მაგრამ რაც იყო და ვინც აწარ-
მოებდა გაზეთს, იგი იყო. ნ. ნიკოლაძე. აქ მცირეთ უხდა შე-
ვეხოთ და ვსთქვათ რამე ამ გაზეთის შესახებ, მის თანა-
მშრომლების, გაზეთის მიმართულების და იმ დამოკიდებუ-
ლების, თუ ყველა ზემოთ მოთვლილს საქმეებთან როგორი
კავშირი და დამოკიდებულება ჰქონდა ნ. ნიკოლაძეს. ეს ხანა
და საქმეებიც ნიკ. ნიკოლაძის ცხოვრებაში დიდათ ღირს შესა-
ნიშნავს მხარეს შეადგენს, შრომას მეტათ ამაგდარს, და წარ-
მოუდგენს. მაგრამ აქაც ნახავთ ბოლოს, თუ გარემოება რო-
გორ უმტყუნებს ამ მხნეს და ჩვენი ტომისთვის თავ გამო-
დებულს მწერალ მოღვაწეს.

„თფლვილისის მოამბის“ რედაქტორს წერა არ შეეძლო.
გაზეთს ნ. ნიკოლაძე აწარმოებდა. ამ გაზეთის საშუალებით
ბევრი რამ კითხვები აღიძრა ჩვენში, ნამეტურ მთავრობის სა-
გულისხოთ, მაგალითებრ: აქ დაბეჭილი წერილები კავკასიის
ტომთა ენების შესახებ. ამ გაზეთმა დიდი სამსახურა გაუწია
ჩვენს ტომს, დიდი ამაგი მიუძღვის. აქ არ შეიძლება რომ დი-
დათ ამაგდარს ნ. ნიკოლაძის გვერდით იაკ. გოგებაშვილიც არ
მოვიხსენიოთ, რომელსაც ერთობ დიდი ამაგი და ღვაწლი მი-
უძღვის ამ გაზეთის საშუალებით ჩვენის ტომის წინაშე. რე-
დაქტორი და მის თანამშრომლები ჯეროვან პატივს სცემდნენ
ნ. ნიკოლაძეს. რამდენიმე ხნის შემდეგ თფილისში „თფილი-
სის მოამბის“ გამოცემა დღიურათ დაიწყეს. ამ დროს 1877
წ. ომიც მოხდა, ნ. ნიკოლაძე ბრძოლის ველზე წავიდა, ხსე-
ნებული გაზეთის კორესპონდენტათ. ბრძოლის ველზე ეს და-

იახლოვა იმ დროის ჯარის მთავარ სარდალმა და როგორც
რიგიანს განათლებულს კაცს ბევრს ნაირს რჩევას ჰკითხავდა
ხოლმე. ნ. ნიკოლაძეც ყოველთვის ჭკვიანათ მოსაზრებულს
პლანებს აძლევდა. ეს მთელმა იმ დროის საზოგადოებამ კარგათ
შეიტყო, მაგრამ ბევრსკი შურდათ ნ. ნიკოლაძის ასეთი სა-
ქმეები. ომის ამბებით ნ. ნიკოლაძემ გაზეთი მეტათ გააცო-
ცხლა, ყველა სულგანაბული ელოდა მის ნაწერებს.

ამ დროს გაზეთის რედაქტორსა და ნ. ნიკოლაძის შუა
უთანხმოება ჩამოვარდა. უთანხმოების მეოხებით შფოთი და-
იბადა. ნ. ნიკოლაძე გაზეთს მოშორდა. ამან მალე მთავრო-
ბას თხოვნა მისცა დღიურ გაზეთის გამოსაცემად. მალე მი-
იღო ნება რთვა და 1878 წ. თფილისში იწყო გამოსვლა
დღიურ რუსულ გაზეთ „ობზორმა“. კავკასიაში ამ ზომის და
პროგრამით გაზეთის გამოცემა პირველი მაგალითი იყო. გა-
ზეთი მეტათ ფართოს ზომის და მასთანვე შესანიშნავის მი-
მართულების. ბევრმა სთქვეს, რომ ესეთი ვრცელი და რიგიანი
გაზეთი დღეს რუსეთის სატახტო ქალაქებსაც ენატრებაო. ამ-
აზე ბევრმა რუსის მწერლებმაც წარმოსთქვეს თავიანთი შეხე-
დულება, კავკასიის „ტაიმსი“ უწოდეს არა მარტო ზომის
მხრივ, არამედ სხვა ფრივაც. ნ. ნიკოლაძემ მთელი თავის სა-
უკეთესო ძალა და ნიჭი და შემძლებლობა ამ გაზეთის არსებო-

ბის საქმეს მოანდომა, ამის წერილები აქ ნათელის ჰაზრებით
და სიმკაცრ სიცოცხლით ცხადლივ ბრწყინავდნენ, მკითხველზე
დიდს ზე გავლენას ახდენდენ. რუსუთში სლავიანოფილების
ზოგიერთ გოლიათებმა კამათი მომართეს ასე: განა შესაძლე-
ბელია, პროვინციებში ისეთი კითხვების აღძვრა გაბედონ რა-
საც „ობზორი“ ბედავს! ან რათ აძლევს ამას ნებას მთავრო-
ბა და ცენზორის კომიტეტიო! ეს ჰაზრები გაზეთებშიაცკი
იყო გამოთქმული. რასაკვირველია ყველა მათ ნ. ნიკოლაძე
პასუხს აძლევდა. ამ გაზეთმა კავკასიის გარდა რუსეთშიაც დი-

დი მკითხველთ რიცხვი მოიპოვა. აქ ბევრი რამ შესანიშნავი
წერილები, მოწინავე წერილები და ფელეტონები სწერა ნ. ნი-
კოლაძემ, ბევრს მის წერილებს არა დროს არ დაეკარგებათ
მნიშვნელობა, ნამეტურ სასულიერო სასწაგლებლებში ქართუ-
ლი ენის შესახებ აღძრულს კითხვებს და წერილებს, ეგზარ-
ხოსების შესახებ და სხვანი. მაგრამ რომელ ერთს მოვსთვ-
ლით ამის წერილებიდამ, რომელთაც ჩვენი ტომის საქმეებს
დიდი სამსახური და დავალება დასდეს. საუბედუროთ ამ კე-
თილ სამსახურის დროსაც ნ. ნიკოლაძეს და ქართველს სა-
ზოგადოებაში მოხდა მცირე უთანხმოება. ეს უთანხმოება და-
ბადა განსვენებულის სერგეი მესხის მოუფიქრებელმა მოქმე-
დებამ. ეს განხეთქილება ისე გამწვავდა, ჩვენის მწერლობის
მეოხებით ნ. ნიკოლაძეს ისეთ ნაირათ დაუწყეს მზერა და კი-
ცხვა, რომ მასზე უკანასკნელი აღარა შეიძლება რა. ჩვენ
ვიტყვით რამეს, განსჯა საქმის და კითხვებისა მიგვინდვია მკი-
თხველისთვგის. მან ახსნას თუ ვინ არის აქ მტყუან მართალი.

იმ დროის სომხურ გაზეთ „მშაკი“ დღიურათ გამო-
დიოდა. ერთს ნომერში გრ. არცრუნმა დაბეჭდა მოწინავე წე-
რილი და სთქვა: რომ მე სომხებმა მომატყუილესო, დღიური
გაზეთი გამოვეცი და ხელის მომწერლებიკი არ აღემატნენო.
ასე რომ თუ საქმე ასე წავიდა ე. ი. ხელის მომწერთა რიც-
ხვით, მაშინ მე გაზეთს დავხურავ და ისევ ძველებურათ გა-
მოვსცემო. ამაზე ნ. ნიკოლაძემ ასე მისცა პასუხი: თქვენ როდი
უნდა ლაპარაკობდეთ მაგრეო, რიგი არ არისო, თქვენს გა-
ზეთს მიტომ არ ჰყავს დიდი რიცხვი მკითხველისა, რადგა-
ნაც გაზეთი გერ აკმაყოფილებს ყველა საზოგადოებათა წევრთა
მოთხოვნილებასაო. ადგილობრივ გაზეთებსკი დღეს მარტოთ
ის ნაწილი თხოულობს, რომელმაც რუსული ენა არ იცისო,
თორემ განათლებულს კაცს თქვენი გაზეთები ვერას შემატე-
ბენო, მან ისევ და ისევ რუსულს გაზეთებსაც უნდა მიმარ-

თოსო. ნ. ნიკოლაძისაგან ასეთი ჰაზრის გამოთქმა ზოგი
ერთებს ეწყინათ და სხვათა შორის ამ კითხვას ს. მესხიც შე-
ეხო „დროება“ ში. ცოტა არ იყოს ნ. ნიკოლაძეს ჰყვედრა
ასეთი ჰაზრის გამოთქმა. აქ მცირე ყვედრებამ ფრთები შეისხა.

მალ. „დრთებას“ გაზეთ „ივერიაც“ აჰყვა. ამათ შეერთებუ-
ლის თანხმობით ნ. ნიკოლაძეს პირი აარიდეს, იწყეს მისი
ჰაზრების გმობა. ადგილობრივ გაზეთების გამოცემის შესახებ
სომხური გაზეთებიც ლაპარაკობდნენ ამაზე, მაგრამ ვისაც და
სადაც შეეხებოდა ნ. ნიკოლაძის წერილები, იქ იმდენი ბჭობა
და განსეთქილება არ ატყდა, რამდენიც ქართულს მწერლობაში!
ნეტა რა სჯიდა გაზეთ „დროებას“ ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ! არ
ვიცი და არ მესმის, შეეძლოთ ეთქვათ რამე, მაგრამ ისე და
იმ სახითკი არა, როგორც აქ ასტესეს ნ. ნიკოლაძის წინა-
აღმდეგ ბჭობა და ბაასი.

ნ. ნიკოლაძის შესახებ „დროებამ“ დაიგიწა ძველი ამაგი,
დაივიწყა მის შრომა, ის ფული და ძალა, რაც ნ. ნიკოლაძე
ხარჯავდა მასზე და მის გაზეთზე, დაივიწეა ყველასფერი და
ნ. ნიკოლაძეს დაუწყო კიცხვა, გმობა ისეთის კილოთი, რაც
„დროებას“ არ შეეფერებოდა. ამ კიცხვა გმობამ აიყოლია ქარ-
თველების უმეტესი ნაწილი და ყველამ, ვისაცკი კალამის აღება
შეეძლო და წერა რამის, ყველა იგინი ჰკიცხავდნენ ნ. ნიკოლა-
ძეს, ჰგმობდნენ მის ჰაზრებს, სწამებდნენ ღალატს, ქვეყნის
გაცემასაცკი და ვინ იცის რაებს არა! ნ. ნიკოლაძეც რასაკვირ-
ველია ასეთ ცილის მწამებლებს, „ობზორში“ რუსულათ პა-
სუხებს აძლევდა და ეს უფრო ამწვავებდა ქართველთა, რომ
რუსულათ რათ გვაძლევს პასუხსო, ჩვენი პასუხები ქართულათ
უნდა იბეჭდებოდეს! საქმე იქამდის მივიდა, რომ მელექსეებმაც
კი მორთეს ნ. ნიკოლაძის საწინაღმდეგოთ ლექსები. პატარ
პატარა სამასხარო ამბებს და ცნობებს ხომ რიცხვი არ ჰქონდა.
მაგალითებრ ერთხელ „დროეა“ ში იყო დაბეჭდილი შემდეგი

შენიშვნა: – „ჩვინ შევიტყეთ, რომ ბ. ნ. (ნიკოლაძეს) სკა-
ნდელს ქართულს ენაზე გაზეთის გამოცემა განუძრახავ0,ს
რომელსაც სახელათ „კანდელი“ ერქმევა, რედაქტორად
სკანდელი იქმნება და შიგ კიდევ სკანდლები დაიბეჭდება“.

რას მივაწერთოთ „დროების“ მხრით ასეთი შენიშვნა, რა
მართლ მსაჯულებითის კანონით უნდა განვიკითხოთ ასეთი მა
სხარობის დაბეჭდა ისეთ პირზე, როგორიც ნ. ნიკოლაძეა. გა-
ნა ესეთი მასხარობა შესაძლებელია ვბეჭდოთ ჩვენ იმ დროს
როცა მართლაცა და აღნიშნულს პირს გაზეთ „კანდელის“ გა-
მოსაცემათ თხოვნა ჰქონდა მთავრობასთან შეტანილი. ნუ თუ
კანონიერი საქციელი იყო ასეთი გმობა ჯერ არ დაარსებულ
გამოცემის შესახებ. ჭეშმარიტათ რომ საწყენიც არის და
საგმობიც ასეთი საქციელი მაშინდელის ქართველებისა, მა-
გრამ რაში არა ვართ საგმობნი და საძრახნი, ოღონთკი ნ. ნი-
კოლაძის წინაღმდეგ ვისმეს რამე დაეწერა თორემ მის დაბე-
ჭდვით ყველას ფურცლები მზათ იყო, მაშინათვე დაბეჭდავდნენ.
მე მაგონდება მაშინდელი ამბები და ვერ წარმომიდგენია ის,
თუ ზოგი ერთ პირები რას არ ჩადიოდნენ ნ. ნიკოლაძის
წინაღმდეგ! კაცი, რომელიც თავით ფეხამდის თავის სამშო-
ბლო ქვეყნისთვის იყო შეწირული და გარდაცემული, მას

ქვეყნის თვალში მოღალატეთ ხატავდნენ და მთელს ხალხს ამას უმტკიცებდნენ. მაგრამ საზოგადოებაც არ დავარდა სრულიად, შიგა და შიგ იყვნენ ისეთი პირებიც, რომლებსაც ჩვენი გოლიათების ასეთი კიცხვა ცილის წამებანი ნ. ნიკოლაძის საწინაღმდეგოთ უმნიშვნელოთ მიაჩნდათ და აი ერთი მეც მათგანი გახლავარ.

საქმე ისე მოეწყო, რომ ნ. ნიკოლაძეს და ილ. ქავჭავაძეს შუაც ატყდა მკაცრი ბასსი და პოლემიკა. ამ პოლემიკის მიზეზათ ერთის მხრით ბანკის კითხვებიც იყო და ბეს. ღოღაბერიძეს შესახებ ატეხილი ბჭობა, და მეორეს მხრით ზე-

მოთ ხსენებული წერილის საგანიც ადგილობრივ ჟურნალ გაზეთები გამოცემის მნიშვნელობაზე. მე მახსოვს ამ ორი პირის კამათი და დიდათ ვკვირდები!

ნახეთ რა არის ეს სოფლი, თვით განათლებულ კაცებიც, თვით ჩვენგან ქებულნი მამულისშვილნიცკი ჰკარგავენ თავიანთ მოვალეობას და ღირსებას იმ დროს, თუკი მათს საქმეს ვინმე არ მოსაწონის თვალით შეეხო. მაგრამ რას ვიზავთ; ასე ყოფილა კაცის თვისება და ვიდრე ეს თვისება მოისპობა ჩვენში, მინამდის კაი დიდი დრო გავა ამისთვის. მე არ ვიცი დაწვრილებით, მაგრამ საქმის ახლო მცნობი პირები მარწმუნებდნენ, რომ ნ. ნიკოლაძემ და ილ. ჭავჭავაძემ ერთმანეთი ჩხუბშიაც გამოიწვიაო. მე არ უწყი ამის მიზეზი, თუ ნ. ნიკოლაძეში რას უნდა გამოეწვია ასეთი მღელვარება და უკიდურესობა, რომ მან ილ. ჭავჭავაძეს ცხარეთ მიმართა, იმ პირს, რომელსაც წინეთ ქართულს მწერლობაში ცალს ვერ უძებნიდა, რომელიც ქართულს მწერლობაში აწონილ ოქროთ მიაჩნდა, ჭკუის სალაროთ, რომლის ნიჭიც დიდის დიდებით მორთო თავის ერთს მშვენიერს წერილში, „ახალი ახალგაზდობა“ ში, რომელ პირის გამო ნ. ნიკოლაძემ ანტ. ფურცელაძეს ასე შენიშნა: – შენ, ჩემო ანტონ, ილ. ჭავჭავაძის წინაღმდეგ ხმის ამოღების მეოხებით ისეთი ცოდვა გაწევს, რომ ის ცოდგა სიკვდილის შემდეგ საფლავშიაცკი შუბლს გაგიხვრეტავს.

ამ საქმეებთა ისტორიის აღწერას რომ გავყვე, ეს ერთობ შორს წავა. ვაი თუ ამან შფოთიც დაბადოს.

ნ. ნიკოლაძე არის დიდი შორს მხედველობის კაცი. თუ ილ. ჭავჭავაძეს უყვარს თავისი ერი და აკაკს, ვიტყვით ნ. ნიკოლაძის შრომის და მწერლობის მეოხებით, რომ მათზე მეტათ ამ პირსაც უყვარს თავის ქვეყანა და ერი. ასეთმა პირმა რომ ილ. ჭავჭავაძე ჩხუბში გაითხოვოს, ეს მეტის მეტი უნდა იყოს. არავის ეპატიება და მით უფრო ასეთ პი-

რებს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კაცი, ეს ცოცხალი არსება მონა არის სულიერის გარემოების და ბუნების ზე გაგლენის. ნ. ნიკოლაძეს ჩვენში ისე აუტყდნენ მრავალნი, ამას ისეთ ბრა-

ლდებას და ცილის წამებას სდებდნენ და ამ საქმეებს ისეთ პირებიც უწყობდნენ ხელს, რომელთაც იგი სულ არ შეეფერებოდათ. ამ დროის ხსენებულს შემთხვევებს ვერავინ აიტანდა, ვერავინ მოითმენდა, ის გინდ ციდამ მოვლენილი ყოფილიყოს. ნ. ნიკოლაძეს სხვა ცუდი რამეც შეეძლო ჩაედინა, რადგანაც ამისთვის ჩვენი მწერლები ამზადებდნენ მას. ჩვენი გაზეთის მწერლები და მოამბეები. მაგრამ ნ. ნიკოლაძის მაღალმა ნიჭმა ეს არ იკადრა. მან სხვაფერ მოახერხა საქმე და ეს მოხერხება მეტათ კარგი და ჭკვიანიც იყო. იგი გაშორდა ქართველ საზოგადოებას, ქართველს მწერლებს და წავიდა თავის ცხოვრების გზაზედ, საქმეს დაადგა, მისგან უამისობა არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენმა მწერლობამ და ნამეტურ „დროებამ“ მაინც არ მოისვენა, ნ. ნიკოლაძის შესახებ, ახლა სხვა კილოთი დაიწყეს კიცხვა, გმობა, დაცინება და ჭორების ვრცელება. მთელი ქართველობა მობეზრდა ნ. ნიკოლაძის შესახების კიცხვა გმობის კითხვით. ამ გმობის დროს მგმობელნი და მყვედრებელნი თავიანთ თავებს ნამდვილს ქართველ პატრიროტებათ აღიარებდნენ. ამბობდნენ, რომ ჩვენ გვესმის ჩვენი საჭარო მხარეების ვითარება, ჩვენ ვადგევართ კარგ გზას და გარკვეულს პროგრამას. ნ. ნიკოლაძე ვინ არის, რა შვილია და რა მწერალია, იგი მავნებელი პირია ჩვენთვის, მას ჩვენი მიზანი არ სწამს, ჩვენს ნიადაგს ეწინაღმდეგება, ეგ ქართველი კაცი არ არისო.

სწორეთ ასეთმა აფორიაქებულმა გარემოებამ გამოიწვია ნ. ნიკოლაძე, რომ ამან დაწერა რამდენიმე ჩინებული წერილები და იგინი ერთ წიგნათ გამოიცა, სახელწოდებით „საახალწლო“. ამ კრებულში სხვათა შორის დაბეჭდილია ერთი წერილი: „მამულის სიყვარული და მისი მსახურება“ რომელ

წერილიც ნ. ნიკოლაძემ თითქმის გეგმათ მიცსა იმ დროის ქართველ თავობას. ამ წერილით ნ. ნიკოლაძემ კვალად დაამტკიცა თავის მაღალი ნიჭი, საქმის უღრმესად განსჭვრეტა, პოლიტიკურის ვითარების კარგათ ცოდნა, აწონვა მის და დასკვნის შედგენა. მე ურჩევ ჩვენს ახალგაზდობას რომ ქართულს მწერლობაში ამ წერილს ჯეროვანი ყურადღება მიაპყრონ, ამის კითხვას გაჰყვნენ, ვარწმუნებთ ყველას, რომ ესეთი წერილები ჩვენში ბევრი არ ჩამოითვლება.

უკიდურესად აღორძინებულს პატრიოტბაას აუცილებლათ ჭკვიანური პროგრამა უნდა ჰქონდეს შედგენილი. ავყიათ აღორძინებელს მისწრაფებას, უმიზნოთ შედგენილს ლტოლვილებას, უალაგოთ და უდროვოთ რამე საპოლიტიკო და საგვარტომო საქმეებთა ოცნების ატეხას ხშირათ არაფერი სასიკეთო მხარეები მოჰყვება და ისიც ისეთს ერში და მხარეში, როგორც ჩვენ ქართველები ვართ, რომელთაც ბევრ რამ საიმედო და წინ წამყვანი პირობები არ გვაქვს, ხელში არაფერი გვიკავია, უდროვოთ ბრძოლას ჩვენ ვერ შევსძლებთ, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მშვიდობიანის დროით, განვითარება მივიღოთ, მოქალაქობით დავირაზმოთ, დიდ სულოვნება მოვიპოვოთ,

ვეძიოთ ის რაც ჩვენთვის საჭიროა და გამოსადეგი, ხელი
მოვკიდოთ ისეთ საქმეებს რაც ჩვენ ეკონომიურათ და მოქა-
ლაქობით გაგვაძლიერებს, აღვადგინოთ სწავლა, განათლება,
ქართველთა უმრავლესობა გამოვიდეს ბნელის მდგომარეობიდამ,
მან განიბერტყოს უმეცრება, აღსდგეს ქართველთა ახალი ახალ-
გაზდობა, დაემხოს ძველი რწმუნებანი და ოცნებანი, მოისპოს
ჩვენ შორის უსაგნო და უმიზნო შური, ცილი და ბჭობა,
ვისწავლოთ ის, რომ ჯერეთ ჩვენ უნდა მოვრიგდეთ ერთმან-
ერთში, ჯერეთ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ერთობის მნიშვნელობა
და მერე დავიწყოთ დავა მასზე, რაც ჩვენთვის საჭირო და
გამოსადეგია, თუ არა და ორი კაცი ერთათ ვერ მოვთავსე-

ბულვართ, ერთს მეორისთვის ვერაფერი მიგვიწვდია, ერთი
მეორეს არაფერში დავეხმარებით, რიგიანათ შედგენილი წეს-
დება ჩვენ არ გვაქვს, ის არ ვიცით თუ ჩვენი მოქმედება საით
წაგვიყვანს, საით რა კლდესა და მთაბარს წაგვაწყვეტს, მო-
მავალში რას მივიღებთ, რა დაგვხვდება წინ, გავიმარჯვებთ თუ
დავამარცხდებით, რა არის ჩვენის ტომის საბედნიეროთ საჭი-
რო, რა გვარი მიმართულება, ლტოლვილება და სხვანი, რო-
მელთა მოთვლაც აქ საჭირო არ არის, რადგანაც შეგნებულს
ქართველს ყველა ესენი კარგათ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი.

მარტოთ მის ყვირილი არ კმარა, რომ „გაუმარჯოს სა-
ქართველოს ვიყვიროთ“, მამულის მოყვარეობის ჰაზროვნებით
აღსავსე ლექსები ვწეროთ, მოთხრობები და ისტორიული წე-
რილები, ყველა ამაებიდამ არაფერი გამოვა სახეირო ჩვენის
ტომისთვის, თუ მას თან არ ეყოლება ევროპიულის მაღალის
ოსტატურის სწავლა განათლებით აღჭურვილი ქართველ „ახა-
ახალგაზდობა“ და თუ ამ ახალ ახალგაზდობას არ ექმნება რი-
გიანათ შედგენილი წესდება და არ ეცოდინება მიზანი და და-
ნიშნულება თავის აწინდელის მოქმედებისა.

ნ. ნიკოლაძემ ჩინებული გეგმა გვიძღვნა, ჩინებული სწა-
ვლა და დარიგება, მაგრამ უბირმა ქართველობამ აქაც ისევ და
ისევ თავისი უხეირობა გამოიჩინა, თავისი შური, მტრობა და
გაუტანლობა მხოლოდ მიტომ რომ „საახლწლო“ წიგნი ნ.
ნიკოლაძის იყო და არა სხვისა. ამის შესახებ „დროება“ ში
მალე ფელეტონები მოირთო და ნ. ნიკოლაძის ჰაზრები
უარ იყვა, მაგრამ ამაოთ. აი თვით ერთი მე, თქვენი
უმორჩილესი მონა, „სოვრემენიკის“ „რუსკი სლოვოს“ და
„ოტენესტვენი ზაპისკის“ კითხვის მეოხებით გაწურთნული,
დღესაც გაკვირვებული ვიგონებ ზემოთ ხსენებულს ნ. ნიკოლაძის
წერილს თავის შეუმცდარის მაღალ ღირსებით. დღეს მე
თითქმის იმ წერილის გზა და კვალზე ვსდგევარ, მაგრამ ეს

დღეს ჩვენში ბევრმა არ იცის. ამ არ ცოდნის წინ წასაწევ
იარაღათ გახდა ის უადგილო მტრობა, რაც 1880 წლებში

ქართულმა მწერლობა ნ. ნიკოლაძის წინაღმდეგ წარმოადგინა, როცა ქართველთ უმეცრების დროშა ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ აღიმართა. ვიტყვი აქ თამამათ, რომ რამდენიცხსანი გადის და ჩვენი მისწრაფება და ლტოლვა წინ მიდის, იმდენი ნ. ნიკოლაძის „მამულის სიყვარული და მისი მსახურებაც“ უფრო საჭირო გამოსაცნობ კითხვათ შთება ჩვენთვის, რამდენიც ხანი გავა, იმდენი მას უფრო მიენიჭება მაღალი მნიშვნელობა, რადგანაც იგი თავის წერილებრივ მიმართვას დიდხანს არ დაჰკარგაგს. იგი წერილი თავის ჭკვიანურის წესდებით და მართალის ღაღადებით დაფასდება მაშინ, როცა ნ. ნიკოლაძის „ახალი ქართველი ახალგაზდობა“ დაიბადება და აღორძინდება, მინამდისკი მრავალ ასეთ მის შესანიშნავ წერილები ასე იქმნება ჩვენში მივიწყებული. ნ. ნიკოლაძის ნაწერებში, მე არა მგონია მოიძებნოს ისეთი რამე წერილი, რომ იმას თავის შესაფერათ ღირსეული მნიშვნელობა არ ჰქონდეს. მათს ღირსებას ის პირი დააფასებს, ვინც ახალად გითარდება უსკოლოთ და თან მათ კითხულობს. ნ. ნიკოლაძის რამდენიმე წერილი ნათლათ ბრწყინვენ არა მარტო „კრებულში“ არამედ მთელს ჩვენს მწერლობაში. მაგალითებრ მისი წერილები: „გლახის ნაამბობის “ გარჩევა, გრიგოლ ორბელიანის ლექსების, როშფორის მწერლობა, ნამეტურ ახალი ახალგაზდობა, ნაპოლეონ მესამის ცხოვრება და რუსეთის ცხოვრება, რომლის ნახევარი იმ დროს ვერ დაიბეჭდა, დღესაც ჩვენში არა მგონია რომ მათ შესადარი დაიბეჭდოს რამე. ყველა მის წერილები ახალგაზდა მკითხველს უნერგავს მხნეობას, გამბედაობას, ცოდნის მისწრაფებას და ნიჭს, მამულის სიყვარელს, მოქალაქობის სხივოსნთბას, მოსაზრებას, საქმის ვითარების შეტყობას, სხვა და სხვა პირობებთა დარღვევას და დანაწილე-

ბას, უსამართლობის უარ ყოფას, უმეცრების დამხობას, ჭეშმარიტების ღაღადებას, თანასწორობის აღდგენას, კაცის გონების გაფაქიზებას, განკაცებას, სიწმინდეს და ყველაფერს მას, რაცკი კაცობრიობისათვის და კერძოთ ჩვენთვისაც საჭიროა.

ამ ძვირფას მწერლის იდიალები არის მეტათ სპეტაკი, ანკარა, სიფაქიზით მორთული, მისი იდიალები არის მკაცრათ მორჩილი რიალიზმის, ყველაფერში უცდომელი, ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა, ყოველი ჰაზრი ცხადლივ აჩენს მაღალს ენერგიის მექონს პატრონს. არაფერში ამის მოძღვრება არავის უდიდეს პირების და მოძღვრების წინაღმდეგი არ არის, ყოველი მისი განსჭვრეტა პროგრესის თანხმობა არის, ყოველი მისი ნატვრა გამსჭვალულია იმ ღაღადებით, რაც მან „ლუი ბლანსა და გამბეტაში“ წარმოსთქვა, რა სიმპატიაც ამ ძვირფასმა შვილმა იმ მოძღვრებას აღმოუჩინა, რომელ მოძღვრების წარმომადგენელ მოღვაწენიც საფრანგეთის მშრომელ ერს დიდს იმედებს ჰპირდებოდნენ.

ქართულმა მწერლობამ და მწერლებმა მალე იგრძნეს ნ. ნიკოლაძის დაკარგვის მნიშვნელობა, მალე იგრძნეს, რომ ასე-

თი პირის წინაღმდეგ ჩვენგან ჩადენილი საქმეები არ იყო კა-
რგიო. მე ამის შესახებ სასტიკათ მემღვრეოდა გული, მაშინ
ჩვენში ბევრნაირი წრეები იყო. მე „ტეტიათა“ დას ვეკუთნო-
დი. ნ. ნიკოლაძის შეურაცხყოფა უკანონოთ მიმაჩნდა, მე მა-
შინ განვიძრახე ნ. ნიკოლაძის ერთი წერილის დაბეჭდა, სადაც
იგი ქართველ მწერლებს ეხება და ნამეტურ ილია ჭავჭავაძეს.
მე ამისთვის ნ. ნიკოლაძეს მივსწერე წერილი პეტერბურგში
და ნებართვა ვსთხოვე. ნებართვის სრული იმედა მქონდა,
რომ მივიღებდი. მაგრამ საქმე ასე არ აღმოსჩნდა. მაღალმა
ნიჭის და განათლების მექონმა შვილმა წერილი მომწერა და
თან რჩევა, რომ მაგ წერილსკი ნუ დაბეჭდავ და ესა და ეს
წერილი დაბეჭდეო. ეს რჩევა მე მეტათ ზდილობიანათ მივი-

ღე, რადგანაც იმ წერილის დაბეჭდით ხელახლა ატყდებოდა
ერთი დავი დარაბა, რადგანაც წერილში ბევრი რამ არის გმო-
ბილი. ეს წერილი ნ. ნიკოლაძემ ისეთ დროს დაბეჭდა „დრო-
ებაში“ როცა ს. მესხს და მის შუა მტკიცე კავშირი იყო და
ესენი ბანკის კითხვების მეოხებით ილ, ჭავჭავაძის და ბ. ღო-
ღობერიძის წინაშე მკაცრის მოწინაღმდეგობით დაირაზმნენ.
ნ. ნიკოლაძის მაგიერ რომ სხვა ვინმე მწერალი ყოფილიყო,
ის ჩემის თხოვნით ისიამოვნედბა და მალე ნებასაც მომცემდა
დაბეჭდვის, მაგრამ მან არ ინება ეს და ძალიანაც კარგი ქმნა.
ეს არის ღირსება მაღალი გონების მექონ მწერლისა.

როგორც ვსთქვით: ქართულმა მწერლობამ დიდი ძალა
მოიგერა თავიდამ. ამ მოგერების მიზეზი პირდაპირ ს. მესხს
ედება, მის მიმდევართ და ილ. ჭავჭავაძეს. საქმე ისე მოეწყო,
რომ მრავალთ ქართველთ გოდებით იწყეს შეურაცყოფის მო-
გონება, რაც ნ. ნიკოლაძეს მიაყენეს ქართველებმა თუ მწერ-
ლობით და თუ სიტყვით. ერთი, ამათაგანი მეც ვიყავ. სამშო-
ბლოსაგან მოშორებულმა და უცხოობაშა მყოფმა ყარიბმა მო-
ღვაწე ნ. ნიკოლაძემ დაიწყო შრომა „ოტეჩესტვენი რაპისკებ-
ში“. მან დასწერა შესანიშნხაგის მწერლის გარშინის მოთხრო-
ბების გარჩევა, რომელ გარჩევაც მთელმა რუსეთის საზოგა-
დოებამ აღტაცებით წაიკითხა. ამანვე გაარჩია ვალუევის რამა–
ნი და ამ რამანსაც ჩინებული საწყაული მიუწყა. ეს გარჩევაც
მშვენიერობა რამ არის და იკითხება დიდის სიამოვნებით. წერი-
ლი „ლუი ბლანი და გამბეტაც“ ხომ ცხადათ მოწმობს დამწერის
მაღალს კეთილშობილურს იდეებს და გონებით უმაღლესობას.

ნ. ნიკოლაძეს ახლა მის შესახებ უწყეს კიცხვა, რომ
რუსულათ სწერსო. არ იქმნა, არ დასწყნარდნენ. ვიდრე აქ იყო
და შრომობდა მინამდის ქვეყნის ღალატს სწამებდნენ. როცა
ქართველებს მოშორდა და თავის საქმის გზასა და კვალს და-
ადგა, მაშინ რუსულ ენაზე მწერლობის გამო დაუწყეს გმობა.

ღმერთო, გვიხსენით ასეთის მდგომარეობისაგან. სხვათა მრა-

ვალთა შორის ნ. ნიკოლაძეს აკაკიც ჰკიცხავდა, ემდურებოდა, რომ ქართულს შემოსწყრაო. ერთხელ ნ. ნიკოლაძისთვის წერილი მიეწერა პეტერბურგში და ესაყვედურებინა, რომ შენ ქართულს მწერლობას რათ დაანებე თავიო? დაგვიახლოვდიო, ქართულათ დაიწყე შრომაო. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძემ პასუხი მისცა აკაკს და ეს პასუხი მეც წავიკითხე. აი რას სწერს ნ. ნიკოლაძე:

„აკაკი! მწერ, რომ მოდი და ერთათ ვიშრომოთო, ერთათ ვიქმნეთო. ეს ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ გეტყვი, განა ჩვენ ერთათ არ ვშრომობდით. მაგრამ მოხდა შემთხვევები, ჩვენ ერთმანეთში ვერ მოვთავსდით. თქვენ მრავალი, მე ერთი, ერთი აბა თქვენთან რას გავაწყობდი, ზღვაში წვეთი რას გახდება, ამიტომ ისევ მე ვარჩიე თქვენგან განსვლა, ისევ ერთი კაცის დაკარგვა და მოცილება სჯობია, ვინემც უმრავლესობის. თქვენ თქვენთვის დაშთით, მე ჩემთვის წამოველ. იქნება დღევანდელი ჩემი თანამდებობა თქვენს შრომას არ შეედაროს და სახსენებელიც არ იყოს, მაგრამ რა ვუყოთ. ეს შრომა მე მღალავს, მე ვიკლავ ამით ჩემს ჟინს და თქვენ თუ არა, იქმნება მე ამით ჩემს ოჯახობას მაინც გამოვადგე.

თუ გინდათ რამის გაკეთება, ვინ გიშლით, ეგ ბურთი და მოედანი, იშრომეთ და იღვაწეთ, ვინ ოხერი გეჩხირებათ თვალ წინ. თუ არა და მწერ, რომ მოდიო და კვალინდებურათ ჩვენს უღელში შემოებიო და ერთათ ვისაქმოთო. ამაზე გეტყვი აკაკი, რომ ან თქვენ რას შვრებით, რას აკეთებთ და რას ელტვით, რომ მეც მოვიდე და დაგემატოთ ზედა, შემოვება თქვენს უღელში და ვსწერო ის, რაც ათასჯერ მიწერია და მიღეჭავს. ამიტომ ჩემო აკაკი თქვენ თქვენთვის ბრძანდებოდეთ და მე ჩემთვის ვიქნები.“

დაახლოვებით აღარ მახსოვს ამ წერილის სტრიქონები.

იქნება აქა იქ თითო ოროლა სიტყვა მეტნაკლებია, მაგრამ ჰაზრიკი სწორის. ამაზე ახლა ჩვენ ვიტყვით რამეს და გამართლება გულწრფელის მკითხველისთვის მიგვინდვია. მან გაარჩიოს ნ. ნიკოლაძის წერილი და მან დასდოს განჩინება, თუ ნ. ნიკოლაძეს რა უნდა მოეწერა აკაკისათვის.

გუშინ წინ, ქართულმა მწერლობამ ყბათ აიღო ისეთი პირი, როგორიც ნ. ნიკოლაძეა. ამის წინაღმდეგ ავრცელებდნენ ყოველ ნაირს ჭორს, ცილის წამებას, მტრობას და თვით ქვეყნის ღალატსაცკი. საქმე და უზდელი უზნეობა იქამდის მივიდა, რომ ამ პირს ჯაშუშობაცკი დასწამეს. ამას გარდა რამდენი კიდევ სხვა რამეები. უმრავლესობა ამ კაცს შეებრძოლა, უმრავლესობამ ამის მოქმედება დაინახა მტრათ, სავნოთ ქართველთა, სავნოთ ქართველთა გვარის, ცხოვრების პირობების, ქვეყნის მდგომარეობის და ვინ იცის რამდენ სხვა რამეებს არ სწამებდნენ კიდევ. მრავალნი მეშფოთარნი და მტერნი იტყოდნენ: ნ. ნიკოლაძე მოგვშორდა, გაგვეცალა, მადლობა ღმერთს, ახლაკი მოისვენებს ჩვენი მწერლობა, ახლაკი და-

სწყნარდება ყველაფერი, ყველა შფოთების ძირი ეგ არის, ყველა ამბოხების თავი ეგ არის, ეგ რევს ჩვენს მწერლობას, მიმართულებას, საზოგადო საქმეების დაწყობილებას, ერთობას, სიყვარულს და სხვანი. ამიტომ შორს ნ. ნიკოლაძე ქართველებისაგან! იქით წადით, გაგვშორდი, ჩამოგვეცალე, რადგანაც შენ მტერი ხარ ქართველების, მოქიშპე და მოუსვენარი! მე არ შემიძლიან ყველა ამბები მოვიგონო. ამას მოწმობს მაშინდელი ჩვენი გამოცემანი. მე ამის გამო გული ნაღვლით მესებროდა და დიდათ ვდარდობდი, ვდარდობდი არა ნ. ნიკოლაძეს, არამედ ჩვენს თავს და ჩვენს მწერლობას. ვეკითხებოდი გარემოებას და ჩემს სამშობლო ქვეყნის ბედს: თუ რათ ვშვრებით ამას, რას ჩავდივართ, ვის ვებრძვით უკანონოს ჭორიკანობით, რისთვის, რის სამაგიეროთ, რათა, რა დაგვიშავა,

ვის რა წაართო, ვის რა წაუხდინა, ვინ ჰკიცხა უკანონოთ, ვინ ჰგმო უჯეროთ და სხვანი. იმას რასაც ჩვენ უნდა ვეტრფოდეთ და გარს ვეხვეოდეთ, ჩვენ ჩვენის ყოყოჩობით თავიდამ ვიშორებთ, ვგმობთ და ვსდევნით. ეს ამბები ტყუილი არავის ეგონოს. მე აქ ამაებს დაწვრილებით არ აღვწერ, რადგანაც ამის მოხსენებაც კმარა, ესეც საკმარისის ნაღვლით ავსებს ჩემს გულს და სულს, ესეც მწარეს ფიქრებით ამღელვარებს ჩემს არსებას, ესეც კმარა, ესეც კმარა ქართველთა ზოგთა შესარცხვენათ და საგმობლათ.

ვამბობთ საგმობლათ მით უფრო, რადგანაც სდევნის და ჰგმობს ისეთ მამულისშვილს მოღვაწე მწერლებს, როგორიც ნ. ნიკოლაძეა, მის მაგიერ ვის იხვევს გარს, ვის იახლოვებს და ვის ულოცავს თავის მწერლობის ასფარეზის უფლებასა? მაგრამ გავიხსენებ დიდებულის ვიქტორ ჰუგოს სიტყვებს:

> გალილეიმ სთქვა: მიწა ბრუნავსო, –
> ბოროტათ ჰკიცხეს, სტანჯეს ამისთვის...
> სჩანს რომ ბუნების კანონი არის,
> რომ ჩვენ კაცების წარმატებისთვის
> უკეთესები ჯვარს უნდა ეცვან,
> შეგვწირონ იმათ თავისუფლება,
> მოაკლდნენ ჩვენთვის თვალის სინათლეს,
> გვიმსხვერპლონ სული, გული, გონება,
> მარად იშრომონ მოყვასთათვისა,
> მათ ოფლი ღვარონ და სისხლი სთხიონ,
> და ჩვენგანკია ამ ღვაწლისათვის,
> ცუდი სახელი ჯილდოთ მიიღონ.

ჩვენ მაინცა და მაინც არ ვკვირობთ ქართველთაგან ასეთს საქციელს და გარემოებასა. უნდა შევნიშნთ პრუდონის სიტყვით, რომ ასეთი ხვედრი და წამები ბევრს შესანიშნავ კაცებს მოსვლიათ, თუნდ ვიქტორ ჰუგოს, ლუი ბლანს, პრუ-

დონს და ბევრს სხვებს. თუმც ნ. ნიკოლაძე დევნილ იქმნა
თავის მოძმეთაგან უკანონოთ და უჯეროთ, მაგრამ იგი რო-
გორც მოყვარე ქართველის ერისა დარჩა მაინც იმ მაღალის
ღვთაებრივის მადლით, ბუნებისაგან მინიჭებულ იმ მამულის
სიყვარულით, რომლითაც იგი ახალგაზდობიდამვე აღფრთო-
ვანდა, რომლითაც აღინთო მისი გულის ლამპარი, რომლითაც
აყვავილდა მისი ლტოლვილებანი გულის ძგერანი, ის კი-
დევ ისევე დაშთა, იმავე მამულის შვილათ. თუმც შორს იყო
მაგრამ ჩვენს მდგომარეობს მაინც ჯეროვან ყურადღებას აქ-
ცევდა, მთელს ქართულს მწერლობას იბარებდა და ქართველთა
შესახებ სხვა და სხვა ენებზე წერილებს სწერდა. იგი ამ ხა-
ნებში ირიცხებოდა კავკაზიის რკინის გზის მართველობის წა-
რმომადგენლთა. ამ თანამდებობით მან დიდი დავალება დასდო
ქართველთ, მან ძრიელ ბევრი მოხელე და ახალგაზდა ხალხი
დააყენა აქა იქ, ბევრი გაჭირებული ყმაწვილი კაცი დაიხსნა
ამან განწირულებიდამა, ბევრს მისცა დახმარება, ბევრს მისცა
შემწეობა. ბევრნი დააყენა კარგს თანამდებობაზე. ამისთანა სა-
ქმეებში მას ჩვენში ცალი არავინ ჰყავს. მისი მხნეობა, გამბე-
დაობა და რიხიანი შეხედულება ყოველთვის ამტკიებენ ამ სა-
ქმეთა პატივის ცემის ნიშნებს. მან იცის, რომ სიტყვა საქმეთ
უნდა იქცეს და არა სიტყვა ცარიელ სიტყვათ დაშთეს, ამი-
ტომაც იყო, რომ ეს მხნე მამულის შვილი თავის ქვეყნისა
დიდის გამბედაობით მეცადინეობდა ხოლმე მრავალთ ქართველთ
დასახმარათ, ამის მეოხებით დღესაც ძრიელ ბევრნი, ძრიელ
ბევრნი სცხოვრებენ ნამუსიანათ და სჭამენ ლუკმა პურს.

ჩვენ რომ დაწვრილებით აღვწეროთ ყველა ის საქმეები,
რაც ნ. ნიკოლაძეს ამის მხრივ მიუძღვის, ეს მაშინ ერთობ
შორს წავა, ამას ჩვენი გამოცემის გარემოებაც ვერ აიტანს.
თუმცაკი ნ. ნიკოლაძის ყოველი ამ გვარი საქმე უნდა აღიწე-
როს, რომ იგი სამახსოვროთ და მისაბაძავათ გახდეს სხვე-

ბისთვის. განვლეს ნ. ნიკოლაძის.სამსახურის დღეებმაც და
იგი საქართველოში გადმოიყვანეს, აქ გაათავა სამსახურის სა-
ქმე, თფილისში გადმოსახლდა. თფილისში ეს კვალათ შეება
ადგილობრივ რუსულს გაზეთ „ნოვი აბოზრენიეს“ და შრომა
დაიწყო. შრომა რასაკვირველია ისევ და ისევ თავისებურათ
წინანდებურათ, ხოლო სასარგებლოთ ჩვენის ტომის და ჩვე-
ნის მოძრაობის. ქართველთა უკანასკნელ კი გამოიფშვნიტეს
თვალები, იგრძნეს თავიანთი შეცდომები, თავიანთი ჭორები.
მაშ დავიწყოთ ჩვენ იმ დროთა და ხანათა ნ. ნიკოლაძის შრო=
მის და მოქმედების აღწერა, როცა მან ზემოხსენებულს გა-
ზეთში მუდმისად დაიწყო მოქმედება. შედეგი გამოაჩენს მას,
თუ ჩვენგან ზემოთ აღწერილ დროთა მეამბოხენი და ნ. ნიკო-
ლაძის მგმობელნი უნდა ყოფილიყვნენ მართალნი, რომ ამ
შორს მსჭვრეტელ მამულისშვილს ღალატს სამებდნენ, თუ

თვითონ ნ. ნიკოლაძე, რომელსაც ქართველი ერის საბედნიეროთ ვინ იცის რაები არ ჩაუდენია, ვინ იცის რამდენ ნაირი შრომა არ მიუძღვის, ძნელია ყველას აღწერვა. მე მოვიყვან აქ ერთს მის სიტყვას, რომელიც მე გავიგონე, სიტყვა პეტრე უმიკაშვილს უთხრა ერთს სამკითხველოში.

პეტრე! იცი რას გეტყვი, ილ. ჭავჭავაძემ და ბ. ღოღობერიძემ თუ ისე დააწყეს საქმე, როგორც მათ სურთ. მაშინ ქართველთ მემამულეთა საქმე ერთობ ცუდათ წავა. რაც პრიკაზის გაყიდვას გადარჩა, ის დღეის შემდეგ ამ ბანკის საშუალებით დაიყიდება და მის სყიდვა თუ აქამდის ერთის უცხოს ტომის მოსულ ხალხისაგან ხდებოდა, დღეის შემდეგ იგი მოხდება სხვა და სხვა მოსულ ტომთაგანაც. ამიტომ საჭიროა ბანკთან კამისიის შედგენა, დაარსება და ამ კამიტეტის წევრთა დახარებით მეცადინეობა რომ ვინიცობა არის და თავადს, აზნაურებს ან სხვა მემამულეს მამულები გაეყიდოს სოფელში, ის მამულები უმიწა წყლო გლეხებმა შეიძინონ, მათ

მისცენ პირიანათ და დავარწმუნებთ, რომ იგინი ბანკის ვალს ყოველთვის თავისუფლათ გადიხდიან. დაუმატოთ აქ, რომ ნ. ნიკოლაძე საყოველთაოთ ამ ჰაზრის იყო ბანკის არსებობის შესახებ და ყოველთვის ამას ითხოვდა, ერთის მხრით ესეც გახდა ილ. ჭავჭავაძესთან მკაცრათ გაბაასება და კამათის მიზეზი. ამან ერთს წერილში გაატარა ესეთი ჰაზრი: ჩემო ილია! თუკი ამას არ მოახერხებ, რასაც მე მოგახსენებო, მაშ რაღაზე სწერ, რომ საქართველო, მამული და გლეხკაცობაო, გლეხკაცობას საქმით უნდა შველა და არა ცარიელის სიტყვებით და დაპირებით.

ამაზე სჯა ჩვენთვის სახელმძღვანელოთ უნდა დაშთეს, რომელ ქართველსაც გული გამთბარი აქვს თავის ქვეყნის სიყვარულით და ის იმავ დროს ნ. ნიკოლაძეობასაც სჩემობს, იმას ურჩევთ, რომ თვისებურს გზასა და კვალს მოეგლიჯოს და წმინდათ ნ. ნიკოლაძისებურს გამბედავს მოღვაწეობას დაადგეს. ჩვენმა მამულის შვილმა ქართველთ ტომის ცხოვრებაში ბევრი არა სასიამოვნო მხარეები ნახა და ამ მხარეებს მან ნათლათ შეამჩნია ის, რომ ეს არსებული მხარეები თუ არ მოისპო, ან თუ არ შეინჯღრა მაინც მცირეთ, უამისოდ ქართველ ტომს მომავალში განსაცდელი დახვდება გარსაო. განსაცდელი რასაკვირველია პირველათ ქართულ ენას მოადგება. ამ განსაცდელის წინ წამოწევას ერთის მხრით აწინდელი წეს წყობილებაც უწყობს ხელსა, მეორეს მხრით თვით ერის უძლური მჩატე მდგომარეობაც. პრუდონისა არ იყო და ამას უნდა ეცადნა ის, რასაც სხვები შეუძლებლათ სთვლიდნენ.

კაცთ მოყვარება და ქრისტიანულის მოძღვრების დედა ჰაზრები მტკიცეთ თხოულობს ერთმანერთის სიყვარულს და ჭეშმარიტს ძმობას. ამასვე ითხოვს მეცნიერება, ფილოსოფია და სასულიერო წოდება. დაცულ იქმნეს ყოველი ერი, ყოველი

ერის ენა და სხვანი. რადგანაც ყოველი ერი თავის წეს ჩვეულებით, ზნე ხასიათებით და ენით მეცნიერებისთვის სალარო მასალას წარმოადგენენ. გარდა ამისა ეს სანატრია მით უფრო, რადგანაც ხალხი, რომელიც თავის ენით ვითარდება და წინ მიდის, ის უფრო. მაღლა იწეგვს გონებით, ზნეობითი მსახურებით და განათლებით, ეს უსწრობს ბევრს ისეთ ხალხებს, რომლებიც მოკლებულნი არიან ამ ბედნიერებას.

კაცთმოყვარის მოქალაქის ნ. ნიკოლაძის ჰაზრები წმინდა წყაროსავებ კამკამებენ. ამ საკამათო წერილებში მოყვანილი და გატარებულ კითხვებთა სხივები ყველა ქართველს სადიდებლათ და სანუკათ უნდა მიაჩნდეს, ყველა ქართველი უნდა მედიდურებდეს ამ პოლემიკის ისტორიით. დრო იყო და არის კიდევაც, რომ გიძიოთ იგი, რაც უნდა გვქონდეს და ვპოვოთ, დრა ვიძიოთ იგი, რომ ძალი შევიკრიბოთ გარს, ეს ძალი გახდეს ჩვენის ცხოვრების იარაღათ, ჩვენ ვიქმნეთ სასარგებლო წევრნი ქართველობისა, სასარგებლო შვილნი, ყოველი წესი და რიგი აღვასრულოთ გარემოების გვარად ჩგენზედ ნაბძანებ-მოწერილი და თანვე დიდის პატივის ცემით შევინახოთ ის წეს ზნე ჩვეულება და ენა, რაც ჩვენს ძველებს ჩვენს სამკვიდროთ გარდმოუციათ, რაც მათ თავიანთ თანამორწმუნე ძლიერს სახელმწიფოს ჩააბარეს დიდის სიხარულით, და ნეტარებით. ჩვენ ზოგი ერთს ხალხივით არ ვართ სრულიად საიმედო პირობებით დაკარგულნი და წყალ წაღებულნი, ჩვენ გვაქვს თითო ოროლა უფლებითი მუხლები. ეს ხომ საწყალმა მ. ხელთუფლისშვილმაც დაამტკიცა. ამიტომ და მასთანვე როგორც ერთგულნო ვითხოვთ ის, რაც ჩვენთვის საჭიროა, სასარგებლო, რითაც ჩვენ უფრო წავალთ წინა და ეს არც სხვებისთვის იქმნება საზარლო. მაგრამ კეთილ ჰაზრებს არ მიეცა განხორციელება. კეთილი ჰზრები მხოლოდ ქაღალდზედ დარჩა კეთილ ჰაზრებათ და ამის ნაცვლათ გაშლილ გაფართოებულ იქმნა ზოგი ერთ ხალ-

ხთა ყლაპია პირების ჰაზრები, რასაც ცხადი საქმეა, მომავალში გმობის მეტი არა მიეწყვება რა, რადგანაც ასეთი ჰაზრები საგმობია დღეს და მომავალში უფრო მკაცრათ იქმნება გმობილ თვით იმ პირთა ტომთა რიგიან შვილებთაგან, ვისაც ეს ყლაშია პირები ეკუთვნიან დღეს.

ნ. ნიკოლაძის მაღალ ნიჭის შესახებ პოლემიკაში და კრიტიკაში ჩვენ ზემოთაც ვსთქვით და აქაც ვიტყვით, რომ მას ჩვენში ცალი არ ვინ ჰყავს. ამისი წერილები „ვეფხვის ტყაოსნის“ შესახებ ნ. ჟაბადრის წინააღმდეგ მშვენიერი იყო ველასფრით. ხომ მოგეხსენებათ ნ. ჯაბადრის წერილებმა რა ალიაქოთი ასტეხა ქართულს მწერლობაში. ილ. ჭავჭავაძემ მთელი რიგი წერილები ბეჭდა ხსეხებულ პირის წერილების წინაღმდეგ. ნ. ნიკოლაძემაც არ დასტოვა ეს კითსვა უყურად-

ღებოთ. ამან სთქვა: ჩვენ ზოგი ერთის ჩვენის კაცების მოსვლით დიდი იმედები გვქონდა, გვეგონა მოვლენ ჩვენს სამშობლოში და ათას რამე კითხვებს აღძრავდნენ, მოვიდნენ, მაგრამ ერიჰაა! ჩვენი ჰაზრები და ნატვრა არ გამართლდა. მათ დაიწყეს არქელოგიისაკენ ხეტიალი და წერა მასზე თუ „ვეფხვის ტყაოსანი“ ვისი დაწერილია, როდის, ვისგან, რა ენიდამ არის ნათარგმნი და სხვანი. ამის გამო სტედება შფოთი, უნაყოფო პოლემიკა, კამათი და ნეტა მაცოდინა, თუ ყველა ამაებით რა სურთ ზოგი ერთ პირებს, რა განძრახვას ადგანან იგინი, რა მიზანს ეკუთვნიან და ან რა უნდათ თუ ხსენებული პოემა ვისი დაწერილია, როდის და ვისგან. იგი კარგი რამ არის, ღირს შესანიშნავი და სხვაფერ რა გნებავსთ თქვენაო.

ამ კითხვებმა საკმარისად ააღელვა ზემოხსენებულ წერილის დამწერი. მან კითხვის უმთავრესი მუხლები შესცვალა და ნ. ნიკოლაძეს ჰკითხა: მაშ ჩვენ რაზე ვისაუბროთ, თუ არ არქელოგიაზე, გვიბძანეთ ერთი, ნავთზე, ნავთის ჭურჭელზე,

რკინის გზების და ქვანახშირების კამპანიებზე? და ასე ამ გვარები. ეს პასუხი მისცა მას ისეთმა პირმა, რომელმაც 15 წელიწადი ვინ იცის სად გაატარა დრო და რომელიც ერთს უკიდურეს დასის მოძღვრების მიმდევრათ ითვლებოდა. ამაზე ნ. ნიკოლაძემ პასუხი აგო ასე: თქვენ, როგორც სჩანს, ძალიან მწერალი ბრძანებულხართ ზოგი ერთს კითხვებთანა. ნავთს, ჭუჭყს, რკინის გზას, შავქვას და ნახშირს დღეს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენი ერის წინ წასაყვანი ძალი და ეკონომიური მხნეობა ამაებზეა დამოკიდებული. აბა მიბძანდით ბათუმში, ბაქოში და სხვაგან და ნახეთ თუ ამ საქმეებზე რამოდოლა მუშა ხელი მუშაობს, რამოდელი ხალხი სჭამს ლუკმა პურს, რა საქმეები არ კეთდება და ერი როგორ არ იწევს მაღლა. ვინც ამ საქმეებს ზურგს აუქცევს და ამაზე მაღლა არქელოგიას დააყენებს და ისიც უბრალო საქმეების გამოკვლევის უკან დევნას, ანუ ისეთ კითხვებს, რაც გარკვეულიც არის და დამტკიცებული, ის მე უბრალო შრომათ მიმაჩნია.

ამ ჩინებულს მოსაზრებას განმარტება და ახსნა აღარ სჭირია, მგონი ყველასთვის ცხადი უნდა იყოს თუ დღეს ჩვენში ზემო ხსენებულს სამრეწველო, სავაჭრო და სამუშაო საქმეებს რა მნიშვნელობა აქვს. ამ საქმეების მეოხებით ჩვენში დიდი ძალი მუშა ხელი გამოვიდა ცხოვრების ასპარეზე, შეერთებით ყოფნამ და მუშაობამ ზოგის გონებაზე თუ ცუდი შედეგი იქონია, ზოგისაზეკი მეტათ კარგი. უმრავლესობა მუშა გლეხებისა გამოვიდა ძველის ბნელის ოცნებიდგან. მათ შეისწავლეს უსკოლოთ და უმასწავლებლოთ ქართული წერა კითხვა, იწყეს წიგნების კითხვა და განკაცება, სამოქალაქო თვისებების მიღება. ეს განვითარება საქართველოში წავიდა და მოიფინა როგორც ადგილ-ადგილ, ისევე რიცხვითაც.

დღეს ქართველებში ამ ბოლოვნებისაგან დაბადებული ძრიელი

მუშათ დასები არსებობენ და ამ დასებში პროგრესმა ისე აღიწია მაღლა, საკეთილო ლტოლვილება ისე აღფრთოვანდა, რომ ბევრნი მუშები სხვა და სხვა საპოლიტიკო, ეკონომიურს და სამეცნიერო საგნებზედაცკი სჯიან, კამათობენ და ოცნებობენ. ყველა ეს ჩვენში ნათლათ, თვალ ხილულათ სჩანს. ყოველს საზოგადო საქმეებში ეს მუშები იღებენ მონაწილეობას, სადმე გაზეთებში ხელის მოწერა არის გამართული. უმეტეს ნაწილს ამათ რიცხვთა გვარებს ხედავს კაცი სიაში მოწერილს, სადმე რამე საქვეყნო საქმე კეთდება, აქაც იღებენ მონაწილეობას, აფუძნებენ სხვა და სხვა საზოგადო ამხანაგოებებს, ფულებს აგროვებენ ერთმანერთში და მომგებიან ბილეთებს ყიდულობენ, საერთო ქარხნებს ხსნიან, ამისთვის წესდებებსაც ადგენენ, არკვევენ და მთავრობას ამტკიცებინებენ, ბევრნი ამათგანი მწერლობასაცკი მისდევენ, ბევრნი სწერენ მშვენიერს ლექსებს, ისტორიულს წერილებს, ადგენენ კრებებს, გროვდებიან აქა იქ და საუკეთესო მწერალთ ნაწერებს არკვევენ და კითხულობენ, მეცადინეობენ, რომ თვის მოზარდ თავობაში შეიტანონ რამე სხივოსანი ჰაზრები და მის მეოხებით დასცენ ბევრი რამ ძველი რწმუნებანი და ოცნებანი. ესენი რადიკალურათ იღვწიან სიძველეთა წინაღმდეგ, ამათში სჩანს მაღალი სული, ახალი ძალა, გამბედაობა და ხალასი სუფთა ნიჭი, ამათგან გამოდიან სრულიად ახალი ტვინის, ცოცხალი გრძნობის და სუფთა სიცოცხლის მექონი სახალხო მოღვაწე გმირები, – ნაროდნიკები. ესენი მკაცრათ ეწინაღმდეგებიან ყველა უსწორ მასწორო წესებს, უთანასწორობას, უმეცრებას, უსამართლობას და ყველა იმ რამეებს, რაცკი ზემოხსენებულს უხეირო წესებს მშვიდობის მყოფელის ძალით ინახავს, რაც მათს დასაფარავათ უკანონო განონმდებლობაც დაუარსებია. ყველა ეს ახალი სულისა და ხორცის მექონი შრომის, მეცადინეობის და მხნეობის შვილები სრული რიალისტები არიან. მათი ცხოვრებაც გამცნებული

რიალიზმის თანხმობა არის. უნაყოფო იდიალისტობ. მათში ფეხს ვერ იდგავს. რიალიზმი იქმნება თვით ამ მუ შებმა არცკი იციან რა არის, მაგრამ მათი ცხოვრება, მათი ცხოველის მყოფელის გრძნობებით აღსავსე მისწრაფება და ლტოლვა არის წმინდა რიალიზმი, მათი აჰზრი ვერაფერს უსამართლობას ვერ აიტანს, მათი ნაზი გრძნობა და გული ვერაფერს სულის მდაბლობას ვერ მოუხრის თავს. მათი ცხოვრება გამუდმებულს ბრძოლას წარმოადგენს, მათ. „მრწამსათ“ გამხდარა შემდეგი:

„განსცხრი სიკვდილო, მწუხარე მხარეს,
რაც იქ მიხრწნილა შთანთქე, განფანტე,
და ხრწნილებისა ახალ სამარეს,

ახალ ცხოვრების დროშა აღმართე.

ყველა ასეთ პირებთა და აღორძინებულ ძალოვნებას უმთავრეს სახსრათ ის დაწესებულებანი ჩაითვლებიან, რომლებსაც ბატ. ჯაბადარი უარს ჰყოფს და რომელ დაწესებულებათა საქმეების სასარგებლოთ ჩვენმა მხნე და ახოვანმა მამულის შვილმა დიდათაც იღვაწა. აქ ამაზე უნდა ვსთქვათ, რომ ნ. ნიკოლაძეს არა მცირედი შრომა მიუძღვის ხსენებულ საქმეებთა აღორძინებულს ისტორიაში. ამის მხრით ნ. ნიკოლაძის შრომას ვრცელი ისტორია აქვს, თუ ერთის დაწესებულების და თუ მეორის, ამ პირმა ძრიელ ბევრი სწერა, ბევრი იბრძოლა, ადგილობრივ გაზეთები ყოველთვის ამის შესახებ წერილებით ივსებოდა. დიდი შრომა დასდო მასზე, მთავრობას მაღალის ხმით და ჭკუით ამცნევდა ნავთის ჭუჭყის ევროპაში არ გატანას, ამის ქარხნების აქვე დახსნას და აქ დაწმენდას, რაის მეოხებითაც ადგილობრივ მცხოვრებთ დიდი ძალა და შეღავათი მიეცემოდათ საქმეებში და ამის საშუალებით ცხოვრებასაც გაიმაგრებდნენ. კეთილმა რჩევამ თავისი გაიტანა და საქმეები ისე მოხერხდა, რომ ნავთის დასაწმენდი ქარხნები აქ

დაიმართა, ნავთის წასაღებ ჭურჭელსაც აქ დაუწყეს კეთება, ამაზე დაბანდდა დიდი ძალი მუშა ხელი, უმეტეს ქართველ ტომის და ნამეტურ მეგრელ გურულების. ამ მუშაობის მეოხებით მრავალთა ქართველთ მუშებმა მოიპოვეს ფულები და ამით დაიწყეს აქა იქ პატარ პატარა დუქნების დახსნა და ვაჭრობა, მრავალთა ვაჭრობის საქმე კარგათ წაუვიდათ და დღეს იგინი ჩინებულათ აწარმოებენ თავიანთ სავაჭრო და სამრეწველო საქმეებს. დაძინებულს ერს მიეცა გამხნევების ძალა, ვაჭრობის შეთვისების საფუძველი და დახმარება. იგი გამოვიდა ახალს სავაჭრო ასპარეზე, ახალი აღებმიცემა არის სახსარი განითარებისა.

ამ საქმეების მოხდენის გარდა ნ. ნიკოლაძეს დიდი შრომა მიუძღვის შავი ქვის და მადნების გამოძებნის და ევროპაში გატანის წარმატებაზედაც. რაც ამან ამ საქმეებისთვის ეწვალა, რაც ამან იშრომა, იღვაწა ამას კაცი ვერ აღწერავს, მაგრამ ასეთს შრომას ისტორიაშიაც გაჩნდნენ მის მოცილენი. ესენი ამტკიცებდნენ, რომ ვითომც ნ. ნიკოლაძეს არაფერი შრომა მიუძღვის ხსენებულ მადნების განვითარების და ფეხზე წამოწევის საქმეში, ვითომც მასზე მეტი შრომა სხვებს მიუძღვისთ, მაგრამ ამას ნ. ნიკოლაძე ივიწყებს და ყველაფერს მოგონებას, შრომას და ამ საქმეების ფეხზე წამოყენებას თავის გამჭრიახობას და შემძლებლობას აწერს. ამ საწინაღმდეგო ჰაზრებმა გაიტაცეს თვით ჩვენი საყვარელი აკაკი წერეთელიც, რომელმაც ნ. ნიკოლაძეს დიდათ ჰყვედრა და მის შრომა ცრუ შრომათ აღიარა, ვითომც ნ. ნიკოლაძემ იმდენი არაფერი გაეკეთა საქვეყნო საქმეების სასარგებლოთ, რამდენიც თვით ისარგებლა, მაგრამ ეს არ არის მართალი. ნ. ნიკოლაძეს რომ სულ

თავის სარგებლობის უკან ეარა, როგორც ზოგი ერთები ბძანებენ, მაშინ ნ. ნიკოლაძის სიმდიდრის ზომა ასე არ იქმნებოდა, რაც იმას დღეს აქვს. იგი იქმნებოდა დღეს შეძლებუ-

ლი მდიდარი, მაგრამ ამას ასეთ შებოჭვის გზაზე არ უვლია. ნაცვლად ამის ამან დაკარგა მთელი თავის შეძლება, რაც მამამ დაუტოვა. ნ. ნიკოლაძე არის მამულისშვილი თავის ქვეყნისა და ამიტომ მას თავის სამშობლო ქვეყნის წინაშე სამსახური იმის იარაღათკი არ მიაჩნდა, რომ ფული შეებოჭა და გამდიდრებულიყო, არამედ თავისი შრომა მას მიაჩნდა სამშობლოს საჭირო მსხვერპლათ, მალამოთ და რომ საქმე ყოფილიყო, მაშინ იგი ამისთვის თავსაც დასდებდა.

დღეს შავი ქვის და ნახშირის წარმოებით მთელი კუთხეები დღესასწაულობენ და სოფლის ხალხი იძენს ლუკმა პურს, მრავალნი მათგანი დახდნენ ფულის პატრონები, გაიმაგრეს ზურგი, გამოვიდნენ ძველის მდგომარეობიდამ, იწყეს კაცურათ ცხოვრება, დაიკეთელს სახლები, შვილების სწავლას მიაპყრეს ჯეროვანი ყურადღება, სრულს ადამიანებათ გარდიქცნენ. ამ წარმატების შრომისთვის ნ. ნიკოლაძის შრომა უნდა შეიმკოს შემდეგით:

ვინ შეედრება ბედნიერებით,
მას, ვინც ძმისათვის დღე და ღამ შრომობს,
ვინცა სულ მთელათ სრულის არსებით
მხოლოდ მისია და მისთვის სცხოვროს!
ვისაც ვალად აქვს ძმის სამსახური,
მისი სიკეთე უღელვებს გულსა,
ვალად აქვს შრომა პატიოსნური,
რომ მით შესძინოს რამე მამულსა.

ჩვენის ტომის წინაშე დიდი დავალება მიუძღვის ნ. ნიკოლაძეს და ნამეტურ გლეხკაცობის წინაშე. ამისი ნაწერები იმავ თავიდგანვე გამსჭვალული იყო ხსენებელ წოდების პირად უფლებათა მხარეების მოპოვებისთვის. მათი პატივისცემა, თანაგრძნობა და სიყვარული ყოველს მის სტრიქონში გამო-

იჭვრიტება, ცხადათ ჰფლობენ მის ნატვრა და ჰაზრები, რომ ეს წოდება გამოვიდეს თავის ძველის გზიდამ, მათგან აღსდგეს „ახალგაზდობა“, ამ ახალგაზდობამ ჩაიდგას განვითარების სული და მერე სამშობლო ქვეყნის საღაწო ასპარეზეც გამოვიდეს. სადაცკი ამ წოდების შესახებ რამე საქმე ყოფილა იქ ნ. ნიკოლაძეს უანგაროთ და შეუსყიდავათ უღვაწნია. განა ხიზნების შესახებ მოწინავე წერილების წერაში ამას ვინმე შეედრება, არავინ, პირველად ამან მიაქცია ყურადღება ხიზნების სა-

ბრალო მდგომარეობას, პირველათ მან დაიწყო ამ საბრალო ხალხის ცხოვრების შესახებ წერა და ბეჭდვა, პირველად ამან ამოიღო ხმა მათ სასარგებლოთ იმ სახით და მიმართვით, რომლის მსგავსად საქართველოში და რუსულს მწერლობაში მის მინაგვარი არა თქმულიყორა. თუ ამბობდნენ რამეს უფრო მეზატონეთა სასარგებლოთ და ხიზანთა არა საპატიოთ, ამას ადგნენ თვით მრავალ ქართველ საპატიო პირები და ხიზნებზე სხვა და სხვა ნაირს არა კაი ჰაზრებს აცხადებდნენ, მაგრამ ნ. ნიკოლაძე კი განრინებული იყო ამისგან და იგი ქადაგებდა ხიზნების ცხორების გაუმჯობესობას, მათს შებრალებას და კაცათ ცნობას, რაც თვით სახელმწიფოსთვისაც იქმნებოდა სასარგებლო, თუ სახელმწიფო ამ საბრალო მშრომელს ერს სადმე საკუთრებას მიანიჭებდა და დაიხსნიდა სხვა და სხვა მამულის მეპატრონეთა დევნისაგან. მისმა წერილებმა თავისი გაიტანეს, მას აჰყვა მთელი საზოგადოება, მთაგრობა, ატყდა კითხვები თვით სატახტო თვიურს ჟურნალებშიც და დღეს ხიზნების მდგომარეობის შესახებ კომისიები არსებობს მთავრობისაგან და ესენი მკაცრათ მეცადინეობენ, რომ ხიზნების მდგომარეობა როგორმე კაცთ მოყვარულს პირობებში მოათავსონ. ასეთ დასჯილ და ბედშავ ხიზნების ცხოვრების გაუკეთესობის ნატვრის გამო ნ. ნიკოლაძის შრომა დიდათ საქებია და სადიდებელი.

არ დაივიწყო, რომ ვალი გაძევს,
მისი ვინც ობლად, ღარიბად არის,
ვის გაჭირების უღელი აწევს,
ვინც მწუხარეა, მჭლე და ფერ მკრთალი.

ჩვენი სამშობლო ქვეყანა საქართველოს სამეფოს დაუძლურების შემდეგ გახდა მსხვერპლათ არა უმართებულო და უკანონო პირების. საბრალოს და ძველათ დაბრძნილს ქართველობაში დაიბადნენ მრავალნი უგვანი პირები. ამ უგვან პირების უმეტესი ნაწილი სხვა და სხვა დიდს წოდებათა სასახლის შვილებს ეკუთვნოდნენ. ამის მეოხებით ამათ ჰქონდათ სახელმწიფო ნაწილში ხმა და გაგლენა. ესენი ამოქმედებდნენ სახელმწიფო საქმეებს და ხშირათ ამ მოქმედებით ბროროტებასაც ჩადიოდნენ, სამართალს ფულით ჰყიდნენ, ძმას ძმაზე ასევდნენ მხოლოდ მის მეოხებით, რომ თვით ესარგებლათ როგორმე. ყველა ამ საქმეთა შესაწირავ ზვარაკათკი გლეხკაცობა ხდებოდა. გლეხკაცობა გარდაქმნეს სახმარ ღვთის მსგავს არსებად, ყველა ასმათს დევნას ახერსებდა. უსამართლოების ფესვმა დიდათ განიდგა ხალხის ცხოვრებაში ფეხის, გლეხები სცენს არა ხალხათ, ამათ დაუწყეს შევიწროება და ამ უსამართლო შეწუხებამ იგინი იმ ზომამდის მიიყვანა, რომ 1877 წ. ქიზიყში მოხდა მოხელეთა და გლეხთა შორის დიდი ამბოხება. ამ დროს ომიანობა იყო დაწყებილი და გლესებს ეს საქციელი საღალატოთ ჩამოართვეს, რადგანაც სხვათა შორის

გლეხთა დედაკაცებმა ქოშებით და კომბლით მოკლეს ერთი გენერალი. საქმის დაწყნარების შემდეგ გლეხნი სამართალში გარდასცეს და მათ უმაღლესი მთავრობა ასამართლებდა სასტიკის გამოძიებით, როგორც მეამბოხეთა და არა საიმედო პირებს. ომის დროს ამაზე დიდი მითქმა მოთქმა გაიმართა ადგილობრივს გაზეთებში. საქმე რომ ცუდათ წასულიყო, მაშინ დიდძალ ქართველ გლეხებს ელოდათ ციმბირში სამუდამოთ გარდასახლება და სამშობლოდგან დაღუპვა.

ამ საქმეებში ჩაერია ნ. ნიკოლაძე. მან გაიცნო ქიზიყელთ გლეხთა ვითარება, ცხოვრება, ზნე, ხასიათები, ჩვეულებაები, სახლის მოწყობილება, ქალები, მათი ყოფა ცხოვრება, განათლების ზომა, აღებმიცება, სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მხარეებო და მერე გამოვიდა თავის შესანიშნავის წერილებით ამ გლეხების ოჯახების მომხრეთ და მფარველათ. ამან დაიწყო მეცადინეობა როგორც „ობზორში“ წერით, ისევე ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის წინაშე მეცადინეობა და თხოვნა გლეხთა დახმარებისთვის. ამან გაარჩია მომხდარ საქმეების მიზეზები და მის მეოხებით გლეხებს დაუწყო გამართლება და გამტყუნება იმ მოხელე პირების, რომლებიც იმ დროს იქა სცხოვრებდნენ და რომლებმაც თავიანთის ბოროტებით მშრომელ და ერთგულ ქართველ გლეხები იმ ზომამდის მიიყვანეს, იგინი ისე შეაწუხეს, ისე დაარბიეს და მოაბეზრეს, რომ უკანასკნელ გლეხკაცობა თავის სახლობით დაირაზმა უსამართლოების წინაღმდეგ და თაგგადადებითაც დ იწყეს წინაღმდეგობა. იგინი ისე შეწუხებულ იყვნენ უწესობისაგან, რომ მათ გადაწყვიტეს ერთხელ და სამუდამოთ უსამართლოების წინაშე წინაღმდეგის განცხადება და ამის მეოხებით თუნდ ერთ წუთს დახოცვა და აღარც დარჩენილიყვნენ, რადგანაც მუდმივ ტანჯვაში ყოფილს ცხოვრებას ერთბაშათ სიცოცხლის მორჩენა, სიკვდილი სჯობია და მის მეოხებით ცოცხალი არსების ტანჯვის მოსპობაცაო.

ამ ჰაზრებით გატაცებული, უსამართლოებისაგან დასჯილნი, განა შეიძლება რომ მთავრობამ დამნაშავეთ იცნასო! ამის შესახებ ადგილობრივ გაზეთებს გარდა საატახტო გაზეთებშიაც ბეჭდეს წერილები და ყველგან ამ კეთილს და ერთგულს ქართველს გლეხებს დიდის მხნეობით ამართლებდნენ. ეს მკაცრათ სთხოვდა მთავრობას სამართალს, გლეხები აუცილებლათ

გამართლებას, განთავისუფლებას და არამცა და არამს არც ერთი კაცის გადასახლებას სადმე. ამის გამო ნ. ნიკოლაძემ თვით კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწესაცკი მიმართა და აუწყა სქმის ვითარება და გლეხების სიმართლე. მხნე მამულისშვილის მეცადინეობამ ნაყოფიერათ ჩაიარა და რამდენიმე ასი სული გლეხის ოჯახის გამართლებულ იქმნენ უმაღლეს სამარ-

თველოსაგან და განთავისუფლებულნი და შინ დაბრუნებულნი. უნდა ითქვას, რომ იმ დროს ამ საბრალოების საქმეებს რომ ნ. ნიკოლაძე არ მოვლენოდა, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა, რომ ყველა ეს გლეხები სადმე შორს რუსეთის გუბერნიაში გადაესახლებინათ. ასე იყო გადაწყვეტილი.

სახალხო საქმეებისთის ეს პირი ყოველთვის მზათ იყო ემსახურა. სახალხო წიგნების გავრცელების სასარგებლოთაც ბევრი შრომა და ამაგი მიუძღვის. ხალხთა შორის სამართლიანს ცხოვრების და ჭეშმარიტების ლტოლვას ამის გვამში დიდი ადგილი უკავია. ნატრობდა და სადიდებლათ მიაჩნდა და აწც მიაჩნია ის პირები, რომლებიც დროსა და გარემოების კვალათ და ზომით მოქმედებენ და სამშობლო ქვეყნის ერს ემსახურებიან საქმით და არა ცარიელის სიტყვით. ყოველს საქმეს, ყოველს მოვლენას და რამე ცვლილებას თავისი ხანა უნდა, განვითარების დრო და ასპარეზი. არაფერი უდროვოთ და უცაბედათ არსად რა გაკეთდება დაა არც გაკეთებულა. უცაბედათ და მოუფიქრებლათ საქმის მოკიდება და მოქმედება კაცს ხშირად კლდეზედ გადახეთქამს, ნამდვილს გზასა და კვალს აურევს, საქმეს არ გააკეთებინებს და ძვირფას დროს უბრლოთ დააკარგვინებს. სწორეთ ეს გახდა მის უმთავრეს მიზეზათ, რომ ბაკუნინის სიკდილის დროს ნ. ნიკოლამ თავისი ასეთი ჰაზრი განაცხადა. განა იმ დროს შეიძლებოდა იმ საქმეების თხოვნაო, რასაც ზოგი ერთნი თხოულობდნენ და ელტოდნენო, განა ყველა ის მოხდებოდა და აღსრულდებოდაო,

რასაც ზოგი ერთები ნატრობდნენო, ის ნატვრა და ბრძოლა ოცნებათ დაშთაო და საქმეკი არა გაკეთდარაო! აწინდელი დრო, გარემოება და ხალხის განვითარების ზომა სხვა საქმეს, სხვა მუშაკებს და მებრძოლებს თხროულობსო. განა შინ ცოტა საქმეები არის გასაკეთებელი, რომ რომელიმე მამულისშვილი უცხო ქვეყანაში არ მირბოდეს და იქ არ ლევდეს თავის დღეებსაო.

ნ. ნიკოლაძის ჰაზრები ბაკუნინის შესახებ დიდა. საყურადღებოთ გახდა რუსთათვის რუსეთში. იმ ნომრებს სადაც ამის ფელეტონები იყო დაბეჭდილი, მთელს პეტერბურგში ატარებდნენ აქა იქ და კითხულობდნენ, დიდათ აყვედრიდნენ ამის შესახებ, რომ ესეთი ჰაზრი გამოაცხადა ისეთ მოციქულს გმირზე, როგორიც იყო ბაკუნინიო. ზოგნი ამბობდნენ, რომ ნ. ნიკოლაძე ბაკუნინს ემდურებოდა მის გამო, რადგანაც ამას „ინტერნაციონალურს“ საზოგადოების ერთს კრებაზე უსიამოვნობა მოუხდათო. ამის შესახებ მე არას ვიტყვი, რადგანაც არაფერი ვიცი და გინდ რომ ვიცოდე სათქმელათაც რა საჭიროა. თითქმის ასეთივე ჰაზრი განაცხადა ნ. ნიკოლაძემ 1888 წ. ემიგრანტ სოციალისტ ტიხამიროვის შესახებ, რომელმაც საზოგადოთ განაცხადა თავის თავის შენანება, რომ იგი აქამდის რევოლუციონთა დასს ეკეთვნოდა, რომ ყველა მის ჰაზრები მანამდის იყვნენ თურმე ბავშვური შეცდომანი და რიგიანის

გზისა დაკვგალის დაბნელებანი და აწკი ამიერიდამ იგი ნათელს გზასა და კვალს ეძლევა და თავის სამშობლო ქვეყნის სამსახურს, ოღონდ მთავრობამ მას ნება რთვა მისცეს, რომ თავის სამშობლოში მობრუნდეს.

ამ წერილშიაც ნ. ნიკოლაძემ გამოაჩინა და გამოთქვა თავისი კარგი ცოდნა აწინდელს წეს წყობილებაზე, ხალხის ცხოვრებაზე და შემდეგ შენიშნა მობრუნებულს მოციქულს, რომ ახალ თაობას ახალის კარგის ჰაზროვნებით მაშინ შეეძლე-

ბა წინ წავიდეს მთავრობის მეოხებითაო, თუ მთაგრობა ამ ახალ თაობას ახალის ცხოველის მყოფელის სულიერის მხარეებით შემოსავო, მას მიანიჭებს თავისუფლათ სჯისა და ამოსუნთქვის ძალასა. თუკი ახალთაობის ბედი და იღბალი შესანიშნავის ბედნიერის გარემოებით შეისაზღვრება. თუკი მათი გონებით განვითარება და საზოგადოებრიგი მოღვაწეების მნიშვნელობა პატივცემულ იქმნება და შესაფერის ძალოვნებით გავრცელებული, აი მხოლოდ მაშინ შეიძლება, რომ ახალმა თაობამ თავის წილათ რამე გააკეთოს და წინ წავიდეს. მხოლოდ კეთილის, სრულის მეცნიერულის და პატიოსნურის წეს წყობილების მინიჭების საშუალებით შეიძლება, რომ ახალ თავობამ გააკეთოს რამე, წინაღმდეგ შემთხვევაშიკი ხსენებულ მობრუნებულ პირის ჰაზრები უმნიშვნელოთ დაშთებაო.

როცა ეს ფელეტონები დაიბეჭდა და მე წავიკითხე, მაშინ ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგანაც ამ წერილების დამწერი ჩემთვის პატივსაცემ პირათ დაშთა. წერილი აჩენს დამწერის ვრცელს ცოდნას და შეხედულებას საზოგადო საქმეებთა ვითარებაზე, პოლიტიკურს და ეკონომიურს მხარეების განვითარებას და წინ წაწევაზეა. ყოველი მოსაზრება კამკამებს, ყოველი სტრიქონი გამბედაობის კილოთი ანათებს. ვაკვირდები და მიხარის ობოლს გულში ის უფრო, რომ ასეთ მრავალ ნაირის ცოდნით დაწერილ წერილების დამწერი კაცი ქართველი შვილია და ქართველი მწერალიც. ამ შესანიშნავს წერილებს ბევრმა უკუღმართის თვალით შემზირეს, მაგრამ ამაოთ. ამით ნ. ნიკოლაძემ არც ერთის მომხრეობა გამოაცხადა და არც მეორისა, რომ მით ჩვენი რამე უფლება მოგვეძია მის საკიცხავათ. ეს პირი ასეთ ჯურის ხალხს არ ეკუთვნის. ამან გამოთქვა თავის ჰაზრები შესახებ ახალ მობრუნებულ გვამის და მას აუწყა, რომ თქვენგან აღმოცენებულ პლანის თანხმად მაშინ შეიძლება ამა და ამ საქმეების წინ

წასვლა და აღორძინებაო, თუ ესა და ეს საქმეები და ცვლილებანი მოხდება და იგი ხელს შეუწყობს რუსის ახალ თავობის წინ სვლის საქმესაო.

ახლა ვიკითხოთ ჩვენ ის, თუ ზოგი ერთი გმირები დღევანდელს დროს რომ თავიანთის არშინით ზომვენ და მომავლის

წინ წამყვანს და აღორძინების გეგმასაც უჩვენებენ, რომ ეს ასე მოხდება და ის ასეო, ისინი რაზე აფუძნებენ თავიანთ მოსაზრების დასკვნას, ოცნებას, ვისის და რისის იმედით ხადიან იმ წინ წაყვანის ნიადაგს უკვე გაძალუანებულათ. იქმნება მით, რომ ზოგი ერთი სოციალ დემოკრატი ტიხამიროვივით დღეს ერთ გზას ადგა, დღეს ამას შენიშნავს უნაყოფობას, უხეირობას, ხვალ სხვას დაადგება; „მეძველეთ“ გახდება და უცებ ამ გადაბრუნებაში დაინახავს მომავლის აღორძინების ძალას. ახალი ახალთაობის ჭკვიანურს მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ ხსენებულ თაობა ცნობილ გადაბრუნებულ მოციქულისავებ ერთს მიმართულებას უარს ჰყოფს და მეორეს დაადგება! მე ასეთი არც სოციალ დემოგრატები მწამს და არც რევოლიუციონერები. ნ. ნიკოლაძე ძალიან ჭკვიანათ და დიდებულათ მოიქცა, რომ ასეთ გადაბრენებულს მოციქულს პირს თავისი შეხედულება ამცნია და ისიც აუწყა, რომ ბატონო, ახალ მოციქულო, თქვენის ნატვრის და გეგმის თანხმად მაშინ შეიძლება გაკეთდეს და აღორძინდეს რამე, როცა ესა და ეს საქმეები მოხდება, მინამდისკი ამ გმირმა თავის წინასწარმეტყველება თავის თავის დასარიგებლათ და ცოდვების მოსახდელათ შეინახოს და გამოიყენოს. კაცს, რომელსაც უცხოვრია და უღვაწნია 25 წელიწადი უკიდურესის მღელვარებით, ესეთი კაცი გამოდის უკანასკნელ და საქვეყნოთ ბოდიშს იხდის, რომ მე დღევანდლამდის შემცდარს გზას ვადექი და დღეის შემდეგ კი კაი გზას დავადგებიო. კაცს, რომელსაც 25 წლის განმავლობაში თავისთვის ვერ გაურკვევია გზა და კვალი, ასეთი პი-

რი მთელის თავობის განვითარებას გეგმას ადგენს და საზოგადოებას უძღვგნის, მოდით, და აქ ამაზე კაცი გულის წყრომით არ აღიძრას.

ბევრმა უმტყუნა სასო წარსულმა, ბრძოლის სიმწარით წმიდა იდიალს,
ბევრს ვერ გაუძლო კაცურმა გულმა, პირი უქცია ახალს, მომავალს!..
ბევრმა აძაგა ძველი აღთქმანი, ბავშურის სისხლით ვითომც დუღილით,
სოფლათ შესვარა სული და ტანი, ლაფით შესვარა დროშა ქებული...

ასეა ბევრის საქმე, ზოგი პოლიტიკური მოღვაწე ამით მართლულობს თავს, ზოგი სხვა რამ მიზეზებით, ზოგი რით და ყველა ამაებითკი გონი იგინი ეძიებენ სხვას, ეძიებენ საძიებელს და მას მალეც ჰპოვებენ ხოლმე, რითაც იგინი შეცდომით შთებიან მოვლენილის ბედნიერებისაგან, რომ რატომ ეს ასე აქამდის არ ვქმენითო. ასეთ პირების შესახებ წერა და სჯა მე სანაქებოთ მიმაჩნია, რადგანაც კაცი გაიცნობს ზოგი ერთ პირის სულის ვითარებას, გარემოებას, განძრახვას, და მათ გულის საიდუმლოებასაც ფარდა გადაეხდება, მომავალის თავობისთვის კარგს გასაკვეთათ დაშთება.

ამაზე ვიკმაროთ და ვსთქვათ შემდეგი: ნ. ნიკოლაძეს ზემოხსენებულ პირიბის შესახებ დაბეჭდილს წერილებში ერთი ჰაზრიც არ გაუტარებია იგეთი, რომ ის არ ეთანხმებო-

დეს კეთილ მიმართულებას, ახალგაზდობის რწმუნებას, წმინდა ჰაზრებსა და მოქალაქურს მამულის შვილობას. მისი წერილი ერთის მცირეს ჰაზრითაცკი არ განსხვავდება ამ მამულის შვილის ძველის თუ ახალის დროის ლტოლვილებისაგანა და ამიტომ ჩვენ უფლება არ გვაქვს, რომ ამ პირს რამე შეცვლითი ოცნებები დავსწამოთ. ეს იქმნება მხოლოდ ჩვენი შეცდომა და მის რიცხვ მრავალ შესანიშნავ მწერლობის არ ცოდნა.

ნ. ნიკოლაძე იგეთი განვითარების პირია და ეს ისეთ მიმართულებას ეკუთვნის, რომ ამის გულსა და სულს ყოველი

ბოროტება სასტიკათ სწყლავს და აწეხებს. ეს პირი არსად და არას დროს არავის დამდაბლებას, დაჩაგვრას და შეწუხებასაც ვერ აიტანს. ამას დიდათ სწყინს ის, როცა ერთის პირის მეოხებით მეორე იღუპება, ერთს სული და გული ერთმევა, ჟანისაგან წყალდება, ნაწლავებზე ფეხს იდგამს და მის მეოხებით მის პირ და პირ მეორეკი განცხრომასა და ფუფუნებაშია. ამ პირის მოძღვრებით არა დროს არავინ უნდა დაიჩაგროს კაცთა ხელიდამ, არ უნდა ვაწუხებდეთ ერთმანერთს, ჩვენში სრული და მშვიდობიანი კავშირი უნდა არსებობდეს საყოველთაოთ და ერთს ძმურს დასათ უნდა ვიქმნეთ შემდარგნი.

ნ. ნიკოლაძე დაირაზმა უსამართლო აზროვნების წინაღმდეგ. ეს დაირაზმა არა მარტო ეხლა, არამედ 1873 წ. როცა „გამგეობა“ თფილისის ერს გაზით განათების გამო ატყუილებდა, მაშინდელი პოლემიკა და კამათი გამგეობასთან ყველასთვის ცხადია. მას შემდეგ ნ. ნიკოლაძე უდგა გამგეობას გვერდით და ბეჯითათ ადევნებს თვალთ ყურს, უკანასკნელ იგი ირაზმება უსამართლოების წინაღმდეგ საქმით, მოქმედებით, გაზეთებში წერილების ბეჭდვით და მეცადინეობს, რომ გამგეობამ გაიწმინდოს თავისი ცუდი მხარეები, იგი დაადგეს მცხოვრებთა სამსახურის საქმეს წმინდის გულით, განურჩევლათ გვარტომობის, სარწმუნოების და ათასი ამგვარები, მაგრამ ამას ვაჭრები არ სჩადიან, ესენი სახტათ შთებიან. ნ. ნიკოლაძეს წინაღმდეგ მკაცრათ ირაზმებიან და იღვწიან, იღვწიან უფრო მხოლოთ მიტომ, რომ ესენი ქართველები არიან. ამათს და მთელის ქართველობის დასანთქმელათ აღარაფერს იშურვებენ, ყველაფერს შესწირვენ, ოღონდ თფილისში ქართველები დაინთქას, გაწყდნენ, მაგრამ ვერას ახერხებენ. ნ. ნიკოლაძის მეთაურობით ბრწყინვალე ჰაზრები ფეხს იდგამს, ქართველთა ხმა ეძლევათ გამგეობაში, ქალაქის მართვის საქმეს კაცთ მოყვარებითი მხარეები ეთვისება, რიგიანი კანონდებუ-

ლებათ სამართალი, მაგრამ ეს საწყენათ შთება ზოგთათვის. მცირე ხნის შემდეგ ნ. ნიკოლაძის მეოხებით გამგეობის საიდუმლოებას ფარდა ეხდება, საუკეთესო ძალა თვალს ახელს და თვალხილულათ ტყობულობს, უგვან პირების ბოროტებას.

თფილისის ქართველობაში მცირეთ ინერგება მხნეობა, მოქალაქობის ლტოლვა, ქალაქის საქმეების პატრონობა.

მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ მომავალმა თავისი უნდა გაიტანოს. ამას ღაღადებს კაცთ მოყვარება, ძმობა და თანასწორობა, ჭეშმარიტება და სიმართლე. ბინძურის კაცის ფეხქვეშ არ გაქელვა ნ. ნიკოლაძის „ახალმიმოხილვის“ მშვენიერს ფელეტონებში დიდის სიამოვნებით იკითხება. აქ მათში ბევრი რამ არის გამოაშკარვებელი, გამოთქმული, და განხილული. ცოდვა არის, რომ ოდესმე სუყველა ეს ფელეტონები ერთათ არ შეიკრიბოს და ცალკე ტომათ არ დაიბეჭდოს. ამათის დაბეჭდვით ნ. ნიკოლაძე გამოიხატება უდიდეს პუბლიცისტათ, ქალაქის მართვის კარგათ მცოდნეთ.

უცხოეთიდამ მოსულს პირებზე ჩვენ იმდენათ არ გვტკივა გული, რამდენათაც თვით ჩვენს თავზე, რომ ჩვენ თვით ქართველებმა არ ვიცით ისეთი პირების დაფასება, როგორიც ნ. ნიკოლაძა. ჩვენ თვით ვართ წინაღმდეგნი. აბა გავიხსენოთ ამ პირის შრომა ჩვენის ბანკების შესახებ, ამისი ღვაწლი და საუბარი ხსენებულ ბანკის კრებებზე, მაგრამ მერე რა მოხდა აქ, მის ბრძნულს დარიგებას და რჩევას რა სამაგიერო აგეს. ნუ ილაპარაკებო, ხმა არა გაქვსო, სხვა წოდების შვილი ხარო! უგვან და უკუღმართ შვილების მეოხებით ატყდა დიდი ალიაქოთი, კიჟინა გამწვავდა. თავსმჯდომარემ კრება დახურა. მრაკალთა თავადის შკილებს დიდათ. ეწეინად. და სთქვეს ვალთა თავადის შვილებს დიდათ ეწყინათ და სთქვეს:

– ვაი ჩვენს თავს, რომ ჩვენ ვეკუთვნით ისეთ წოდებას, რომელ წოდებაც თავის ღირსებას ასეთის ლაფით სვრის,

ვაი სირცხვილს, ნ. ნიკოლაძეს სიტყვის თქმის ნება არ მისცეს, მაშ ვის უნდა მისცენ, ვის? ამბობდნენ მრავალნი.

დრო და გარემოება ყველაფერს შესცვლის, რადგანაც იგი ყოველთვის ცვალებადია. ქართველობა 1880 წლის შემდეგ საკმარისად წინ წავიდა. ჩვენში ყველაფრის აღორძინებამ ნელ ნელა იწყო, მწერლობამ მცირეთ გაიმაგრა ფეხი. ჩვენში დღიური გაზეთი საჭიროთ შეიქმნა. ცხოვრება შეიცვალა· ცხოვრებამვე მოითხოვა მწერლების და მწერლობის დაბადება და წინ წაწევა. მალე ქართველებში ახალთაობის დასებმა ფესვი გაიდგა, თავისუფლათ წამოდგა წინ ფეხი. ეს ყველას ესიამოვნა და ნამეტურ ჩვენს მოღვაწე ნ. ნიკოლაძეს, რომელიც ამის აღორძინებას ადრიდგანვე ნატრობდა, რომლის სული და გულიც ამის მნატვრელ და მღაღადებელი იყო. ახალთაობისთვის საჭირო შეიქმნენ მხნე და გამბედავ განათლებულ მწერლები. აგერ მალე „მოამბეც“ დაარსდა. ჟურნალმა თანამშრომლებთ შორის ნ. ნიკოლაძეც გამოაცხადა. 15 წელიწადი მეტი იყო, რომ ნ. ნიკოლაძეს ქართულს ენაზე არაფერი დაებეჭდა. ქართველების უმეტესი ნაწილი დანატრულებული იყო მის ნაწერების ქართულს ენაზე ხილვას. მის წინანდელ მტრებთა ჰაზრებიც გამქრალ იქმნენ. ნ. ნიკოლაძემ დაიწო „მოამბეში“

შრომას. ამის კალმის მეოხებით ჟურნალს 1200 ხელის მო-
მწერი შეეძინა, პირველი მაგალითი იყო ქართველებში. მთელი
ქართველობა ამ ჟურნალის ყოველს ნომერს სულ განაბული
ელოდა ნ. ნიკოლაძის წერილების გამო. მისი წერილები ამ
ჟურნალს ცის მანანასავებ მოევლინა. ქართველ ახალ თაობის
სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ დიდათ განათლებულმა
მამულიშვილმა ქართულს ენაზე დაიწეო წერაო.

ამ პირის ყოველს წერილს ჩვენში შემჰქონდა თავისებუ-
რი ცოდნა, საქმის განჰსჭვრეტ და მისწრაფება, მაგრამ მო-
ურიგებელ ქართველთა აქაც იჩინეს თავი. ზოგი ერთ პირებმა

ხმა აღიმაღლეს ნ. ნიკოლაძის ნაწერების წინაღმდეგ და მის
აზრებს გაბათილება დაუწყეს, გამტყუნება ყველა კითხვებში და
ათას ნაირი ცილის წამება, მაგრამ ამაოთ. მოწინაღმდეგე პი-
რების მზე მაშინ გაბრწყინდა, როცა ნ. ნიკოლაძის წერილი
„რა ეშველებათ აზნაურებს“ „მოამბეში“ დაიბეჭდა. აქ კი მასა-
ლა გაჩნდა მკიცხველ მყვედრებელთა, აქ კი ზოგი ერთებს მი-
ეცათ საფუძველი მის მტკიცების, რომ ნ. ნიკოლაძე ის აღარ
არის რაც იყო წინეთ, მან ჰაზრები გამოიცვალა. დღეს იგი
ილ. ჭავჭავაძის მეგობარია, დღეს იგი მანარქისტია, გლეხების
მტერია, თავად აზნაურების მომხრე. მასზე ლაპარაკი აღარ
ღირს, იგი გაყიდულია. ასეთ რამეების საქადაგებლათ ადგენენ
სხვა და სხვა ყმაწვილ კაცებთა დასებს და მთელს საქართვე-
ლოში ავრცელებდნენ, რომ ნ. ნიკოლაძე გლეხების მტერია,
თავადაზნაურების მომხრე, ძველი ჰაზრების კაცია და მტერი
ახალ აზროვნებისო. ასეთს ბაას მე თვით შევსწრებივარ და
უკანონოს ცილის წამებისაგან დიდის გულის წყრომით აღ-
ვსილვარ. საუბედუროთ ამ ბოლოს დროსაც, ახალგაზდებთაგან
ჩვენს მოღვაწეს იმდენი მოკამათენი გამოუჩნდნენ და ჭორების
ვრცელებელნი, რომ ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვისაუბროთ,
თორემ უფერულმა ცილის წამებამ ფესვი გაიდგა. განძრახ ოს-
ტატურათ წერილების წერა და ცალკე წიგნათ ბეჭდვაც გახშირდა.

ამბობდენ მრავალნი, რომ ნ. ნიკოლაძე გამოიცვალა, იგი
გლეხკაცის მტერიაო. ღმერთო, გვიხსენით ამისთანა ცილის
წამებისაგან. ვითომც ეს მკაცრათ ელტვის თავად აზნაურების
საქმის აღორძინებას, მათ ყოველნაირს მანქანებას ასწავლის,
რომ მათ ძველინდებურათ გაშალონ დროშა, გლეხები დაიმო-
ნონ და ისევე დაიწყონ ნავარდობა, როგორც ძველათ ნავარ-
დობდნენ, მერე ვინ ავრცელებენ ამ ჰაზრებს, ისინი ვინც
გლეხების წურბელებათ ითვლებიან. ამავ დროსკი მიბძა-
ნდებიან ეს გმირი მწერალ აზნაურის შვილები და გლეხებს

უღაღადებენ, რომ ნ. ნიკოლაძე გლეხების მტერიაო, ამის გა-
სავრცელებლათ დადიან თვით ქართველ მიკიტნის დუქნებში,
სადაცკი წიგნებს ან გა ზეთებს კითხულობენ და იქ აუწყებენ

თუ ნ. ნიკოლაძე როგორი კატია და რას ელტვის, რას ემ-
ხრობა დღეს, რას ნატრობს მისი გული და როგორ მტრობს
ქართველ გლეხკაცობას!

შორს მხედგელს ცხადათ და თვალთ საჩინოთ სწამს, რომ
ის ქართველი კაცია, შვილია თავის ერისა, მწერალი, მოღვაწე,
მებრძოლიც,.მას სწამს დიდის ჭეშმარიტებით, რომ მი. სამ-
შობლო ქვეყანაც საქართველოა. საქართველოს აქვს თავისი
ძალა მოქალაქობა, გამშვენებული ენა, მწერლობა, ისტორია,
ხელოვნება, სხვა და სხვა ხელოსნობა. მას სწამს, რომ ამ ერს
ბევრი რამ აქვს ღირს შესანიშნავ სამკაულების. უეჭვოთ სწამს,
რომ ამ ერმა რაკი საშუალ საუკუნის ბნელი და შავი დღეები
განვლო და არ აღიგავა, რაკი მან დღევანდლამდის მოაღწია,
განვითარების გზას დაადგა, გაახილა თვალები და დაინახა თა-
ვის მომავალი ცხოვრება, ეხლა აღარა უშავსრა. ეხლა ფიქრი
არა გვაქვს, მხოლოდ ამისთვის გვმართებს ცდა, შრომა და
განვითარება! „ჩვენ ისტორიულ ცხოვრებას, ჩვენს მდგო-
მარეობას და ეხლანდელ გარემოებას ჩვენი ხალხისათვის
არც იარაღი და არც იმედი დაუტოვებია, ერთის მეტი –
მეცნიერების ნაყოფი, გონიერათ მოხმარებით ფეხზე წამო-
დგომა და უმჯობესი მომავლის დამზადება და მოპოვება.
რაც არ დაგვიტოვა ჩვენ წარსულმა ცხოვრებამ, რაც მო-
გვტაცა ბედის და ძველი თაობის ბრმა ძალამ, ის უნდა
ვეძიოთ ჩვენ მეცნიერებაში, და მის ძალით და დახმარებით
უნდა გავამზადოთ მომავალი ბედი ჩვენის ქვეყნისა“. ამას
ამბობდა ნ. ნიკოლაძე 1870 წლებში და ამასვე იმეორებს თი-
თქმის დღესაც. რა არის „გონივრულათ მომზადება“. ჩვენის
ფიქრით იგი არის ჩვენის ერის ცხოვრების საიდუმლოებათა

შესწავლა, მის აწონ დაწონვა და მერე ბრძოლა მასთან, რას-
თანაც საბრძოლველია.

მას სწამს ქართველის მომავალი ცხოვრება, ენატრება მის
რიგიანათ და ბედნიერათ ყოფნა. გარემოება-კი სხვაფერ არის
დატრიალებული ქვეყნისა და ერის ცხოვრების ვითარება სხვა
კალაპტ შია მოთავსებული. ერს აქ თავის სულის ძალა იმ
სახით არა აქვს გარს შეერთებული, როგორც უნდა ჰქონდეს
და როგორსაც ჩვენი მომავალი ცხოვრებაც თხოულობს. აქ
დარღვეულია ერთობა, დარღვეულია ერთთბის შეგნება. ჩვენს
ხელში არ არსებობს ვაჭრობა, ფული. ფაბრიკები ჩვენ არა
გვაქვს, ქალაქ ადგილებს თუ რამ გვქონდა სულ ხელიდამ წა-
გვივიდა. დღეს ლამის სოფელიც წაგვივიდეს ხელიდამა, სკო-
ლები ჩვენ არ გვაქვს. სახალხო განათლება და მწერლობა და-
ცემულია, ხალხის უმეტესი ნაწილი უვიცია, მას თავის თავის
პატრონობა არ შეუძლიან, მას გულ შემატკივარი არავინა ჰყავს,
მის ცხოვრებისთვის არავინ ზრუნავს, იგი ყველას დაგიწყებია,
იგი რჩება საუკუნოების წინეთ ყოფილს მდგომარეობის მსგავს
მონურს ცხოვრებაში. მისთვის არც მოქალაქობა არსებობს,
არც პირადი უფლების ვითარება, არც სადმე ხმის ამოღების

შნო. იგი მონა არის ყველაფრის, ყველგან და ყველას წინაშე, მონა მით უფრო, რადგანაც ჩვენს გარეშე მოწოლილია სხვა და სხვა ნაირ საქმეებთაგან გამოწვეული ბრძოლი. იგი საქმე ჩვენ მკაცრ წინაღმდეგობას გვიწევს. იგი ჩვენს ტომს ჯიბრს უწევს. ჩვენ ცუდი განსაცდელი მოგველის, ჩვენ ბევრი უიმედობის ნიშნები გვეჩხირება თვალთ წინ, მომავალი ცხოვრების დიდი შიში გვაქვს. ამ შიშის ასაცდენათ ნ. ნიკოლაძე ჩვენში ეძებს რამე ძალას, ღონის ძიებას, სახსარს რომ ამის გამოძებნით რამე დაგვიხატოს. იგი ჩვენში ხედავს აზნაურობას, რომელსაც ცოტა ოდენი ძალა აქვს, ცოტა ოდენი ხმის უფლება. მასთან შეძლების რიცხვიც კაი ზომის უკავია ხელში, აქვს

იმისუფლება, რომ ეს შეძლება მან ერთი ათთ გააფართოვოს, წინ წასწიოს და მით ემსახუროს თავის თავს, ქვეყანას და ერს. მას ბრწყინვალეთ შეეძლება მოქმედება, სამსახური წინაშე მამულის და ერისა, თუ ამისთვის რიგიანი მომზადება ექმნებათ, ჭკვიანათ შედგენილი გეგმა. დრო არის, რომ ამ წოდებამ ფლანგიობასა და უნაყოფო ხეტიალს თავი გაანებოს და გააკეთოს ის, რისაც მოვალეა ყოველი რიგიანი ქართველი.

აი ამათ ედებათ კისრათ ვალი, რომ თავიანთ ქვეყნის და ერის მდგომარეობას ფხიზელის თვალით შეხედონ. გულში ჩაინერგონ დაცემული ერის სიყვარული, ღარიბი გლეხების სამსახური, შეიკრიბონ დიდი მხნეობა, ძალა, შეერთდნენ ერთათ და გაუდგნენ მრეწველობის გზასა და კვალს, დაადგნენ ვაჭრობის განვითარებას. რაკი ეს მოხდება მათგან, რაკი იგინი გამოვლენ მრეწველობის ასპარეზე და დაიწყებენ მოქმედებას, მაშინ მათ დასჭირდებათ მრავალი მუშა ხელი. აქ ქართველი უღონო და უსაქმო გლეხკაცობა საჭიროთ გახდება. დაიწყება უკვე იმის ხანა, როცა ჩვენი ერი ევროპიულის ხელოსნობით და განათლებით აღჭურვილი, დაიწყებს თავის ერის ყველა საჭირო ნივთების და იარაღის გამოყვანას, როცა ჩვენი საჭირო რამეები თვით ჩვენს ქვეყანაში გაკეთდება, როცა ჩვენ გავხდებით ჩვენი შრომის პატრონები და მბრძანებელნი. აი მაშინ შეგვეძლება, რომ უცხოთა მოსულს ძალას როგორმე გაუძლოთ, მათ წინაშე წინააღმდეგი ფარხმალი აღვადგინოთ ისე, როგორც დრო და გარემოების ნება მოგვთხოვს. თორემ თუ ეს ასე არ მოვახერხეთ, მაშინ ჩვენს გარეშე მოსული მტრები გაიმარჯვებენ, ჩვენში იგინი წადგავენ ფეხს, იგინი წავლენ წინ და თავიანთ საქმეებშიაც სამუშაო ხელს სხვა ადგილებიდამ მოიყვანენ. თავიანთ მეგვარტომეებს დააყენებენ და ჩვენკი დავრჩებით მათ მსხვერპლათ. გვარტომობის ბრძოლით იგინი დაგვძალამენ ჩვენ და დაგვჩაგრამენ. ბოლოს ჩვენ ჩვენის სი-

ღატაკის და უხეირო ცხოვრების მეოხებით ვიწყებთ კლებას

და უკანასკნელ იქმნება სულაც აღვიგავოთ დედამიწის პირიდამ ისე შეუმჩნევლათ და ჩუმათ, რომ ჩვენი ტომის აღგვის მსვლელობას ვერავინ შენიშნავს. ეს იცის გარეშე მოსულ მტრის ძალამ და ჯიბრმა. ამას წინაღმდეგობა უნდა, მკაცრათ უნდა აღუდგეთ წინ და შევებრძოლოთ, რომ მის საშუალებით ვიხსნათ მომავალი განსაცდელისაგან. ამის მაგალითები ჩვენში უკვე გამართეს სხვებმა. ეს ჭეშმარიტება არის.

ამის საშუალებით და ძალათ ჩვენ მიგვაჩნია ქართველ გლეხკაცობის გაძალუანება, მათი ფაბრიკებში გაყვანა, საქმეების მოპოვება და ერთი ცხოვრება, ჰაზრით და გონებით წინ წასვლა, რომ მან თავიდამ გაიბერტყოს საუკუნოებისაგან მინიჭებული უმეცრება, გატეხოს უმეცრების ნაჭუჭი, დაადგეს შრომას და მოქმედების გზასა და კვალს, გარს შეიკრიბოს ცხოვრების ძალა, რომ ხშირათ ცხარე ცრემლებს არ ღვრიდეს, ცივს ზამთარში ფეხშველა არ დადიოდეს, ხშირათ უწამლობით შვილები არ ეხოცებოდეს. სამუდამოთ მისი ცხოვრება არ იყოს პირუტყვის ცხოვრების მსგავსი ცხოვრება, მან გაახილოს თვალები, იზრუნოს შვილების გასაზდელათ, თავისუფლების მოპოვებისთვის, შრომის დახსნისთვის და სხვანი ათასნი, რომელთა მოთვლა აქ შეუძლებელია. აი როდესაც ეს ცოცხალ მკვდარი გლეხების მდგომარეობა საყურადღებოთ გახდება ჩვენის ქვეყნის მოწინავე აზნაურებისთვის, როცა იგინი იმეცადინებენ, რომ თავიანთ უფლება, შრომა და ქონება ამ ერის წინ წასაწევს საქმეებს მოახმარონ, მით აღამაღლონ ათასნაირ საქმეები და ამ საქმეების ამაღლებით ქართველმა გლეხმაც მოიპოვოს რამე ძალა და საშუალება ცხოვრებისა, მან თავი დაიხსნას განსაცდელის და გაჭირებისაგან, დადგეს ცხოვრების და განგითარების გზაზე, მხოლოდ მაშინ შეეძლება, რომ ჩვენს უბადურს გარემოებას წინ აღუდგეს და

ჩვენი მომავალი ცხოვრების საქმეები რიგიანის პირობებით გარ შესაზღვროს.

ახლა ერთი ვიკითხავ მე, თუ ჩვენს აზნაურებს, რომელთაც მამულებიც საკმარისი აქვსთ, უფლება და შნოც, ხოლო ისინი ამ დროს მკვდრები არიან თავიანთის სამშობლო ქვეყნისა და ერის წინაშე, მათ რა უნდა ვასწავლოთ, რა დარიგება უნდა მისცეს ნ. ნიკოლაძემ. ის რომ იმათ თავიანთ საცხოვრებელი, რაც დარჩათ, ისიც გაფლანგონ, ხალხს უღალატონ და მამულები უცხოეთიდამ მოსულს პირებს მიჰყიდონ, რომელ ახალ მფლობელნი და მბძანებელნი უფრო მკაცრს მტრობას გაუწევენ უცხო გვარის ძირეულს გლეხკაცობას, როგორც ეს ხდება დღეს ჩვენს თვალთ წინ, თუ ის არის საჭირო, რომ კაცმა ამ წოდებას, რომლისთვისაც ისტორიულს გარემოებას უპირატესობა მიუნიჭებია, რომ ამ წოდებამ თავისი ძალა, ხმა და შეძლება კეთილათ გამოიყენოს, იგი ჭკვიანათ მოიხმაროს და მის მეოხებით ემსახუროს თავის ერს, ქვეყანას და მომავლის შიშიც მოგვაცილოს თავიდამა. ნუ თუ ამაზე ლაპარაკი

კიდევ საჭიროა. განა ნ. ნიკოლაძეს ის ძალა, რა ძალაც ამან აზნაურებს შენიშნა, რომ ეს სხვა წოდებაში ენახა, თუნდ გლეხებში, მაშინ ის გლეხებს არ მიმართავდა ისე, როგორც აზნაურებს მიმართა, რა ქმნას მან, სადაც ცხოვრების სახსარია მოსაპოებელი და ძალა დაინახა, მან იმ ძალის პატრონებს მიმართა, მან მათ დაუხატა ჭკვიანური და შორს მხედველურათ შედგენილი ქართველთ სასარგებლო გეგმა.

თუნდა ეს ასეც არ იყოს და წამ და უწუმ ჩვენში რომ მარკსი გაუდით და ერთავათ მარკსის შესახებ ლაპარაკობენ და მის მოძღვრებას არკვევენ, არ შეიძლება, რომ ამ მარკსისტებს თუნდ ერთი რამ შენიშვნა ეთქვათ მასზე, თუ ნ. ნიკოლაძის წერილი რითა ღალატობს პოლიტიკურ ეკონომიურის მწერლობის დიდებულ კრიტიკოსის მარკსის მოძღვრებას. რა იქმნე-

ბოდა, რომ, ერთხელ მაინც ებძანებინათ ამ პირებს, რომ ნ. ნიკოლაძის ნაწერები თავით ფეხამდის სიცრუეა და თილისმა არისო და არა მარტო იმის ძახილი, რომ. ნ. ნიკოლაძეს ურჩევნია, რომ აწი მწერლობას თავი გაანებოსო. წერა მისი საქმე აღარ არისო, ამას ბრძანებენ და ავრცელებენ ის პირები, რომლებიც მარკსისტობაზე თავს სდებენ, თუმც ხშირათ სწერენ ჭკვიანურს წერილებს, ამას ჩვენ არც უარს ვყოფთ, მათ ვაქებთ, ვადიდებთ, როგორც მხნე მოღვაწეებს, როგორც მეცნიერების და ფილოსოფიის მეტრფე-მეძიებელთ, მათში ბევრი პატიოსანი მუშაკნი და მამულის შვილებიც ურევიან, თვით მე მათზე ბევრი იმედები მაქვს და ბევრის წერილებსაც სიამოვნებით ვკითხულობთ, მაგრამ იმასაც ვიტყვით და ამას მგონი არც თვით დამალვენ, რომ, ხანდისხან იგინი განძრახ სწერენ ისეთ წერილებს, რითაც მხოლოდ ზოგი ერთ პირების გაჯავრებას და გულის გახეთქას ნატრობენ, მის მეტს სხვა არაფერს. ეს თამამათ მათქმევინა ზოგი ერთ მათმა წერილებმა რაც-კი მათ ნ. ნიკოლაძის წინაღმდეგ სწერეს. ჩვენის მამულისშვილის მოძღვრების თანახმათ დაუმატებთ შემდეგს, რაც თანახმა არის დიდებულის მარკსს მოძღვრების და რასაც ვსწავლობდით ჩვენ და დღესაც ვსწავლობთ.

ჩვენი მდიდარი თავადაზნაურები თაგიანთ საცხოვრებელს კეთილათ ხმარობენ. ეს მდიდრები ხსნიან სხვა და სხვა ფაბრიკებს, ამ ფაბრიკებში ბანდება ქართველი მუშა ხალხი, ესენი იძენენ ლუკმა პურს, მაგრდებიან ცხოვრებით, ვითარდებიან მცირეთ, ერთათ ყოფნა და მუშაობა მათში ბევრს რასმე ბადავს. მუშების ზოგნი თუ ღატაკდებიან და ღატაკათ შთებიან, ზოგი წინ მიდის და ცხოვრების საჭირო სახსარს გარდა სხვაფრივაც ძლიერდება, შემდეგ დროებში ეს მცირეთ შეძლებულნი მუშები ერთათ იკრებენ თავს, აფუძნებენ სხვა და სხვა სამუშაო ქარხნებს. ნ. ნიკოლაძეს სურს რომ ქართველთ შემ-

ძლებული ახნაურობა ქართველთა გვარის სასარგებლო იარა-
ღათ იხმაროს, იგი მხოლოდ ამისთვის ასწავლის მათ თავიანთ
უფლების და შეძლების მოხმარებას. ამ საქმეში და განსჭვრე-
ტაში იმდენათ აზნაურობა არ ედარდება მას რამდენათაც ჩვენი
ქართველი მშრომელი ერი... ამიტომ განვაცხადებთ ჩვენს სრულს
თანხმობას ნ. ნიკოლაძის შრომის შესახებ და ვამბობთ, რომ
იგი წერილი ჩინებული წერილია და უცდომელი ყველაფრით
შემცნებულ საქმეში.

რომ ყოველივე ჩვენ მიერ მოთვლილი ცნობები მართალია და ნ.
ნიკოლაძე გულშემატკივარი შვილია თავის ქვეყნის და ერისა,
რომ იგი გამბედავი მოღვაწეა და მწერალი, ეს ცხადი ჭეშმა-
რიტება გახლავს, რადგანაც დღესაც იგი ჩვენს საზოგადო სა-
ქმეებში უპირველეს მეთაურათ ითვლება. განაგებს ქალაქ ფო-
თის თავის საქმეებს და მოღვაწეობს ფოთისთვის სულით,
გულით, ყოველის ნაბიჯით, სიტყვით, კალმით და ვინ იცის
სხვა რამდენ რაგინდა რით. ნ. ნიკოლაძე ჯერეთ ხანში შე-
უვალი პირია და რამდენიც ხანში შევა, იმდენი ჩვენი თავობა
უფრო დააფასებს მის ღვაწლს, მწერლობას და ქართველთა
გვარის სასარგებლოთ ბრძოლას და მოქმედებას. ჩვენ და-
წვრილებით არ შეგვეძლო მის მოღვაწეობის შესახებ საუბარი,
მისი მოღვაწეობის შესწავლას დიდი დრო და შრომა მოუნ-
დება. მას აქვს ვრცელი ისტორი. მისი ბრწყინვალე ჰაზ-
რების და გრძნობების სხივებიც მის ნაწერებში ბრწყინვენ, იგი-
ნი გამოაჩენენ გამოჩენილს მოღვაწეს, უდიდეს გულ შემატ-
კივარ მწერალ მოქალაქეს ქართველ ერისას. ამის სახე, ცხო-
ვრების ცნობები და მწერლობა დაამშვენებს ოდესმე ქსრთველთ
ჩინებულთ გვამთა კრებულს.

ზ. ჭ.